

უბრალო შეხება  
ქმნის უსაზღვრო  
შესაძლებლობებს

# მისაწვდომობის სახელმძღვანელო სენსორული დარღვევისთვის

2020

მე-3 გამოცემა



**DeafBlind**  
ONTARIO SERVICES

# სარჩევი

---

<b>შესავალი .....</b>	<b>9</b>
<b>Deafblind Ontario Services .....</b>	<b>9</b>
<b>მისაწვდომობის სახელმძღვანელო სენსორული დარღვევისთვის .....</b>	<b>10</b>
სახელმძღვანელოს შესახებ.....	10
საავტორო უფლება.....	10
მისაწვდომობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.....	10
ინსტრუმენტების ნაკრები.....	11
რჩევები სწრაფი დიზაინისთვის.....	11
ორიენტაცია – ‘შექმენი საკუთარი ხელით’ და მისაწვდომობის გაზრდა .....	11
<b>ყრუსინათლობა.....</b>	<b>12</b>
რა არის ყრუსინათლობა? .....	12
ყრუსინათლობა და კომუნიკაცია.....	12
ყრუსინათლობის ტიპები .....	12
<b>ზოგადი დიზაინის საფუძვლები .....</b>	<b>13</b>
უნივერსალური დიზაინი.....	14
დიზაინის ძირითადი/საკვანძო ელემენტები.....	15
<b>ინკლუზიური დიზაინის გზამკვლევი .....</b>	<b>19</b>
განათება .....	19
გარე სივრცეები .....	20
მისაღები და სასადილო ოთახები.....	20
სამზარეულოები .....	21
სააბაზანოები .....	22
საძინებლები .....	22
სამრეცხაოები.....	23
<b>გარე სივრცეები.....</b>	<b>24</b>
შემოსასვლელი კარები .....	24
ჩამოსაჯდომები .....	25
ლანდშაფტის დიზაინი.....	26
გარე სამოდრო ბილიკები.....	27
მასალები და მოსაპირკეთებელი საშუალებები ბილიკებისთვის.....	28

გარე კიბეები .....	32
ვერანდები, ტერასები და შემადღებელი ადგილები .....	33
სავალი ბილიკები .....	34
როზეტები, ჩამრთველები და სხვა ოპერაციული მექანიზმები.....	34
<b>მისაღები და სასადილო ოთახები .....</b>	<b>34</b>
ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი .....	35
ავეჯი .....	35
ფანჯრები და ფანჯრის მორთულობები .....	36
აკუსტიკა.....	37
კედლები .....	37
იატაკის მოპირკეთება .....	38
როზეტები.....	38
შიდა კიბეები .....	39
<b>სამზარეულოები.....</b>	<b>41</b>
ფერის/ სიკაშკაშის კონტრასტი .....	42
ტექნიკა .....	44
სამზარეულოს კარადები და თაროები.....	45
ზედაპირები.....	45
ნიჟარები .....	46
ფანჯრები და ფანჯრის დეკორი .....	46
იატაკი .....	47
ჩამრთველები და პულტები .....	48
<b>სააბაზანოები .....</b>	<b>48</b>
ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი .....	49
უნიტაზები .....	49
სამხაპეები .....	51
აბაზანები .....	53
ნიჟარები .....	54
სააბაზანოს ავეჯი.....	54
თაროები და სხვა ნივთები.....	54
კარები .....	55
იატაკის მოპირკეთება .....	55


ჩამრთველები და კონტროლის პულტები .....	55
<b>საძინებლები .....</b>	<b>56</b>
ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი .....	57
კარადის სივრცეები.....	58
ფარდები და ფარდის აქსესუარები .....	58
კარები .....	58
იატაკის მოპირკეთება .....	59
ელექტროროზეტები.....	59
<b>სამრეცხაოები .....</b>	<b>59</b>
ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი .....	60
ტექნიკა .....	61
ზედაპირები და კარადები.....	62
იატაკის მოპირკეთება .....	62
ელექტროროზეტები და პულტები .....	62
შემოსასვლელი კარები .....	63
ტექნიკა .....	63
სამუშაო ზედაპირები და კარადები.....	63
იატაკი .....	63
<b>ნაკრები .....</b>	<b>65</b>
<b>როგორ გავზომოთ? – რჩევები .....</b>	<b>65</b>
ხვეულა საზომები.....	65
კარის ორი დაწოლის ძალის საზომი.....	66
თარაზო.....	66
სინათლის მზომი.....	67
<b>რჩევები სწრაფი დიზაინისთვის .....</b>	<b>69</b>
<b>განათება .....</b>	<b>69</b>
გარე სივრცეები .....	69
მისაღები და სასადილო ოთახები.....	69
სამზარეულოებში .....	69
სააბაზანოებში .....	69
საძინებლებში .....	70
სამრეცხაოებში.....	70

<b>გარე სივრცეებში .....</b>	<b>70</b>
ლანდშაფტის დიზაინი.....	70
გარე ბილიკები .....	70
პანდუსები.....	71
კიბეები.....	71
ჩამოსაჯდომები .....	71
ვერანდები, ტერასები და ამალღებული ადგილები .....	71
როზეტები, ჩამრთველები და ოპერაციული მექანიზმები.....	71
<b>მისაღები და სასადილო ოთახები .....</b>	<b>72</b>
ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი .....	72
ფანჯრები და ფანჯრის აქსესუარები .....	72
აკუსტიკა.....	72
იატაკი .....	72
კიბეები.....	73
ელექტროროზეტები.....	73
<b>სამზარეულოები .....</b>	<b>73</b>
ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი .....	73
სამზარეულოს შესასვლელები .....	73
სამუშაო მაგიდები.....	74
კარადები .....	74
ტექნიკა .....	74
ნიჟარები .....	75
იატაკის მოპირკეთება .....	75
უსაფრთხოების ზომები .....	75
<b>სააბაზანოები .....</b>	<b>76</b>
ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი .....	76
საპირფარეშოები .....	76
აბაზანები .....	76
სამზაპეები .....	76
იატაკის მოპირკეთება .....	76
<b>საძინებლები .....</b>	<b>77</b>
ზოგადი დიზაინი .....	77

ფერის/სიკაშკაშის გათვალისწინება .....	77
კარადები .....	77
ფანჯრები და ფანჯრის აქსესუარები .....	77
კარი .....	77
იატაკის მოპირკეთება .....	78
ელექტროროზეტები.....	78
<b>სამრეცხაოები .....</b>	<b>78</b>
შესასვლელები .....	78
ტექნიკა .....	78
სამუშაო ზედაპირები და კარადები.....	78
იატაკის მოპირკეთება .....	79
<b>ორიენტაცია – ‘შექმენი საკუთარი ხელით’ და მისაწვდომობის გაზრდა.....</b>	<b>81</b>
<b>განათება .....</b>	<b>81</b>
მისაღები და სასადილო ოთახები.....	81
სამზარეულოები .....	81
სააბაზანოები .....	81
საძინებლები .....	81
სინათლის ჩამრთველები.....	82
<b>გარე სივრცეები.....</b>	<b>82</b>
ნიშნები/ოთახის მანიშნებლები.....	82
სახლის ტაქტილური მანიშნებლები.....	82
კარები .....	83
ლანდშაფტის მოწყობა.....	84
ბილიკები, საფეხმავლო და სამანქანო ბილიკები .....	85
შიდა ეზოები.....	86
ღობები და კარიბჭეები .....	86
<b>მისაღები ოთახები.....</b>	<b>86</b>
ნიშნები/ოთახის მანიშნებლები .....	86
ტექნიკა .....	87
ავეჯი .....	87
ფანჯრის დეკორი.....	89
იატაკის მოპირკეთება .....	89

<b>სასადილო ოთახები .....</b>	<b>89</b>
ჭურჭელი .....	89
ავეჯი .....	90
<b>სამზარეულოები .....</b>	<b>91</b>
ნიშნები/ოთახის მანიშნებლები .....	91
ტექნიკა .....	91
კარადები .....	94
სამუშაო ზედაპირები და ნიჟარები.....	95
სამზარეულოს ჭურჭელი.....	95
ავეჯი .....	97
ფანჯრის დეკორი .....	98
<b>სააბაზანოები .....</b>	<b>99</b>
ნიშნები/ოთახების მანიშნებლები .....	99
სააბაზანო ნივთები.....	99
ზედაპირები და კარადები .....	100
გაღება/დახურვის მექანიზმი .....	100
<b>საძინებლები .....</b>	<b>101</b>
ნიშნები/ოთახის მანიშნებლები .....	101
საწოლის თეთრეული .....	101
ავეჯი .....	101
კარადები .....	102
ფანჯრის დეკორი .....	103
კედლის ფერები .....	103
იატაკი .....	104
<b>სამრეცხაოები .....</b>	<b>104</b>
ოთახის მანიშნებლები/ნიშნები .....	104
ტექნიკა .....	104
კარადები და ზედაპირები.....	105
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>108</b>
ინტერნეტ რესურსები.....	108

# შესავალი



© ქართულ ენაზე მომზადებულია ფონდ ჰუმანდოკის მიერ 2020 წლის ნოემბერში

თარგმანი: ანა და თეონა გვალიები

რედაქტორი: მარიამ გოდუაძე

ტექსტის გრაფიკული დიზაინი: კამილა სკალსკა



# შესავალი

## Deafblind Ontario Services

ორგანიზაცია Deafblind Ontario services ყრუ-უსინათლო პირებს, მთელი პროვინციის მასშტაბით, აწოდებს საცხოვრებელ და პერსონალური მხარდაჭერის მომსახურებებს. ჩვენი ჰოლისტური/ყოვლისმომცველი მიდგომა ყრუ-უსინათლო პირებისთვის განკუთვნილი მხარდაჭერი მომსახურებების მიმართ, ამ ადამიანებს აძლევს თავიანთი მიზნებისა და ოცნებების განხორციელების შესაძლებლობას.

Deafblind Ontario Services-ის პროფესიონალი მხარდაჭერები/თარჯიმან-მეგზურები ავითარებენ ადამიანის დამოუკიდებლობას ჰოლისტური და პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომის – „გააკეთე მასთან ერთად და არა მისთვის“ – მეშვეობით.

თარჯიმან-მეგზურები წარმოადგენენ პროფესიონალურად მომზადებულ სპეციალისტებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ყრუ-უსინათლო ადამიანის „თვალები“ და „ყურები“ და ამისთვის მათ შეხების შეგრძნებას ეყრდნობიან. ყრუ-უსინათლო პირებისთვის კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდით ინფორმაციის მიღება-გადაცემის პროცესში დახმარების შედეგად, მხარდაჭერები/თარჯიმან-მეგზურები აძლიერებენ მათ და ამით წარმატების მიღწევაში ეხმარებიან. ჩვენი პროფესიონალების გუნდი მიისწრაფის მუდმივი და ყოვლისმომცველი, პიროვნებაზე ცენტრირებული მხარდაჭერის უზრუნველყოფისკენ ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ვეხმარებით ჰქონდეთ სრულყოფილი და შინაარსიანი ცხოვრება.

Deafblind Ontario Services ლიდერია სფეროში გარეუბნებსა და ქალაქის ცენტრში მცხოვრები ყრუ-უსინათლო პირებისთვის შეთავაზებული პროგრამების მიხედვით, მთელი პროვინციის მასშტაბით.

აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია მიაწოდოს რეკომენდაციები და ინფორმაცია არქიტექტორებს, დიზაინერებს და მომსახურების მიმწოდებლებს ყრუუსინათლობის რაობისა და იმის შესახებ, თუ როგორ შექმნან მრავალფეროვანი სენსორული სირთულეების მქონე ინდივიდებისთვის ადაპტირებული და ინკლუზიური სივრცეები. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში ერთი თავი აქვს მიძღვნილი სასარგებლო პროექტებს/პროდუქტებს, რომლებიც ახალისებენ პრინციპს „გააკეთე შენით“ და ზრდიან გარემოს ან აქტივობების მისაწვდომობასა და ფუნქციონალურობას სხვადასხვა ხარისხის სენსორული სირთულეების მქონე ინდივიდებისთვის.



**DeafBlind**  
ONTARIO SERVICES

## მისაწვდომობის სახელმძღვანელო სენსორული დარღვევისთვის

### სახელმძღვანელოს შესახებ

სახელმძღვანელოს შექმნისთვის DeafBlind Ontario Services აღიარებს რა მათ ღვაწლს, მაღლიერებას გამოხატავს შემდეგი ადამიანებისა და ორგანიზაციების მიმართ:

- ამანდა მათუსი, DeafBlind Ontario Services-დან, რომელმაც იმუშავა თავზე: ორიენტაცია – ‘შექმენი საკუთარი ხელით’ და მისაწვდომობის გაზრდა;
- კომპანიები – Pretium Anderson Building Engineers-ს, Universal Design Consulting Services -ს და ლესლი მაკდონალდი - DeafBlind Ontario Services-თვის სახელმძღვანელოს დაწერისა და კვლევისთვის ჩატარებისთვის;
- რიკ მაგფორდი – (არქიტექტურის ბაკალავრს Universal Design Specialist/უნივერსალური დიზაინის სპეციალისტს) სახელმძღვანელოსთვის კონცეპტუალური ნახაზების შემუშავებისთვის.

### საავტორო უფლება

© DeafBlind Ontario Services 2020, თუკი დოკუმენტში არ არის მითითებული სხვა ავტორი/მფლობელი

აღნიშნული სახელმძღვანელოს არც ერთი ნაწილი არ უნდა იყოს კვლავწარმოებული DeafBlind Ontario Service-ის წერილობითი თანხმობის გარეშე. სახელმძღვანელოში შეტანილი ზოგიერთი მასალა და გრაფიკული ელემენტები ეკუთვნის სხვა ორგანიზაციებს. მასალის კვლავწარმოებისთვის აუცილებელია თანხმობა საავტორო უფლებების მფლობელებისგან.

### მისაწვდომობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი მისაწვდომობის სახელმძღვანელოს ძირითადი მიზანია, მიაწოდოს რეკომენდაციები და ინფორმაცია არქიტექტორებს, დიზაინერებსა და მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებიც აპროექტებენ და აუმჯობესებენ ჩვენს საცხოვრებელ სივრცეებს. ჩვენ ასევე გვსურს, ჩვენი მისაწვდომობის სახელმძღვანელო გავუზიაროთ უფრო ფართო საზოგადოებას, მათ შორის: ინჟინერებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აწვდიან მომსახურებებს სენსორული სირთულეების მქონე პირებსა და მათ ოჯახებს. ჩვენ სახელმძღვანელოში ჩავრთეთ თავი, რომელიც შეიცავს სასარგებლო რჩევებსა და იღებს სხვადასხვა ხარისხის სენსორული სირთულეების მქონე ინდივიდებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის.

წარმოდგენილი პროექტები და კონცეპტები გამოკვეთენ ინკლუზიური დიზაინის, მოსახერხებელი სივრცის, განათების, ფერების, ტექსტურებისა და სპეციალიზებული პროდუქტების მნიშვნელობას. ჩვენი მისაწვდომობის სახელმძღვანელოს მიზანია, ჩვენს

გარემოში გაიზარდოს სივრცეების ფუნქციონალურობა და უსაფრთხოება, რათა განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს ჰქონდეთ მათზე მისაწვდომობა და შეეძლოთ მათით დამოუკიდებლად სარგებლობა.

DeafBlind Ontario Services აღიარებს, რომ არსებული საცხოვრებელი ადგილების ჩვენი სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით გადაკეთებისას/მოდერნიზაციისას, შესაძლოა, ზოგიერთი სივრცის, მაგალითად, სააბაზანო ოთახის მოწყობა ვერ მოხერხდეს არქიტექტორის ან ინჟინრის რჩევისა და დახმარების გარეშე.

გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, რომ საცხოვრებელი ადგილები, რომლებშიც ვმუშაობთ და ვფლობთ, უნდა შეესაბამებოდნენ ეროვნულ, პროვინციის სამშენებლო და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებსა და სხვა მსგავს რეგულაციებს.

აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებები წარმოადგენს ამ ნორმებისა და რეგულაციების ერთგვარ დამატებას; არც ერთი მითითება არ უგულებელყოფს მათ. დაეჭვების შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნას უფრო მისაწვდომი და მისადაგებული გამოსავალი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ონტარიოს ადამიანის უფლებათა კოდექსი ცვლის ონტარიოს სამშენებლო კოდექსს (OBC-Ontario Building Code) და ონტარიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის აქტს (AODA). OBC და AODA წარმოადგენენ მინიმალურ მოთხოვნებს მისაწვდომობის კუთხით.

## ინსტრუმენტების ნაკრები

სექციაში „ინსტრუმენტების ნაკრები“ წარმოდგენილია ინფორმაცია იმ ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების შესახებ, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ მისაწვდომობის შესაფასებლად. გარდა ამისა, ამ თავში მოცემულია რჩევები იმისთვის, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ რეკომენდებული ინსტრუმენტები და მოწყობილობები.

## რჩევები სწრაფი დიზაინისთვის

თავი „ზოგადი დიზაინის საფუძვლები“ შეიცავს სწრაფ რჩევებსა და თავში „რეკომენდაციები მისაწვდომი დიზაინისთვის“ წარმოდგენილი უფრო ვრცელი რეკომენდაციების ზოგად მიმოხილვას. გთხოვთ, დამატებითი ინფორმაციისთვის იხილოთ აღნიშნული სახელმძღვანელოს სწორედ ეს თავი.

## ორიენტაცია – ‘შექმენი საკუთარი ხელით’ და მისაწვდომობის გაზრდა

აღნიშნული თავის მიზანია მოწოდება იმ დამატებითი ინფორმაციისა და პროდუქტებისა, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვა ხარისხის სენსორული სირთულეების მქონე პირებისთვის გარემოსა და აქტივობების გაგებისა და ფუნქციონალურობის გაზრდა.

## ყრუუსინათლობა

### რა არის ყრუუსინათლობა?

ყრუუსინათლობა სმენისა და მხედველობის დაქვეითების კომბინაციაა, რომელიც უნიკალურია ყოველი ცალკეული ადამიანისთვის და გავლენას ახდენს ინფორმაციაზე მისაწვდომობაზე, კომუნიკაციაზე და გადაადგილებაზე. კანადის მოსახლეობის 1%-ზე მეტი, დაახლოებით, 466 420 ადამიანი ყრუ-უსინათლოა, ონტარიოში – 211 250 ადამიანი.

### ყრუუსინათლობა და კომუნიკაცია

გამომდინარე იქიდან, რომ ყრუუსინათლობის მქონე ადამიანებს განსხვავებული ხარისხის სენსორული სირთულეები აქვთ, თითოეული მათგანი ფლობს კომუნიკაციის უნიკალურ და ინდივიდუალურ საშუალებას. ეხმარებიან რა ინფორმაციის გაცვლაში კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის მეშვეობით, მხარდამჭერები აძლიერებენ ყრუ-უსინათლო პირებს წარმატების მიღწევისათვის. შესაბამისი და სწორი მხარდაჭერის პირობებში, ყრუ-უსინათლო პირის პოტენციალი შეუზღუდავია.

### ყრუუსინათლობის ტიპები

სენსორული დარღვევის დიაგნოსტიკა და იდენტიფიცირება რთულია. **ყრუუსინათლობის გავლენა ცალკეულ ინდივიდზე არის განსხვავებული და უნიკალური და დამოკიდებულია სენსორული დარღვევის მიზეზზე, ხარისხსა და გამოვლენის ასაკზე.**

- **თანდაყოლილი ყრუუსინათლობა** – თანდაყოლილი ან ადრეული ყრუუსინათლობის მქონე პირებს მხედველობისა და სმენის შეგრძნებები დაბადებამდე ან დაბადებიდან მალევე დაუქვეითდათ, ენისა და კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებამდე.
- **შექნილი ყრუუსინათლობა** – შექნილი ყრუუსინათლობის მქონე პირებზე განიხილებიან ადამიანები, რომლებმაც სენსორული დარღვევა ცხოვრების უფრო გვიან ეტაპზე შეიძინეს. ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს მხედველობის ან სმენის დაზიანება და მოულოდნელად ან თანდათანობით დაკარგოს მეორე შეგრძნება. ორივე შეგრძნების მქონე ადამიანს მხედველობისა და სმენის დაზიანება შესაძლოა განუვითარდეს გენეტიკური მდგომარეობის, უბედური შემთხვევის ან ხანდაზმულობის გამო.
- **ყრუუსინათლობის მიზეზები**
  - გენეტიკური ან მემკვიდრეობითი მდგომარეობები
  - ავადმყოფობები ან უბედური შემთხვევები
  - ორსულობისას შექნილ ინფექციები
  - ნაადრევი დაბადება
  - იშვიათი სინდრომები
  - ხანდაზმულობით გამოწვეული სენსორული დარღვევა

- **CHARGE-ის სინდრომი** - CHARGE-ის სინდრომი იშვიათი გენეტიკური მდგომარეობაა, რომელიც აზიანებს ნებისმიერი ასაკის ადამიანს. CHARGE-ის სინდრომის მქონე ბავშვების 50%-ს აქვს CHD7 გენის მუტაცია.
- CHARGE-ის სინდრომი დაკავშირებულია ფართო სპექტრის სამედიცინო გამოწვევებთან ფიზიკური სირთულეების, მხედველობისა და სმენის დარღვევებისა და გულის პრობლემების ჩათვლით. CHARGE-ის სინდრომით დიაგნოსტირებულ ბევრ ადამიანს შემეცნებითი უნარების განვითარების შეფერხებაც აღენიშნება.
- **წითურა/თანდაყოლილი წითურას სინდრომი** – წითურა, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც გერმანულ წითელას, წითურას ვირუსით გამოწვეული დაავადებაა, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია. წითურას სიმპტომები, ჩვეულებრივ, მსუბუქადაა გამოხატული, ზოგიერთ ადამიანთან კი შესაძლოა საერთოდ არ გამოვლინდეს. მიუხედავად ამისა, ვირუსი შეიძლება იყოს ძალიან სერიოზული, თუკი ორსული ქალი ორსულობის ადრეულ ეტაპებზე დაინფიცირდება.
- ითვლება, რომ ახალშობილებს, რომლებმაც გადაიტანეს წითურას ვირუსი, თანდაყოლილი წითურას სინდრომი აქვთ. ამ სინდრომის მქონე ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს სმენის დაქვეითება, კატარაქტა, თვალის დაავადებები და გულის პრობლემები, რომლებიც დარჩება მთელი ცხოვრება. თანდაყოლილი წითურას სინდრომით გამოწვეული დაბადების დეფექტების განვითარების რისკი დამოკიდებულია იმაზე, თუ ორსულობის რამდენად ადრეულ ეტაპზე დაინფიცირდა დედა.
- **აშერის (უშერის) სინდრომი** – აშერის (უშერის) სინდრომი გენეტიკური ან მემკვიდრული დაავადებაა, რომელიც აზიანებს სმენას, მხედველობას და წონასწორობას. არსებობს აშერის (უშერის) სინდრომის სამი ძირითადი ტიპი: პირველი, მეორე და მესამე ტიპი. სმენის, მხედველობისა და წონასწორობის დარღვევების დაწყების ასაკი და ხარისხი განსხვავებულია ცალკეული ინდივიდისა და სინდრომის ტიპისთვის.
- გამომდინარე იქიდან, რომ აშერის (უშერის) სინდრომი არ იკურნება, ადრეული დიაგნოსტირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. დიაგნოზი ხშირად ეყრდნობა სმენისა და მხედველობის ტესტებს. თუმცა, დიაგნოსტირებისას წონასწორობის ტესტირებაც შეიძლება იყოს გამოყენებული. დღესდღეობით, აშერის (უშერის) სინდრომის იდენტიფიკაცია და დიაგნოსტირება მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული.

**CHARGE/ Rubella/ Usher Syndrome Resources:** <http://www.sense.org.uk>

## ზოგადი დიზაინის საფუძვლები

ჩვენი სახელმძღვანელოს „მისაწვდომობის სახელმძღვანელო სენსორული დარღვევისთვის“ მიზანია, წარმოადგინოს რეკომენდაციები სენსორული სირთულეების მქონე პირების საცხოვრებელ გარემოში მათი დამოუკიდებლობის, ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების ხელშემწყობი სივრცეების შესაქმნელად. DeafBlind Ontario Services-ის „მისაწვდომობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების“ გამოყენებაც შეიძლება იყოს განხილული ინკლუზიური სივრცეების პროექტირებისას.

გავრცელებული რწმენის საწინააღმდეგოდ, არ არის საჭირო მისაწვდომი დიზაინი იყოს ძვირი და ესთეტიკურად გააუმჯობესოს სივრცე. ჩვენს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი გადაჭრის ბევრი გზა, მარტივ ტექნიკებსა და ადაპტირებებს მოითხოვს იმისთვის, რომ საცხოვრებელ გარემოში სხვადასხვა სივრცეები მეტად მისაწვდომი გახდეს.

ყრუ-უსინათლო პირებისთვის საცხოვრებელი გარემოს პროექტირებისას, დიზაინთან და მისაწვდომობასთან/უნივერსალური დიზაინთან დაკავშირებული ბევრი მოთხოვნა იქნება მსგავსი იმისა, რაც მოითხოვება მხედველობის სირთულეების მქონე, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნისას.

ჩვენ გარემოს მოწყობის უნივერსალურ დიზაინს განვიხილავთ, როგორც ფართო სპექტრის გამოსავალს, რომელიც მიისწრაფვის იმისკენ, რომ გახადოს სივრცეები გამოყენებადი ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე ინდივიდებისთვის.

უნივერსალური დიზაინი ამგვარად განიმარტება:

„პროდუქტებისა და გარემოს დიზაინი უნდა იყოს მაქსიმალურად გამოსადეგი ყველა ადამიანისთვის ყოველგვარი ადაპტირებისა და სპეციალიზებული დიზაინის საჭიროების გარეშე.“

*ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსალური დიზაინის ცენტრი*

## უნივერსალური დიზაინი

უნივერსალური დიზაინი 7 პრინციპს ეფუძნება:

- 1. თანასწორობა და გამოყენება:** დიზაინი გამოსადეგია და სასარგებლო განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირები.
- 2. მოქნილობა:** დიზაინი მიესადაგება ინდივიდუალური უპირატესობებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრს.
- 3. სიმარტივე და ინტუიციური მოხმარება:** დიზაინის გამოყენება მარტივია და არ არის დამოკიდებული გამოცდილებაზე, ცოდნაზე, ენობრივ უნარებსა ან კონცენტრაციის არსებულ ხარისხზე.
- 4. აღსაქმელი ინფორმაცია:** დიზაინი ეფექტიანად გადასცემს საჭირო ინფორმაციას მომხმარებელს გარემო პირობებისა და სენსორული შესაძლებლობებისგან დამოუკიდებლად.
- 5. უსაფრთხო:** დიზაინი ამცირებს საფრთხეებსა და შემთხვევითი ან განზრახული ქმედებების არასასურველ შედეგებს.
- 6. დაბალი ფიზიკური ძალისხმევა:** დიზაინის გამოყენება შესაძლებელია ეფექტიანად და კომფორტულად მინიმალური ძალისხმევის გაწევით.

**7. ზომა და სივრცე მიახლოებისა და გამოყენებისთვის:** გათვალისწინებულია მიახლოების, მიღწევის, მანიპულაციისა და გამოყენებისთვის შესაბამისი ზომა და სივრცე მომხმარებლის სხეულის ზომის, პოზისა და მობილობისგან დამოუკიდებლად.

ნებისმიერი დიზაინის პროექტირებისას, თავიდანვე უნდა იყოს ნაფიქრი უნივერსალურ დიზაინზე. განვიხილოთ რამდენიმე გასათვალისწინებელი მომენტი: შენობის საერთო ფართობი, სახლის მდებარეობა ქუჩასა და ტროტუართან მიმართებაში, დაქანების დონე, პირდაპირი მისასვლელი შენობის მისაწვდომ კარსა და უკანა, შემალღებულ, შესასვლელთან, სწორი, მისაწვდომი ტროტუარები მთავარ შესასვლელებსა და მიმდებარე სივრცეებში მოსახვედრად, ბუნებრივი შუქის გამოყენება სახლში განათების გასაძლიერებლად.

## დიზაინის ძირითადი/საკვანძო ელემენტები

არსებობს დიზაინის ხუთი ძირითადი ელემენტი, რომლებსაც ეხება აღნიშნულ სახელმძღვანელოში შემავალი ყველა რეკომენდაცია და სახელმძღვანელო მითითება.

### 1. განლაგება

მოცემული სივრცის ლოგიკური, მარტივი მოწყობა, კარგად განსაზღვრული სივრცეები, სწორი ხაზები, სწორი კუთხეები სავალ ბილიკებზე, მხედველობის სწორი ხაზები წარმოადგენენ საკვანძო კომპონენტებს ყრუ-უსინათლო ადამიანების სივრცეში ორიენტაციისთვის. ბევრი ყრუ-უსინათლო პირისთვის ღია სივრცეებში ორიენტირება რთულია. ღია სივრცეებში, როგორებიცაა მისაღები, სასადილო და მოსასვენებელი ოთახები საოჯახო ტიპის საცხოვრებლებში, ავეჯის გადაადგილება, კედლებისა და იატაკის ფაქტურების შეცვლა, მადალკონტრასტული ფერების გამოყენება, სივრცეების განმსაზღვრელ და სხვა დამხმარე საშუალებებთან ერთად, გაუმარტივებდა ორიენტაციას ყრუ-უსინათლო პირებს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ სივრცე თავისუფალი უნდა იყოს არასაჭირო ნივთებისგან. ზამთრის ჩექმები, ყუთები, გადაადგილების საშუალებები და ა.შ. უნდა ინახებოდეს მათთვის განკუთვნილ სათავსოებში, ძირითადი სამოდრო სივრცისგან მოშორებით. კედლებისა და იატაკის ტექსტურები, ტაქტილური ნიშნები, ავეჯის სათანადო განთავსება, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ინდივიდების მიერ სივრცეში ორიენტაციისას.

მხედველობის დაზიანების მქონე ბევრ ადამიანს შეუძლია სივრცის აზრობრივი/წარმოსახვითი რუკის შექმნა და, მისი საშუალებით, საგნების სივრცეში და მათ მიმართ განლაგების გაგება. მნიშვნელოვანია, რომ საგნებმა შეინარჩუნონ თავიანთი ადგილმდებარეობა და არ გადაადგილონ ისინი.

### 2. განათება

კარგი განათება ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია ფუნქციური მხედველობის მქონე ყრუ-უსინათლო პირებისთვის. განათებასთან დაკავშირებული საჭიროებები განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტული ყრუ-უსინათლო პირის მხედველობის მდგომარეობაზე. ადამიანთა უმრავლესობისთვის, სივრცეში ორიენტაციასა და ყოველდღიური საქმიანობების განხორციელებისას, გაზრდილი/ძლიერი განათება იქნებოდა ხელშემწყობი. ისეთ სივრცეებში,

როგორცაა საძინებელი, სინათლის საჭირო ოდენობის დასარეგულირებლად უნდა გათვალისწინდეს განათების მარეგულირებლების არსებობა. რეკომენდებულია სამუშაო განათების უზრუნველყოფა სამუშაო მაგიდებთან, სამზარეულოს წინსაფრებთან და სააბაზანოში.

საცხოვრებელ შენობებში განათებასთან დაკავშირებული რჩევები:

- პასტელის ფერებში შეღებილი კედლები შუქს აირეკლავენ;
- გამოიყენეთ ბუნებრივი განათება, აქვე, არ დაგავიწყდეთ მბზინვარების შემცირება ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ქალუშების მეშვეობით;
- დარწმუნდით, რომ ხელოვნური განათების წყაროები არ წარმოქმნიან მბზინვარებას;
- შეარჩიეთ აბაჟურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სინათლის გავრცელებას;
- კედლებსა და ჭერზე გამოიყენეთ გაბნეული განათება;
- განათავსეთ განათებები კარადების ქვეშ და კარადებში.

ადეკვატური განათება მხედველობის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემწყობია. როგორც წესი, ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება მოთხოვნა უფრო ძლიერ განათებაზე.

სხვადასხვა სიტუაციებისთვის ბევრი სხვადასხვა ტიპის განათება არსებობს. მისაწვდომი განათების საკვანძო პრინციპებია:

- თანაბარი
- გარდამავალი
- მბზინვარე
- ფერი
- სამუშაო

### 3. ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

ვიზუალური კონტრასტი ორი კომპონენტისგან შედგება: სიკაშკაშის კონტრასტი და ფერის განსხვავება. მცირემხედველი პირებისთვის სიკაშკაშის კონტრასტი არსებითად მნიშვნელოვანია. ფერის ან ტონალობის განსხვავებამ, შესაძლოა, გაზარდოს სიკაშკაშის კონტრასტი.

ფერთა მაღალი კონტრასტის გამოყენება, სხვადასხვა მახასიათებლისა და სივრცეების განსაზღვრის მიზნით, საცხოვრებელ გარემოში, ხელს შეუწყობს სივრცეში ორიენტირებასა და მისაწვდომობის გაზრდას.

კარები და მათი ჩარჩოების ფერები მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს კედლების ზედაპირებისა და იატაკების ფერებისგან. კიბის საფეხურების კიდეები კონტრასტული ფერით უნდა იყოს გამოყოფილი საფეხურებისგან. მოაჯირების ფერი კედლების ფერებისგან მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს. გარდა ამისა, ავეჯის, წინსაფრების, კარების, კარადების კარების, მათი აქსესუარებისა და საოჯახო ტექნიკის ფერები მკვეთრ კონტრასტს უნდა ქმნიდეს



გარემომცველ სივრცეებთან. საოჯახო ტექნიკის სამართავი ღილაკები, ფერის მხრივ, მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ამ ტექნიკისგან.

ანალოგიურად, ავეჯი, როგორებიცაა დივნები, სკამები, მაგიდები და საწოლები, ფერის მხრივ, კონტრასტს უნდა ქმნიდეს გარემომცველ კედლებსა და იატაკთან. გარემომცველი სივრცეებისგან მკვეთრად განსხვავებული ფერის ავეჯის იდენტიფიცირება, შესაძლოა, უკეთ შეძლონ ადამიანებმა, რომელთაც სიღრმის აღქმის სირთულეები აქვთ. საპირისპიროდ, რთული იქნება გარემომცველი სივრცეებისგან მცირედით განსხვავებული ფერის ავეჯისა და სხვა საგნების აღმოჩენა.

ფერთა კონტრასტი არის ფერთა პალიტრაზე, ერთსა და მეორე ფერს შორის განსხვავების ხარისხი. რაც უფრო მეტად განსხვავდება ერთი ფერი მეორისგან ვიზუალურად, მით უფრო მეტია კონტრასტი.

სიკაშკაშის კონტრასტი არის რომელიმე ერთი საგნის ან ზედაპირის სიკაშკაშის განსხვავების დონე მეორე საგნის ან ზედაპირის სიკაშკაშისგან. სიკაშკაშე იზომება უფრო ნათელი საგნის ზემოთ (B1), შემდეგ უფრო ბნელი ადგილის ზემოთ (B2) შემდეგ კი ეს საზომები გამოიყენება ფორმულაში:

$$\text{ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი} = \frac{B1 - B2 \times 100}{B1}$$

B1 არის განათებული ადგილის სინათლის არეკვლის კოეფიციენტის მნიშვნელობა.

B2 არის უფრო ბნელი ადგილის სინათლის არეკვლის კოეფიციენტის მნიშვნელობა.

რაც უფრო მეტია სხვაობა სიკაშკაშის დონეებს შორის, მით უფრო დიდია კონტრასტი. სინათლის მზომები შეიძლება გამოვიყენოთ ერთი საგნის ზედაპირიდან მეორეზე არეკლილი სიკაშკაშის გასაზომად.

იმისათვის, რათა ერთმანეთისგან განირჩეოდეს სამზარეულოს ძირითადი ელემენტები და გარშემო არსებული სივრცე, ერთმანეთის გვერდით, გამოიყენეთ შესამჩნევად განსხვავებული ფერები, როგორიცაა:

- შავი/თეთრი,
- ყვითელი/შავი,
- მუქი ყავისფერი/თეთრი ან კრემისფერი,
- მუქი იასამნისფერი/თეთრი,
- ნარინჯისფერი/თეთრი,
- მუქი წითელი/თეთრი,
- ყვითელი/მწვანე,
- მუქი ნაცრისფერი/თეთრი,
- მუქი მწვანე/თეთრი.

სიკაშკაშის ცუდი კონტრასტის მქონე ფერებია:

- ყვითელი/ნაცრისფერი,
- ღია ნაცრისფერი/თეთრი,
- ყვითელი/თეთრი,
- ლურჯი/წითელი,
- ცისფერი/თეთრი.

არსებობს ფერთა კომბინაციები, რომლებიც არ უნდა გამოვიყენოთ, რადგან ფერების ამოცნობის სირთულეების მქონე პირებს უჭირთ მათი გარჩევა. ესენია:

- წითელი/მწვანე
- ლურჯი/მწვანე.

#### 4. ტექსტურა

შეხება გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღებისა და სივრცეში ორიენტაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, იმის მიუხედავად, თუ რამდენად აქვს ყრუ-უსინათლო ადამიანს დაქვეითებული მხედველობა ან სმენა. შეხება ერთგვარი შემოწმების საშუალებაა, რომლის დახმარებითაც, ყრუ-უსინათლო ადამიანი გარემოში გადაადგილდება. ტაქტილურ სიმბოლოებთან ერთად, კედლებსა და იატაკებზე სხვადასხვა ტექსტურის თანმიმდევრული გამოყენებით, შესაძლოა შეიქმნას საორიენტაციო მინიშნებების სისტემა.

ტექსტურა შეიძლება გამოყენებულ იქნას სახლში, სხვადასხვა სივრცის სიმბოლიზებისთვის. როცა ტაქტილურ/ტექსტურულ მინიშნებებსა და მონიშვნებს განვიხილავთ, ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმაზე, რომ ტექსტურებს შორის იყოს საკმარისი განსხვავება, ისეთი როგორიცაა: მონიშვნის ან მინიშნების ზომა და ფორმა. ზოგი ტექსტურა მარტივად ამოსაცნობია, ზოგი კი – არა. ზუმფარის ქაღალდი უხეშია და უბრალო შეხებას საკმარისია მის ამოსაცნობად, არ საჭიროებს ზედაპირზე ხელის ხანგრძლივ მოძრაობას. ისევე, როგორც ველვეტის ქსოვილი ან ბეწვის ნაკუწი. სხვა ტიპის ტექსტურები, შესაძლოა, დამატებით ტაქტილურ კვლევას საჭიროებდნენ იმისთვის, რათა გავარჩიოთ რასთან გვაქვს საქმე. შეარჩიეთ მასალა, რომელიც შეხებით ადვილად ამოცნობადია და გარშემო არსებულ ზედაპირებთან ფერის მაღალი კონტრასტი აქვს.

იატაკის სხვადასხვა ტექსტურა, როგორც წესი, მუდმივად გამოიყენებოდა მხედველობის სირთულეების მქონე ინდივიდების ან ყრუ-უსინათლო პირების დასახმარებლად, სივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირებისთვის. ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებული იატაკის მოსაპირკეთებელი განსხვავებული ტექსტურები, როგორიცაა: პარკეტი, ხე, კერამიკის ფილები, კორპი, – შესაძლოა სივრცის განსაზღვრაში დაეხმაროს ინდივიდს. მაგალითისთვის, ხისა და კორპის იატაკები ფეხქვეშ სირბილის შეგრძნებას აჩენს, კერამიკის ან პარკეტის იატაკებისგან განსხვავებით. აღნიშნული იდეის ერთ-ერთი განხორციელებაა ყველა საძინებელში ხალიჩის დაფენა, დერეფნების, სასადილო და მისაღები ოთახების ხით, ხოლო სააბაზანოებისა და სამზარეულოების კერამიკის ფილებით მოპირკეთება. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ

ინდივიდებისთვის შესაძლებელია რთული იყოს ბევრი (სამზე მეტი) სხვადასხვა სახეობის იატაკის ზედაპირის და მათ ტექსტურებს შორის განსხვავებების დამახსოვრება.

ტექსტურების გამოყენება მთელი სივრცისთვის თანმიმდევრული უნდა იყოს, რადგან შესაძლებელი გახდება სივრცის „მენტალური რუკის“ არსებობა. კედლის ზედაპირის სხვადასხვა ტექსტურა, შესაძლოა, გამოვიყენოთ ორიენტირებისა და ინდივიდუალური ოთახების იდენტიფიცირებისთვის; კედლის ფილები, ნაირგვარი ტექსტურის გამოყენებით, სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება დავტვირთოთ, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა მასალით შელესილი კედლები და კედლის თეფშების გამოყენებაც. კედლის მოაჯირები შეზღუდულად უნდა იქნას გამოყენებული საორიენტაციო მიზნებისთვის, რადგან ყველა სივრცე ერთმანეთის მსგავსი იქნება, თუ მთელ სახლში გვაქვს ადნიშნული მოაჯირები. გაითვალისწინეთ, ერთი მოაჯირი უნდა დამონტაჟდეს დერეფანში ორიენტაციისა და მხარდაჭერისთვის. მოწყობილობები, რომლებიც უნიკალურ ვიბრაციას წარმოქმნიან, შემოსასვლელ კართან, კარის გვერდით ან კარის ქვეშ იატაკზე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც სივრცის განმსაზღვრელი.

## 5. აკუსტიკა

როგორც წესი, სივრცე, რომელიც აკუსტიკურად ცოცხალია, შეიძლება ადამიანს ორიენტირებაში დაეხმაროს. თუმცადა, ძალიან ბევრი ხმა, შესაძლოა პრობლემატურიც იყოს, განსაკუთრებით ყრო ადამიანისთვის. ხმის გამოყენებით, შესაძლოა სივრცის შესახებ სასარგებლო ინფორმაცია მივიღოთ, მაგ., რამდენად ფართოა სივრცე, სად არის განლაგებული ნივთები და სად გვხვდება ღიობები. არეკლილი ხმის გამოყენება, შესაძლოა სასარგებლო იყოს საორიენტაციო მიზნებისთვის. მას ექოლოკაციას უწოდებენ. ექოლოკაციის მიღწევა შესაძლებელია ხმოვანი სიგნალის შექმნით, როგორცაა თითების ტკაცუნი ან ჯოხის კაკუნი. როცა ხმა აირეკლება ობიექტიდან, ადამიანს შეუძლია განასხვავოს მყარი ზედაპირიდან, როგორცაა, მაგალითად, მინა ან ბეტონზე არეკლილი ხმა, ისეთი ზედაპირიდან არეკლილი ხმისგან, როგორცაა ხალიჩა ან კორპი.

ხალიჩების, მუყაოსა და პლასტიკატის გამოყენებით, შეიძლება ხმის შთანთქვა და ჩახშობა. ორმაგი მინა-პაკეტი შეიძლება დაგვეხმაროს გარედან სახლში შემომავალი ხმის შესუსტებაში. ხმის შემნიღბავი მოწყობილობები, შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული არასასურველი ხმების ინტენსივობის შემცირებისთვის. მთავარია, კარგი ბალანსი შეიქმნას ხმის მშთანთქმელ და ხმის ამრეკლავ მასალებს შორის, რათა ინდივიდს, რომელსაც გააჩნია ამის უნარი, შეეძლოს სივრცის ინტერპრეტირება.

## ინკლუზიური დიზაინის გზამკვლევი

### განათება

განათებას უდიდესი როლი აქვს სახლის ატმოსფეროსა და ესთეტიკის შექმნაში. გარდა ამისა, სინათლის სწორმა ოდენობამ, შეიძლება გააუმჯობესოს ხილვადობა, გაზარდოს დაცულობა და უსაფრთხოება სახლში და მის გარშემო. სწორად შერჩეული განათება უკიდურესად

მნიშვნელოვანია ინკლუზიური დიზაინის პერსპექტივიდან. კარგ სინათლესა და განათების ტიპს, შეუძლია გააუმჯობესოს სახლის შიგნით დამოუკიდებლობის ხარისხი და სახლში უსაფრთხოდ გადაადგილების შესაძლებლობა.

## გარე სივრცეები

განათება გამოყენებულ უნდა იქნას ხილვადობისა და ორიენტირების გასაუმჯობესებლად. ამას გარდა, განათება გაზრდის უსაფრთხოებას/დაცულობას შენობის ირგვლივ და სახლის ბილიკზე. განათება ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ატმოსფეროს შესაქმნელად და არქიტექტურული თავისებურებების ხაზგასასმელად. ადგილები, სადაც განათება უნდა დამონტაჟდეს არის: სასაფარი ბილიკები, საპარკინგე ადგილები, ვერანდები, აივნები, ფანჯარები, გარე კიბეები, პანდუსები და სხვა სივრცეები სახლის ირგვლივ.

ენერგო-ეფექტური ვარიანტები, როგორცაა მზის განათება, მოძრაობის აქტივატორები და წამოშობები, გონივრული გადაწყვეტილებაა დღევანდელ დღეს, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერჯის დაზოგვა და ეკონომია. ზოგადად, უნდა განვიხილოთ ისეთი განათება, რომელიც რეგულირებადი, ადაპტირებადი და მდგრადია.

განათება არ უნდა იყოს მბრწყინავი. ის მხოლოდ მცირედ უნდა ირეკლავდეს შუქს მიწიდან და გარშემო არსებული ზედაპირებიდან. განათება თანაბრად უნდა გადანაწილდეს გარე სივრცეებში. განათების მინიმალური დონე გარე ბილიკებზე, სივრცეებსა და კიბეებზე/პანდუსებზე უნდა იყოს 100 ლუქსი, მიწის დონეზე გაზომვისას.

უსაფრთხოებისთვის საჭირო, მოძრაობის ამომცნობი გარე განათებები უნდა გავითვალისწინოთ სამოძრაო ბილიკებისთვის, როგორცაა: კიბეები, პანდუსები, საპარკინგე ადგილები და სივრცე, სახლის გარშემო.

დამატებითი და ობიექტების გამომკვეთი განათება შეიძლება დაგვეხმაროს ლანდშაფტის დიზაინის გათვალისწინებაში და მასთან იყოს შერწყმული. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ზედმეტი სინათლე არათანაბრად არ იღვრებოდეს სასაფარი ბილიკებზე, ასევე არ ბრწყინავდეს არათანაბრად.

## მისაღები და სასადილო ოთახები

განათების დონეები, მისაღები და სასადილო ოთახებში, უნდა იყოს თანაბარი, სულ მცირე, 200 ლუქსზე. საუკეთესო შემთხვევაში, განათება ისეთ სიმაღლეზე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ მისი დონეების დარეგულირება (ჩამრთველები) შესაძლებელი იყოს მათთვის, ვისაც უფრო ძლიერი განათება სჭირდებათ. განსაკუთრებული უსაფრთხოებისთვის, განათება უნდა იყოს ერთსა და იმავე დონეზე და მუდმივი ერთი სივრცის შიგნით, რათა არ წარმოიქმნას ჩრდილები და ჩაბნელებული ადგილები. სენსორული განათების სისტემები, რომლებიც ადამიანის ოთახში შესვლაზე რეაგირებენ, განათებისა და ენერჯის კონტროლის შესაძლებლობას ქმნიან.

მისაღები და სასადილო სივრცეებში არსებული მაგიდის სანათები და ტორშერები უნდა იყოს სოლიდური და ტაქტილური, რათა მათ, ვისაც არ აქვს საკმარისი მოტორული ოსტატობა, შეეძლოთ სინათლის ჩართვა-გამორთვა მუშტის გამოყენებით. მაგიდის და იატაკის განათებებს

შეუძლია გააუმჯობესოს ნათების დონე სამკითხველო სივრცეებსა და საწერ ზედაპირებზე. გამოიყენეთ განათება, რომელიც სინათლეს ქერისა და კედლებისკენ მიმართავს და ხელს უწყობს სინათლის გავრცელებას ოთახის კუთხეებში. დარწმუნდით, რომ განათება კედლებისა და ქერისკენ არის მიმართული და ავრცელებს და ანაწილებს სინათლეს.

უზრუნველყავით რამდენიმე როზეტის არსებობაც, რომლებიც გადანაწილებულია სივრცეში. დამატებითი როზეტები შეამცირებს სადენებსა და დამაგრძელებლებში გახლართვის რისკს.

## სამზარეულოები

როცა სამზარეულო სივრცის დიზაინს ვაკეთებთ, უნდა გავითვალისწინოთ არაპირდაპირი განათება. არაპირდაპირი განათება შეიძლება შევავსოთ ქერიდან, კედლებიდან და სამზარეულოს კარადებიდან არეკლილი შუქით. არაპირდაპირი განათება ამცირებს მბზინვარებას და ხელს უწყობს სივრცეში სასიამოვნო განათების არსებობას.

სინათლის გავრცელების ეფექტის მისაღწევად ბევრი სხვადასხვა ტიპის განათების დიზაინი არსებობს. დაკიდებული არაპირდაპირი სანათებითაც კი შეიძლება შუქის განაწილება. დასაკიდებელი სანათები ეშვება ქერიდან და შექმნილია ისეთი რეფლექტორებით, რომლებიც თანაბრად ავრცელებენ სინათლეს. არაპირდაპირი განათების შერჩევასას, დარწმუნდით, რომ სანათის დიზაინი იძლევა საშუალებას, შუქი ქერის ან კედლებისკენ იყოს მიმართული.

სპეციალური სამუშაო განათება ისეთ ადგილებშია საჭირო, სადაც საკვები მზადდება; მაგ., სამზარეულოს ზედაპირებზე. ამის მიღწევა შესაძლებელია სამზარეულოს კარადების ქვეშ დამონტაჟებული განათებებით ან ქერზე დაკიდებული სანათებით. როცა კარადები არ არის მისაწვდომი, სამუშაო შუქად ქერიდან დაშვებული სანათები შეიძლება გამოვიყენოთ.

დიოდური (ლედ) განათებები წარმოადგენს ნათების ენერგო-ეფექტურ წყაროს, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა, ცქრიალა შუქს. ლედ სანათებით წარმოქმნილი შუქი - სინათლის ფოკუსირებული წერტილები და თბილი ნათება, იდეალურია ობიექტების გასანათებლად. ლედ სანათები მყისიერად ნათდება, ადვილად შეიძლება მისი ჩამუქება, ჩუმად მუშაობს და ძალიან დაბალი ძაბვის ელექტროენერგიას საჭიროებს. არაპირდაპირი განათების ფოკუსირებულ განათებასთან კომბინირებით, შესაძლებელია ვუპასუხოთ ლოკალიზებული, სპეციფიკური განათების საჭიროების მქონე ინდივიდებს. საერთო ჯამში, სამზარეულოს განათება უნდა იყოს მინიმუმ 300 ლუქსი, იატაკის დონიდან გაზომვის შემთხვევაში და 500 ლუქსი სამუშაო სივრცეებში, როგორცაა სამუშაო ზედაპირები და ლუმელი. გარდა ამისა, ლედ განათება რეკომენდებულია სამზარეულოს ავეჯის ქვედა ნაწილებში, რათა თავიდან ავირიდოთ ფეხის თითების დაზიანება. სინათლე იატაკის სივრცის განსაზღვრაში გვეხმარება. სამზარეულოს ავეჯსა და იატაკს შორის სივრცის განათება, სულ მცირე 100 ლუქსს უნდა აღწევდეს.

მნიშვნელოვანია, ლედ განათებები დამონტაჟდეს თაროებზეც, რაც მათ ხილვადობას გაზრდის.

სადაც შესაძლებელია, ყველა სანათი უნდა კონტროლდებოდეს მარეგულირებელი პულტით, რაც ხელს შეუწყობს სინათლის დონის დარეგულირებას ინდივიდის თანდათან წარმოქმნილი

საჭიროებების მიხედვით. მაღალი სიმძლავრის ნათურები გამოყენებულ უნდა იქნას სინათლის დონის დიაპაზონის უზრუნველსაყოფად.

## სააბაზანოები

სინათლის სხვადასხვა დონის დიაპაზონი ერთ-ერთი გზაა სარელაქსაციო, სპა სალონის მსგავსი გარემოს შესაქმნელად აბაზანაში და დიზაინში ინკლუზიურ მიდგომად ითვლება. აბაზანაში მოძრაობის ამომცნობი განათების სისტემა კი დაეხმარება მათ, ვისაც შუქის ანთება არ შეუძლია.

სინათლის მინიმალური დონე, იატაკიდან გაზომვის შემთხვევაში, უნდა იყოს 200 ლუქსი და ის თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს მთელ სააბაზანოში. მორგებელი, პირდაპირი, კონცენტრირებული განათება შესაძლებელს გახდის აბაზანის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილების სინათლით უზრუნველყოფას, როგორებიცაა: საშხაპე და სააბაზანო კომოდი. სააბაზანო კომოდის ზედაპირის გაზომვისას, განათება, სულ მცირე, 300 ლუქსს უნდა აღწევდეს.

ერთგვაროვანი/დიფუზიური განათება, როგორცაა ლუმინისცენციური განათება, რომელიც დამაგრებელია და მიემართება კედლებს ან ჭერს, სინათლის გავრცელებისა და ბრწყინვალეების შემცირების ეფექტიანი საშუალებაა.

## საძინებლები

საძინებლებში სინათლის ჯამური დონე, სულ მცირე, 200 ლუქსი უნდა იყოს. იდეალურ შემთხვევაში, ნათების დონე უმაღლეს ნიშნულზე უნდა იყოს, რომელიც შემდეგ ინდივიდის საჭიროებების მიხედვით დარეგულირდება (განათების მარეგულირებლის საშუალებით). ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ არსებობდეს სენსორული მოწყობილობა, რომელიც, ოთახში შესვლისას, შუქს ავტომატურად აანთებს.



საძინებლებში არსებული მაგიდის ან სტანდარტული სანათები უნდა იყოს სოლიდური და რეგულირდებოდეს შეხებით, რათა მათ, ვისაც მოტორიკასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ, შეკრული მუშტითაც შეეძლოთ შუქის ანთება და ჩაქრობა. სამუშაო განათება სამუშაო ადგილს უნდა მიემართებოდეს და სულ მცირე, 500 ლუქსს შეადგენდეს.


შიდა განათებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა კარადა. როზეტი უნდა იყოს კარადის შიგნით, კარის სიახლოვეს. სინათლის დონე კარადაში, სულ მცირე, 100 ლუქსს უნდა აღწევდეს.

კედლის ზედაპირები, ქერი და იატაკი იმგვარი მასალისგან უნდა დამზადდეს, რომელიც ხელოვნური განათების ან ბუნებრივი სინათლისგან არ წარმოქმნის მბზინვარებას.

## სამრეცხაოები


სინათლის დონე სამრეცხაოებში, იატაკის დონიდან გაზომვის შემთხვევაში, სულ მცირე, 200 ლუქსს უნდა აღწევდეს. სამუშაო ზედაპირებზე და საუთოებლებზე სინათლის დონე უნდა იყოს 300 ლუქსი, სამუშაო ზედაპირიდან გაზომვის შემთხვევაში. სინათლე უნდა იყოს არაპირდაპირი და დიფუზიური.

სინათლის მაკონტროლებლები განლაგებული უნდა იყოს კარის ანჯამების მხარეს. იდეალურ შემთხვევაში, სამრეცხაო უნდა კონტროლდებოდეს ოკუპაციური სენსორებით. სენსორს შეეძლება ამოიცნოს ადამიანი სარეცხის კალათით ხელში.



დიფუზიური განათება

ჩამონტაჟებული სამუშაო განათება სამუშაო ზედაპირების თავზე



## გარე სივრცეები

გარე სივრცეები, უფრო და უფრო ხშირად წარმოადგენს შიდა სივრცეების გაგრძელებას. ამდენად, ინკლუზიური დიზაინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარე სივრცეების მოწყობაში, მაგალითად: ლანდშაფტი, სათამაშო, სასადილო და სამზარეულო სივრცეები, ბაღები, და შემადლებული ადგილები.

გარე სივრცეების მოწყობისას, არაერთი ელემენტია გასათვალისწინებელი იმისთვის, რომ ისინი უფრო ინკლუზიურად ვაქციოთ. მათ შორის:

- გადაადგილების ხელშემწყობი საშუალებების სივრცეში მანევრულობა,
- მინიმალური ძალისხმევა,
- უსაფრთხოება,
- მეტეოროლოგიური პირობებისგან დაცვა,
- მანქანის გადასადგილებელი ბილიკები,
- ლანდშაფტის მოწყობა.

გარე სივრცის მოწყობისას გასათვალისწინებელი ელემენტებია:

- სასეირნო ბილიკები,
- კიბეები,
- მოაჯირები,
- განათებები,
- ბაღები,
- ვერანდები და ფანჩატურები,
- შემოსასვლელი კარი,
- პანდუსები,
- ჩამოსაჯდომები,
- მანქანის შესაყენებელი სავალი ნაწილი და პარკინგი,
- ელექტრო როზეტები,
- ძელსკამები და პიკნიკის მაგიდები.

## შემოსასვლელი კარები

შემოსასვლელი კარი, სულ მცირე, 900 მმ სიგანის უნდა იყოს. აივნებიდან, ვერანდებიდან და შიდა ეზოებიდან შესასვლელ კარებს უნდა ჰქონდეს გარკვეული სიმაღლის ზღურბლი, რომლის ღონეც ვერტიკალურად არ უნდა იცვლებოდეს 6 მმ-ზე მეტად, მაშინ, როცა ზღურბლის სიგანე 6-13 მმ-ს შორის უნდა მერყეობდეს. კარის საკეტი დამონტაჟებული უნდა იყოს 900 მმ-დან 1100 მმ შუალედის სიმაღლეზე იატაკიდან. საკეტის გაღება შესაძლებელი უნდა იყოს შეკრული მუშტით



და არ უნდა საჭიროებდეს სახელურის ხელისგულით გადატრიალებას, თითების გამოყენებას და ხელისგულით მიწოლას, ხოლო კარის გამოღებას ან მიწოლას არ უნდა საჭიროებდეს 38 ნიუტონზე მეტი ძალა. გარე, ე. წ., სვინგის ტიპის კარისთვის, რომელიც ორივე მხრიდან იდება, „D“ ფორმის ან ჩამოსაწევი სახელური არის რეკომენდებული. ზოგიერთი სახელური, როგორცაა მომრგვალებული ფორმის ან რთული მექანიზმის საკეტი, რომელსაც წაწვეტილებული ნაწილები აქვს, შეიძლება პრობლემური იყოს, რადგან გამოედოს სამოსი ან ჩანთები.

მთლიანად შემინულ კარებს, მინის კარებს კარკასის გარეშე და კარებს, რომლებსაც გვერდებში მინები აქვს დატანებული, მთელ სიგრძეზე უნდა მიუყვებოდეს მინიმუმ 50 მმ-იანი კანტი, რომელიც განთავსებული იქნება კარის ზედაპირზე, იატაკის დონიდან 1350-1500 მმ-ზე. კანტი შეიძლება შეიცავდეს ლოგოებს ან სიმბოლოებს.

## ჩამოსაჯდომები

დასაჯდომი ადგილების გაკეთებისას სხვადასხვა ვარიანტი უნდა განვიხილოთ. დასაჯდომი ადგილი უნდა იყოს გადასაადგილებელი ბილიკების გასწვრივ, მთავარი სამოძრაო ბილიკებიდან დისტანცირებულად. მიწის ზედაპირის ტექსტურა, დასაჯდომი ადგილის გარშემო, უნდა განსხვავდებოდეს ძირითადი სამოძრაო ბილიკის ზედაპირის მასალისგან. ავეჯი არ უნდა იყოს რისკის შემცველი, ბასრი კიდეებით და ეკლებით (ხიჭვებით). კიდეები უნდა იყოს მომრგვალებული, ხოლო დასაჯდომის ფერი გარემომცველი ზედაპირების ფერებისგან განსხვავებული. ჩამოსაჯდომი ადგილი უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისუფალი სივრცით სკამის/ძელსკამის ირგვლივ და უნდა შეადგენდეს 850-1200 მმ-ს, გადასაადგილებელი მოწყობილობებისთვის, დამხმარე ცხოველებისთვის და სპეციალური დასაყრდენი სკამისთვის, რომელიც გადაადგილებისთვის გამოიყენება. აღნიშნული თავისუფალი სივრცე უნდა იყოს თანაბარი და მყარი.

გასათვალისწინებელია ისეთი სკამების და გრძელი სკამების არსებობა, სადაც ორ ადამიანს (ერთი ადგილი დამხმარე პირის, ხოლო მეორე ყრუ-უსინათლო ადამიანისთვის) გვერდიგვერდ შეეძლება ჯდომა. გრძელი სკამები მიწიდან 450 – 500 მმ-ის სიმაღლეზე უნდა იყოს დამონტაჟებული, მისი სიღრმე კი 380 – 510 მმ უნდა იყოს. საზურგე უნდა ჰქონდეს არსებული სავარძლებისა და გრძელი სკამების, სულ მცირე, 50% - ს. სახელური უნდა ჰქონდეს გრძელ სკამებსა და ჩამოსაჯდომებს. საჭიროა ისეთი სკამებისა და ჩამოსაჯდომების არსებობა, რომლებსაც არ აქვთ ხელის ჩამოსადები იმ მხარეს, რომელიც განკუთვნილია სამოძრაო მოწყობილობების მისადგომად, რაც ადამიანს საშუალებას მისცემს მოწყობილობიდან სკამზე გადაინაცვლოს.

რაც შეეხება საპიკნიკე სკამს, გასათვალისწინებელია, რომ იყოს მისადგომების მიმდებარედ, თანაბარ და მყარ ზედაპირზე, რომელსაც საპიკნიკე მაგიდის ირგვლივ, ყველა მხარეს, სულ მცირე 2000 მმ-იანი სივრცე უჭირავს. საპიკნიკე მაგიდა ადვილად მისადგომი უნდა იყოს ეტლით მოსარგებლებებისთვის. მაგიდის ქვეშ ფეხების შესაღებელი უნდა იყოს, სულ მცირე, 750 მმ-ის სიგანის, 480 მმ-ის სიღრმისა და 680 მმ-ის სიმაღლის.

საჩრდილობელმა ქოლგებმა, გამოშვერილმა ან ჩამოკიდებულმა საგნებმა, როგორცაა კალათები, გამათბობლები და სხვა მსგავსი ნივთები, ადამიანს მაგიდასთან მიახლოებაში ხელი არ უნდა შეუშალოს.

## ლანდშაფტის დიზაინი

ლანდშაფტის დიზაინი მხოლოდ დეკორაციის ფუნქციას არ ატარებს. მისი გამოყენება ეფექტიანად შეიძლება უსინათლო ადამიანის ორიენტირების უნარის გასაუმჯობესებლად.

ეკლიანი, დიდი თესლის ან ნაყოფის მქონე მცენარეები, რომლითაც დაბურულია სამოძრაო ბილიკები, შესაძლოა გადაადგილებისთვის ხელისშემშლელი აღმოჩნდეს და ფოთლებზე, კენკრაზე ან თესლზე ადამიანს ფეხი დაუცდეს და მოცურდეს.

ლანდშაფტის მარტივი დიზაინი შეიძლება გამოვიყენოთ სპეციალური ხელსაწყოების დასამალად, რაც კანონითაც არის გათვალისწინებული, მაგალითად, შესაძლოა ლანდშაფტის დიზაინის რაღაც ნაწილი გამოყენებულ იყოს ერთგვარ ბარიერად ფეხით მოსიარულეებსა და სახანძრო წყალგაყვანილობის სისტემას, გაზის მრიცხველებს, ხანძარმაქრ წყლის მილებსა და გაზის მილებს შორის, მაშინ, როცა მომსახურე პერსონალისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ადვილი იქნება აღნიშნული ხელსაწყოების პოვნა.

საინტერესოა ბალებში არსებული ყვავილებისთვის განკუთვნილი, შემოღობილი, შემადგენელი ადგილები, რაც საშუალებას აძლევს გადაადგილების მექანიკური საშუალებებით მოსარგებლებს, რომლებსაც მიწამდე დახრა არ შეუძლიათ, მეზღობაში ჩაერთონ. ბაღი 800 მმ-ის სიმაღლეზე უნდა ამაღლდეს, სამოძრაო ბილიკების მომიჯნავედ.

ასისტენტი ცხოველებისთვის, მაგალითად დამხმარე ძაღლებისთვის, სპეციალური ზონა უნდა გამოიყოს ბალახებით და კენჭებით, სადაც ასევე იქნება ცხოველისათვის სპეციალური ჭურჭელი. ზონა აღჭურვილი უნდა იყოს სიგნალიზაციით, რაც სერვისით მოსარგებლე ადამიანს მინიშნებას მისცემს.



ხეები, როგორცაა მუხა, ზამთარშიც ინარჩუნებენ ფოთლებს და ქარიან ამინდში მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვის კარგი მინიშნება შეიძლება იყოს საორიენტაციოდ. ქარის ზარი და შადრევანი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ხმის კარგი ლოკალიზატორი ბალებსა და დერეფნებში ორიენტირებისთვის.

## გარე სამოძრაო ბილიკები

ყველა საფენმავლო გარე ბილიკი უნდა იყოს უსაფრთხო, უფრო მეტიც, მოცურების საწინააღმდეგო და არაბზინვარე ზედაპირის მქონე. კონტრასტული ფერები და ტექსტურები უნდა გამოყენებოდეს სხვადასხვა ბილიკის ერთმანეთისგან გასარჩევად. ბილიკის პერიმეტრი კონტრასტული ფერის მასალით უნდა იყოს დაფარული, რათა ადვილად იდენტიფიცირებადი იყოს ტროტუარის კიდეები, მაგალითად, ბეტონის ტროტუარი მუქი ბილიკებით ან შავი ასფალტის სავალი ნაწილი და ნაცრისფერი ბეტონის ტროტუარი.

ისეთი მასალები, როგორებიცაა ასფალტი, ბეტონი, დეკორატიული ბეტონი და აგურის მოსაპირკეთებელი საშუალებები, ტექსტურულად განსხვავდება ერთმანეთისგან. გასათვალისწინებელია ისეთი ბილიკის გაკეთება, რომელიც წრიულია და უკან, საწყის წერტილთან დაგაბრუნებს. ბილიკები უნდა იყოს სწორი, რადგან უსწორმასწორო და მრუდ ბილიკებზე რთულია გადაადგილება მხედველობის სირთულეების მქონე პირებისთვის. მაგალითად, ბილიკის ამოცნობა და განსხვავება სხვა ბილიკებისგან.

ბილიკები მინიმუმ 1500 მმ-ის სიგანის უნდა იყოს. ბილიკებზე არსებული ობიექტების სიდიდე 100 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს, იმ შემთხვევის გარდა, როცა მათი ამოცნობა შესაძლებელია სპეციალური ჯოხით, 680 მმ-ის სიმაღლეზე ნიადაგიდან. მარკიზები, ტენტები, კაბელები და ხის ტოტები არ უნდა აფერხებდეს ბილიკებზე წვდომას.

გარე ბილიკების დაქანება არ უნდა აჭარბებდეს შეფარდებას 1:20 (5%). შემხვედრი, ორმხრივი დაქანების დონე ბილიკზე არ უნდა აჭარბებდეს შეფარდებას 1:20. ზამთრის პერიოდში, ბილიკებზე რეკომენდებულია ქვიშის გამოყენება ტექნიკური მარილის ნაცვლად, რადგან ეს უკანასკნელი ართულებს დამხმარე ცხოველების გადაადგილებას.

გათვალისწინებულ უნდა იქნას გამათბობლების დამონტაჟება პანდუსებსა და კიბეებზე, ყინულისა და თოვლის დასადნობად. კიბეები და პანდუსები მთელ სიგანეზე უნდა გასუფთავდეს თოვლისა და ყინულისაგან. ბილიკებს კარგი სადრენაჟო სისტემა უნდა ჰქონდეს. როცა ცხაურებს ვიყენებთ, ცხაურის უჯრედის სიგანე ერთი მიმართულებით არ უნდა აღემატებოდეს 13 მმ-ს და იმგვარად უნდა იყოს განთავსებული, რომ გრძელი ნაწილები მართობული იყოს მთავარი სამოძრაო ბილიკისა.

## მასალები და მოსაპირკეთებელი საშუალებები ბილიკებისთვის

ბევრი სხვადასხვაგვარი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალა შეიძლება გამოვიყენოთ აივნის, ბილიკის, შიდა ეზოსა და საფეხმავლო ბილიკის მოსაწყობად. გარე სივრცის მოწყობისას გამოყენებულ მასალას ესთეტიკური და პირადი ინტერესები განსაზღვრავს. საუკეთესო შემთხვევაში, გადაადგილების მექანიკური საშუალებებით მოსარგებლეთათვის ზედაპირები უნდა იყოს რბილი და გადასაკვეთად ადვილი. რიყის ქვით მოპირკეთებული ან მოკირწყლული ბილიკი შეიძლება პრობლემური იყოს, რადგან დროთა განმავლობაში ქვა შეიძლება ამოვარდეს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას ხელმისაწვდომი მასალების გამოყენებადობასთან დაკავშირებით. ეს მახასიათებლები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მიწის ზედაპირის კეთილმოწყობისას.

ასფალტი	
დადებითი	უარყოფითი
<ul style="list-style-type: none"> <li>• არ სრიალებს,</li> <li>• გლუვი და მყარია, კარგია გადაადგილების დამხმარე საშუალებებისთვის,</li> <li>• ადვილად მოსავლელია,</li> <li>• კარგია შიდა ეზოებისთვის, საფეხმავლო ბილიკებისთვის, ბილიკებისა და ფანჩატურის იატაკისთვის;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დროთა განმავლობაში შეიძლება გაუხეშდეს,</li> <li>• დროთა განმავლობაში შეიძლება დაიბზაროს, განსაკუთრებით, ხის ფესვების ზემოთ,</li> <li>• განსაკუთრებული სადრენაჟო სისტემა სჭირდება წყლის დაგუბების თავიდან ასაცილებლად,</li> <li>• შესაძლოა დასჭირდეს ფისის გადასმა.</li> </ul>
ქვანული	

დადებითი	უარყოფითი
<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტურების მრავალფეროვნება,</li> <li>• ფერების მრავალფეროვნება,</li> <li>• კარგია შიდა ეზოებისთვის, საფეხმავლო ბილიკებისთვის, ბილიკებისა და ფანჩატურების იატაკისთვის,</li> <li>• ესთეტიკურად მიმზიდველი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დასველების შემდეგ შეიძლება სრიალებდეს,</li> <li>• შეიძლება მივიღოთ მაგარი, მტვრევადი ზედაპირი (დამოკიდებულია ბილიკის კიდეებზე),</li> <li>• ქვები სიზუსტით უნდა იყოს ჩალაგებული, რათა დავიცვათ ქვაფენილის ზედაპირის სისწორე,</li> <li>• მაგარია,</li> <li>• ქვების ამოცვენამ, ყინვისა და ღებობის მონაცვლეობის გამო, შეიძლება შექმნას საფრთხე.</li> </ul>
<b>მოსაპირკეთებელი ფილები</b>	
დადებითი	უარყოფითი
<ul style="list-style-type: none"> <li>• გლუვია, იდეალურია გადაადგილების დამხმარე საშუალებებისთვის,</li> <li>• ფერთა მრავალფეროვნება,</li> <li>• მიზანშეწონილია შიდა ეზოებისთვის, საფეხმავლო ბილიკებისთვის, ბილიკებისა და ფანჩატურის მოსაპირკეთებლად,</li> <li>• ადვილი მოსავლელი და დასასუფთავებელია;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სრიალებს, როცა სველდება,</li> <li>• დროთა განმავლობაში, მასალის კიდეები ერთმანეთს შორდება.</li> </ul>
<b>დასხმული ბეტონი</b>	
დადებითი	უარყოფითი
<ul style="list-style-type: none"> <li>• არ სრიალებს თუ ზედაპირი ჯაგრისითაა დამუშავებული ან გარკვეული ტექსტურა აქვს,</li> <li>• ძალიან გლუვია და იდეალურია გადაადგილების დამხმარე საშუალებებისთვის,</li> <li>• მიზანშეწონილია შიდა ეზოებისთვის, საფეხმავლო ბილიკებისთვის,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უფრო ძვირადღირებული და რთულად მოსავლელია, ვიდრე ინდივიდუალური ქვაფენილი,</li> <li>• ძირითადად, არის თეთრი/ნაცრისფერი, თუმცა ბეტონი შეიძლება ქიმიური საშუალებებითაც იყოს შეღებილი,</li> <li>• იბზარება.</li> </ul>

ბილიკების, ვერანდებისა და ფანჯატურების მოსაპირკეთებლად,	
<b>კაუჩუკის ზედაპირები</b>	
<b>დადებითი</b>	<b>უარყოფითი</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• არ სრიალებს, როცა გამოყენებულია სტრუქტურის მქონე ზედაპირი,</li> <li>• ხელმისაწვდომია როგორც გლუვ, ასევე ტექსტურიან მასალებში,</li> <li>• გლუვი და თანაბარი ზედაპირია,</li> <li>• კარგი გამძლეობისაა,</li> <li>• ადვილად დასასუფთავებელია,</li> <li>• ფერთა მრავალფეროვნებაა,</li> <li>• მოსავლელად ადვილია;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეიძლება იყოს ძვირი,</li> <li>• შეიძლება დალაქავდეს,</li> <li>• შეიძლება სრიალებდეს გლუვი ზედაპირის გამო,</li> <li>• ცხიმის დაღვრის გამო, შეიძლება წარმოიშვას მოსრიალების საფრთხე,</li> <li>• შეიძლება გარემოში ალერგიის გამომწვევი გახდეს.</li> </ul>
<b>კედარი ან დაპრესილი ხე</b>	
<b>დადებითი</b>	<b>უარყოფითი</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• გარკვეულწილად გამძლეა,</li> <li>• როცა მშრალია, არ სრიალებს,</li> <li>• მყარი, მაგრამ ხაოიანი ზედაპირია,</li> <li>• ფერების არჩევანია,</li> <li>• ადვილად მოსავლელია</li> <li>• მიზანშეწონილია ვერანდებზე, აივნებსა და ფანჯატურებში დასაგებად;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თუ სველია, სრიალებს,</li> <li>• დროთა განმავლობაში ფუჭდება,</li> <li>• შეიძლება დატყდეს დაწოლის სიმძიმის გამო.</li> </ul>
<b>ნახერხი</b>	
<b>დადებითი</b>	<b>უარყოფითი</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• არ სრიალებს, როცა მშრალია,</li> <li>• მრავალფეროვანია,</li> <li>• გამძლეა, კარგია მათთვის, ვინც ხშირად ეცემა,</li> <li>• რეკომენდებულია ბილიკებისა და მოედნებისთვის;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რთულია გადაადგილება მათთვის, ვინც დამხმარე საშუალებებით სარგებლობს,</li> <li>• შეიძლება დასჭირდეს ბალახების ამოძირკვა,</li> <li>• ზედაპირს სჭირდება შეცვლა,</li> <li>• რთულია დამხმარე საშუალებების გადაადგილება ზედაპირზე,</li> <li>• საჭიროებს მუდმივ მოვლას, რათა ღარები იყოს ამოვსებული და ზედაპირი კარგად დაფარული.</li> </ul>

<b>დაპრესილი ნახერხი და პარკეტი</b>	
<b>დადებითი</b>	<b>უარყოფითი</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ქარხნულად დამზადებული პარკეტების უმრავლესობა არ სრიალებს არც მშრალ და არც სველ მდგომარეობაში,</li> <li>• ჰგავს და აჩენს ხის შეგრძნებას,</li> <li>• მტკიცე, მაგრამ ხაოიანი ზედაპირია,</li> <li>• გამძლე და ადვილად მოსავლელია,</li> <li>• მრავალფეროვანია,</li> <li>• მიზანშეწონილია საფეხმავლო ბილიკებისთვის, აივნებისა და ვერანდებისთვის;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცუდად უძლებს ვიბრაციას,</li> <li>• შესაძლოა ძვირი ღირდეს.</li> </ul>

თუ ბილიკებს აქვს დაქანება, რომელიც 1:20-ს აღემატება, ის პანდუსად ჩაითვლება. პანდუსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- სულ მცირე 1100 მმ-ის სიგანის,
- დახრილობები არაუმეტეს 1:15 (6.67%) შეფარდებისა,
- ორი შემხვედრი დახრილობა არაუმეტეს შეფარდებისა 1მმ : 50 მმ,
- გრძივი სახელურები პანდუსის ორივე მხარეს და სახელურებს შორის დაშორება 1100 მმ,
- გრძივი სახელურები მაღალი კონტრასტის მქონე ფერით უნდა გამოირჩეოდეს გარემოში,
- მომრგვალებული სახელურები არანაკლებ 30 და არაუმეტეს 40 მმ-ის სიგანისა,
- კედლებსა და მოაჯირებს შორის მანძილი არანაკლებ 50 მმ-ისა,
- სახელურები 865-965 მმ სიმაღლისა უნდა იყოს. სიმაღლე იზომება სახელურის ზედაპირიდან პანდუსის ზედაპირამდე,
- სახელური, რომელიც ჰორიზონტალურად გრძელდება, არ უნდა იყოს 300 მმ-ზე ნაკლებით გადაცდენილი პანდუსების ზედა და ქვედა წერტილებს,
- ჰორიზონტალური ჯებირები, რომლებიც ეყრდნობა იატაკს, კიბეს ან კედელს,

- 50 მმ სიგანის კონტრასტული ფერის მქონე კანტი, რომელიც დატანილია პანდუსის ზედა და ქვედა წერტილებზე, მთელი პანდუსის გასწვრივ,
- პანდუსების აივნებთან და ვერანდებთან დამაკავშირებელი ღიობი.

ეს არის პანდუსის მაგალითი. მცენარეები გარემოსთან კარგ კონტრასტს ქმნიან.



## გარე კიბეები

როცა ვიწყებთ გარე სივრცეების დაგეგმარებას, როგორებიცაა ვერანდები, აივნები ან შემადღებები, უმჯობესია, ინკლუზიური დიზაინის მიდგომები გავითვალისწინოთ და კიბეების ნაცვლად პანდუსები და დახრილი ზედაპირები გამოვიყენოთ. ხშირად კიბეს და კიბის სახელურებს შეუძლია ბაღების სტილი და ლანდშაფტის მოწყობის მნიშვნელობა შეამციროს. თუ გვსურს გარე სივრცეებში კიბეები გვქონდეს, აუცილებლად უნდა ჩავრთოთ გადაადგილების ისეთი საშუალებებიც, როგორებიცაა პანდუსები და შემადღებები.

- კიბის სიგანე და სიმაღლე:
  - კიბის საფეხურის სიმაღლე არ უნდა იყოს 125 მმ-ზე ნაკლები და 175 მმ-ზე მეტი,
  - კიბის საფეხურის სიღრმე არ უნდა იყოს 280 მმ-ზე ნაკლები და 355 მმ-ზე მეტი,
  - კიბის საფეხურები უნდა იყოს თანაბარი სიგრძისა და სიგანის;
- საფეხურის კიდის დამცავი:
  - არ უნდა აჭარბებდეს 38 მმ-ს,
  - არ უნდა ჰქონდეს უხეში ქვედა ნაწილი,
  - მრუდის რადიუსი საფეხურების წინა წახნაგებზე არ უნდა აღემატებოდეს 13 მმ-ს,
  - ჰორიზონტალურად 50 მმ სიგანის, კონტრასტული ფერის კანტი უნდა მიუყვებოდეს კიბის მთლიან საფეხურს;
- მოაჯირები:
  - განლაგებული უნდა იყოს კიბის ორივე მხარეს,
  - უნდა დამონტაჟდეს არანაკლებ 865 და არაუმეტეს 965 მმ სიმაღლეზე,
  - უნდა გრძელდებოდეს კიბის შიდა კიდეებზე,
  - უნდა ჰქონდეს 30 – 40 მმ-ის სიღრმის მომრგვალებული ნაწილი მთელ სიგრძეზე და კედლიდან, სულ მცირე, 50 მმ-ით იყოს დაშორებული,
  - უნდა იყოს კედლის სიახლოვეს და არ შეუშალოს ხელი ფეხით მოსიარულეს,
  - უნდა გაგრძელდეს, ყველაზე ცოტა, 300 მმ-ით იატაკის ზედაპირის პარალელურად, როგორც კიბის ზევით, ისე დასაწყისში და შემდეგ




ჩამოგრძელდეს საფეხურის სიგანის შესაბამისად, სულ მცირე, 300 მმ-ის სიგრძეზე, როგორც ზევით, ასევე კიბის დასაწყისში.

- უნდა იყოს კონტრასტული ფერისა;
- გადაადგილების ტაქტილური ზედაპირების მახასიათებლები:
  - გარე კიბის ზედა უჯრედზე უნდა განთავსდეს და მიუყვებოდეს კიბეს მთელ სიგანეზე,
  - კიბის მთელ სიგანეზე, 610 მმ-ის სიგრძის და ერთი საფეხურის ზომის დისტანციით დამორებული ბოლო, ზედა საფეხურის კიდე, და
  - კონტრასტი გარემომცველ ფერებთან.



### ტაქტილური ბილიკების ზედაპირების ინდიკატორების მაგალითები



### ვერანდები, ტერასები და შემადლებული ადგილები

ვერანდებს, ტერასებს და შემადლებულ ადგილებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოაჯირები ზედაპირის მთელ პერიმეტრზე. ადგილებში, სადაც კიბეები ან პანდუსები უერთდება ამადლებულ ნაწილებს – ვერანდებსა და ტერასებზე – დატანებული უნდა იყოს კარები.

მოაჯირების განთავსებისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს მჯდომარე ადამიანების მხედველობით მახასიათებლებზე, რათა გაუმჯობესდეს ხილვადობა ყველასთვის, განსაკუთრებით, მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის.

## სავალი ბილიკები

სავალი ბილიკების ზედაპირები უნდა იყოს თანაბარი და მყარი. სავალი ბილიკის მაქსიმალური დაქანება უნდა იყოს 1:50 ისევე, როგორც შემხვედრი დაქანებები - 1:50. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პარკინგის ირგვლივ გადაადგილებისთვის საკმარისი სივრცე დარჩეს. საპარკინგე სივრცე, სულ მცირე, 3400 მმ-ის სიგანის უნდა იყოს. გარშემო არსებული სივრცე კი უნდა უკავშირდებოდეს სახლამდე მისასვლელ ბილიკებს. პარკინგის ირგვლივ არსებული მისადგომები 1500 მმ-ის სიგანის უნდა იყოს და პარკინგის მთლიან სივრცეს ეკვროდეს გარს. პარკინგის მისადგომები ადვილად გარჩევადი უნდა იყოს მაღალი ტონალობის კონტრასტული დიაგონალური ზონების საშუალებით.

სამოძრაო ბილიკები უნდა განთავსდეს ქუჩიდან შემომავალი სამანქანო ბილიკების გვერდით, რაც უზრუნველყოფს საკმარის სივრცეს გადაადგილების დამხმარე საშუალებებით მოსარგებლე ადამიანებისთვის. კომბინირებული სასეირნო და საავტომობილო ბილიკები უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან მოაჯირებით, საყვავილებით ან ბოძებით.

სახლის მისამართის მაიდენტიფიცირებელი ნომერი ქუჩის დონეზე უნდა დამონტაჟდეს. მისამართის ნომრები გარემოში უნდა გამოირჩეოდეს კონტრასტული ფერით და დამზადდეს ტაქტილური მასალისგან.

## როზეტები, ჩამრთველები და სხვა ოპერაციული მექანიზმები

მართვის პულტები:

- უნდა იყოს მარტივი და ადვილად მისახვედრი გამოყენებისას;
- არ უნდა სჭირდებოდეს დაჭერა ან დაწოლა და დახვეწილი მოტორული მოძრაობები;
- მარტივად დასანახი და განთავსებული ისეთ ადგილას, სადაც ადვილად მისწვდება როგორც ფეხზე მდგომი, ასევე მჯდომარე ადამიანი.

სამართავ პულტებამდე გზა უნდა იყოს დაბრკოლებებისგან თავისუფალი. პულტი მიწიდან არანაკლებ 400 და არაუმეტეს 1200 მმ-ის სიმაღლეზე უნდა დამონტაჟდეს.

## მისაღები და სასადილო ოთახები

მისაღებები და სასადილოები ის ადგილებია, სადაც უნდა დავისვენოთ და თავი კომფორტულად ვიგრძნოთ. ღია კონცეფციით დაგეგმარებული სივრცე, ცოტა დერეფნითა და ერთმანეთთან დაკავშირებული ოთახებით, უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სივრცე პატარა ოთახებით.

როცა მისაღებ ოთახებს ინკლუზიური პერსპექტივის მიხედვით ვაგეგმარებთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სივრცეში მანევრირების შესაძლებლობა,
- ფერები,

- ავეჯის განლაგება,
- განათება,
- სივრცის აღქმადობა.

გადაადგილების უწყვეტი სივრცე მინიმუმ 915 მმ-ს სიგანის უნდა იყოს და მთელ საცხოვრებელ სივრცეს კვეთდეს. უსინათლო ადამიანებს, რომლებსაც შეზღუდული აქვთ გადაადგილება, მარტივად გადაადგილებისთვის, თავისუფალი სივრცე სჭირდებათ. სამოძრაო სივრცეები უნდა უზრუნველყოფდეს წვდომას ავეჯთან, ჩამრთველებთან, თაროებთან და პულტებთან. დიდი, გახსნილი სივრცეები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა დანიშნულების სპეციალურ უბნებად.

## ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

როცა საქმე საცხოვრებელ სივრცეს ეხება, უნდა გავითვალისწინოთ ფერების გამოყენება ავეჯისთვის. უნდა შევარჩიოთ მანათობელი, მკვეთრი ფერები, როგორცაა ფორთოხლისფერი, წითელი და ყვითელი (ამ ფერების დანახვა და ამოცნობა მარტივია). ავეჯი კონტრასტში უნდა იყოს კედლებთან.

კედლები ავეჯისგან განსხვავებული ფერისა უნდა იყოს, პლინთუსის ფერი უნდა განსხვავდებოდეს კედლისგან და განსაზღვრავდეს პერიმეტრს იატაკსა და კედლებს შორის. მაგალითად, ღია ფერის იატაკი და მუქი ფერის პლინთუსები.

კედლები და ჭერი დაფარული უნდა იყოს ნაკლებად მბზინვარე ზედაპირებით. უნდა მოვერიდოთ ადვილად დაბინძურებად ზედაპირებს.



## ავეჯი

ავეჯი უნდა იყოს მტკიცე, მყარი და კარგი დამხმარე. სავარძლებს უნდა ჰქონდეს მყარი ბალიშები ან პარალონი და ხელის ჩამოსადები. სავარძელი უნდა იყოს -500 მმ-ის სიმაღლის.

ავეჯი, რომლის სიმაღლის კონტროლიც შესაძლებელია, ადვილად შეიძლება მოერგოს ადამიანის საჭიროებებს.

ორადგილიანი დივნებიც უნდა იყოს გათვალისწინებული მათთვის, ვისაც თარჯიმანი ან დამხმარე სჭირდება.

სასადილო მაგიდა უნდა იყოს მართკუთხა ან კვადრატული ფორმის. მაგიდის სწორი მოხაზულობები დაეხმარება უსინათლო ადამიანებს გადაადგილდნენ მაგიდისკენ და მაგიდის გარშემო. სასადილო ოთახის სკამები უნდა იყოს მყარი და კონტრასტს ქმნიდეს იატაკის ფერთან. მუქი ფერის სასადილო მაგიდა კარგ კონტრასტს შექმნის თეთრი ფერის თეფშებთან. ადეკვატური სივრცე უნდა იყოს სასადილო ოთახის მაგიდისა და სკამების ირგვლივ, რათა ყურადღება მივაქციოთ როგორც მაგიდასთან მჯდარი, ასევე მათ ირგვლივ მოძრავი ადამიანების საჭიროებებს.



## ფანჯრები და ფანჯრის მორთულობები

ფანჯრები საუკეთესო გზაა ბუნებრივი სინათლის მისაღებად საცხოვრებელ, სასადილო სივრცეებში. ფანჯარა საკმარისად ფართო უნდა იყოს სინათლის და სუფთა ჰაერის შემოსასვლელად. ფარდებით ან ჟალუზებით უნდა კონტროლდებოდეს ოთახში შემომავალი მუქის ოდენობა. ბევრმა მზის სხივმა შეიძლება „გადაღბნოს“ ოთახი და გარჩევადობა გაართულოს. ფანჯრებს, რომლებიც გარე სივრცეს გადაჰყურებენ, უნდა ჰქონდეთ რაფები, რომლებიც 750 მმ-მდე სიმაღლეზეა დამონტაჟებული იატაკის დონიდან. ფანჯრის საკეტის გამღებ-ჩამკეტები იატაკის დონიდან 400-1200 მმ-ის სიმაღლეზე უნდა მდებარეობდეს. ფანჯრის გამღებ-ჩამკეტი პულტი უნდა იყოს მოთავსებული ღია სივრცეში.

ფანჯრები, რომლებიც ჰორიზონტალურად სრიალებს და ისე იღება, კარგი არჩევანია, რადგან ადვილია მათი გაღება. ორი ჰორიზონტალურად განლაგებული ფანჯარა დახვეწილ მოტორულ

უნარებს და ორივე ხელს საჭიროებს გაღებისას. დისტანციურად სამართავი ფანჯრები კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ვარიანტია.

ფარდა/ჯალუზების მაკონტროლებლების, ჩამკეტებისა და ფარდის თოკების შემჩნევა ადვილია, როცა მათი ფერი კონტრასტშია გარემო ზედაპირების ფერებთან.

## აკუსტიკა

აკუსტიკამ შეიძლება ხელი შეგვიწყოს ან პირიქით, შეგვიშალოს გავიგონოთ ტელეფონის ზარი, კარზე რეკვის ხმა ან ადამიანების საუბარი. მშვიდი გარემო ეხმარება მათ, ვისაც დაქვეითებული აქვს სმენა. აკუსტიკურად ცოცხალი ოთახები, სადაც მყარი ზედაპირებია და ავეჯი, რომელიც რბილი ქსოვილით არ არის გადაკრული, ქმნის ხმაურიან გარემოს და ადვილად აირეკლავს ხმას. ისეთი რბილი ელემენტების გამოყენება, როგორებიცაა: ფარდები, გადაკრული ავეჯი, ხალიჩები და ჭერის მოსაპირკეთებელი თაბაშირ-მუყაო, აუმჯობესებენ აკუსტიკის ხარისხს სივრცეში ხმის შეწოვით.

ხმის დამხშობი მასალები იატაკებისთვის:

- ხალიჩები
- კორპი
- რეზინა

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლომდე არ დავახშოთ გარემოში არსებული ხმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მინიმუმბათა სისტემა უსინათლო ადამიანისთვის სივრცეში ორიენტირებისას.

ღიზინის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები:


- ხმაურიანი ხელსაწყოებისგან გამოწვეული გარემომცველი ხმაურის შემცირება ჩუმი პროდუქტების შერჩევის გზით
- ხმის ჩამხშობების დამონტაჟება
- ხმაურიანი გარეხელსაწყოების განლაგება კარისა და ფანჯრებისგან მოშორებით

## კედლები

სახლების შიდა კედლებზე, რომლებიც სამოძრაო არეალის მიმდებარეაა, უნდა მოვერიდოთ უხეშ ზედაპირებს, როგორიცაა აგური, ტექსტურიანი ბეტონი ან გამალაშინებული ხე, რადგან უსინათლო ადამიანები კედლებზე ხელების ფათურით გაიკვლევენ გზას და, შეიძლება, დაიზიანონ ხელი. გარდა ამისა, რეკომენდებულია ზედაპირები, რომლებიც მინიმალურ მოვლას საჭიროებს, მაგ., ვინილის ზედაპირი. ლითონის კანტები და კუთხის დამცავები დერეფნებში შეამცირებს გადაადგილების დამხმარე მოწყობილობებისგან გამოწვეულ მოსალოდნელ დაზიანებებს.

## იატაკის მოპირკეთება

ხალიჩები, რომელთა ფერიც იატაკთან შედარებით კონტრასტულია, უსინათლო ადამიანისთვის გარემოში საორიენტაციო ნიშანთა სისტემას ქმნის. იატაკის დიზაინში სხვადასხვა ტექსტურისა და ფერის გამოყენებით, შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ოთახები.



იატაკის ფერისა და ტექსტურის კონტრასტი, რომელიც სცდება კარის ჩარჩოს, მიანიშნებს ოთახის შესასვლელს

ხალიჩები უსაფრთხოდ უნდა იყოს დამაგრებული იატაკზე ლურსმნებით ან სამაგრი კანტებით, რათა თავიდან ავიცილოთ მათი სრიალი. ხალიჩა უნდა იყოს დაბალბეწვიანი, დაბალაქროლადი ორგანული ნაერთები. თავიდან უნდა ავირიდოთ სქელი ფუმფულა ხალიჩები.

იატაკის მასალები მისაღები და სასაღილო ოთახებისთვის უნდა იყოს რბილი, მოცურებისადმი მედეგი და ადვილი გადასადგილებლად. უნდა გავითვალისწინოთ გლუვი ზედაპირები ხის, ქვის, კორპისა და მეტლახისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ მბზინვარება.



## როზეტები

როზეტების, შუქის ჩამრთველების და თერმომარეგულირებლების ფერი უნდა იყოს, კედლის ზედაპირის ფერებთან შედარებით, კონტრასტული. თერმომარეგულირებლებს უნდა ჰქონდეს

გამოკვეთილი, ადვილად წასაკითხი ციფრები. პულტი, რომელიც ციფრების აკრეფისას წრიპინებს, ასევე შეიძლება გამოსადეგი იყოს.


ელჩამრთველები, როზეტები, თერმომარეგულირებლები არ უნდა იყოს 400 მმ-ზე დაბლა და 1200 მმ-ზე მაღლა დამონტაჟებული და უნდა განთავსდეს დაბრკოლებებისგან თავისუფალ ადგილებში.

## შიდა კიბეები

კიბეები სახლის შიგნით:

- თანაბარი სიმაღლისა და სიღრმის საფეხურები (საფეხური არის ადგილი, რომელზეც ფეხს ადგამ, ჰორიზონტალურად განლაგებული იატაკთან მიმართებით, ხოლო საფეხურის სიმაღლე მართობულად მიემართება იატაკს);
- საფეხურის სიმაღლე არ უნდა იყოს 175 მმ-ზე მეტი;
- საფეხურის სიღრმე არ უნდა იყოს 280 მმ-ზე ნაკლები – საფეხურის უკიდურესი შიდა წერტილიდან საფეხურის კიდის დამცავამდე საჭიროა, არსებობდეს დისტანცია;
- საფეხურები უნდა იყოს აუცილებლად დახურული;
- მინიმალური განათება – 200 ლუქსი ყველა საფეხურზე.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ორი 50 მმ-იანი ჰორიზონტალური კანტი, საფეხურის კიდის მთელ სიგრძეზე, ყველა საფეხურისთვის და თითოეული საფეხურის სიღრმეში, ზედა ნაწილზე. ამ ორი კანტის გაერთიანებაც შესაძლებელია (კიბის კიდე ის ნაწილია, რომელიც ზემოდან დაჰყურებს მის ქვემოთ მდებარე საფეხურს). კანტების ფერი უნდა იყოს საფეხურის ფერთან შედარებით კონტრასტული და იყოს მოცურებისადმი მედეგი. საუკეთესო შემთხვევაში, საფეხური უნდა იყოს მუქი ფერისა და 50 მმ სიგანის კანტი უნდა იყოს ღია ფერისა.





კიბის საფეხურების გასწვრივ, ორივე კედელზე დატანებული ზოლი უნდა იყოს ღია ფერის, როცა ის მუქ საფეხურებთანაა კომბინაციაში.

საფეხურის კიდის დამცავი:

- უნდა იყოს 38 მმ ან ნაკლები
- ჰქონდეს რბილი ქვედა ნაწილი (შეიძლება აკრათ ფეხი და დავიზიანოთ)
- უნდა იყოს მოცურებისადმი მედეგი


გადაადგილების ტაქტილური ზედაპირის მქონე 610 მმ-იანი კანტი კიბის ზედა უჯრედზე უნდა განთავსდეს, კიბის მთელ სიგანეზე და ერთი საფეხურის ზომის დისტანციით უნდა შორდებოდეს ბოლო საფეხურის კიდეს.



სიბნელეში  
მანათობელი  
ლენტები კიბეზე

კიბეს უნდა ჰქონდეს სახელურები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- უნდა იყოს დამონტაჟებული კიბის ორივე მხარეს;
- უნდა იყოს თანაბარი სიმაღლის 860 დან 920 მმ-მდე, რაც აიზომება მომიჯნავე საფეხურის კიდიდან ვერტიკალურად;
- უნდა გრძელდებოდეს ორი ან მეტი კიბის შემაერთებული უჯრედის გასწვრივ, თუ უჯრედის სიგრძე 2100 მმ-ზე ნაკლებია;
- უნდა იყოს მომრგვალებული, გარე დიამეტრით 30-40 მმ;
- განთავსებული 35-45 მმ-ის დისტანციაზე კედლის გლუვი ზედაპირიდან;
- გარშემო არსებული კედლების ფერებთან კონტრასტული ფერისა;
- უნდა ჰქონდეს უწყვეტი, კარგი მოჭიდების ზედაპირი;





- მოაჯირი უნდა ეყრდნობოდეს კედელს, იატაკს ან საყრდენს;
- უნდა გაგრძელდეს მინიმუმ 300 მმ-ით იატაკის ზედაპირის პარალელურად, როგორც კიბის ზევით, ისე დასაწყისში და შემდეგ ჩამოგრძელდეს საფეხურის სიგანის შესაბამისად, სულ მცირე, 300 მმ-ის სიგრძეზე, როგორც ზევით, ასევე კიბის დასაწყისში. სახელურების ეს გაგრძელება საორიენტაციო და დამხმარე როლს ასრულებს კიბით მოსარგებლებისთვის. ეს გაგრძელებები შეიძლება გვერდით მოვაქციოთ, რათა არ იქცეს გადაადგილებისთვის დაბრკოლებად.



## სამზარეულოები

უნივერსალური დაგეგმარების სამზარეულოები ყველასთვის კომფორტული და უსაფრთხოა. ასეთი სამზარეულოები განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დამოუკიდებლობას უწყობს ხელს. ინკლუზიური სამზარეულოები მხედველობაში იღებენ სამზარეულოს დიზაინის ყველა ელემენტს.

როცა ინკლუზიურ სამზარეულოს ვაგეგმარებთ, მრავალი საკითხია გასათვალისწინებელი:

- ეფექტიანი გეგმარება,
- მანევრირების სივრცე გადაადგილებული საშუალებებისთვის,
- მინიმალური ძალისხმევა გამოყენებისას,
- დასასუფთავებლად მარტივი,
- განათება,
- უსაფრთხოება.

სამზარეულოს შესასვლელი ღიობი არ უნდა იყოს 900 მმ-ზე ნაკლები, რათა გავითვალისწინოთ მათი საჭიროებები, ვისაც გადაადგილების დამხმარე საშუალებები სჭირდება. სამზარეულოები უნდა იყოს შემოსავლელთან და სასადილო სივრცეებთან ახლოს და ისეთ ადგილას, საიდანაც სამზარეულოს ნარჩენების მოშორება მარტივია. სამზარეულოს შესასვლელის კარებს რაც შეეხება, კარები და კარის ჩარჩოები უნდა იყოს ფერადი/კამკაშა კონტრასტული გარემომცველი კედლების ფერისგან. როცა შემოსასვლელს კარები არ აქვს, შემოსასვლელი სივრცე მონიშნული უნდა იყოს 50 მმ-იანი კონტრასტული ფერის საზღვრებით ღიობის ორივე მხარეს.




განათების დონე სამზარეულოში, სულ მცირე, 300 ლუქსი უნდა იყოს იატაკიდან გაზომვის შემთხვევაში. გარდა ამისა, სამუშაო განათებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამუშაო ზედაპირები და ღუმელები - სულ მცირე, 500 ლუქსი გაზომილი სამუშაო ზედაპირიდან ან ღუმელიდან. უნდა გავითვალისწინოთ ავეჯის ქვედა ნაწილებში დამაგრებული განათება, რომელიც უნდა იყოს 100 ლუქსი.

### ფერის/ სიკაშკაშის კონტრასტი

ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი შენობებში ეფექტიანად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მიზნისთვის. ფერი შეიძლება გამოიყენებოდეს კარის ღიობის იდენტიფიცირებისთვის, ჩამრთველებზე ყურადღების გასამახვილებლად, სივრცეების მოსანიშნად, სამოძრაო არეალის და გარემოში მოსალოდნელი საფრთხის განსასაზღვრად.

როცა სამზარეულოებს ვაგეგმარებთ, დასაწყისშივე უნდა გავითვალისწინოთ ფერთა სქემები. კარგად გადათამაშებული ფერები სამზარეულოში, დაგვეხმარება განვსაზღვროთ და გავაუმჯობესოთ უსინათლო ადამიანების შესაძლებლობები, რათა მათ გაიგონ და გაითავისონ სამზარეულოში არსებული გარემოს მახასიათებლები.



ფერთა წარმოდგენილი სქემები მიზანშეწონილია მხედველობის პრობლემების მქონეთათვის: ღია ფერის იატაკი ხსნის სივრცეებს. ზოგიერთი სუსტი მხედველობის ან კოგნიტური შეზღუდვების მქონე ადამიანისთვის მუქი ფერის მასალა იატაკზე ჩაღრმავებად ან უსწორმასწორობად აღიქმება.

ღია ფერის იატაკი შეიძლება იყოს კრემისფერი, თეთრი ან ღია ნაცრისფერი, სადაც პერიმეტრი შემოსაზღვრული იქნება კონტრასტული ფერის, მინიმუმ 100 მმ სიგანის პლინთუსებით, რომლებიც ღია ფერის კედლების დაბოლოებას წარმოადგენს.

სამზარეულოს ავეჯი უნდა იყოს მუქი შეფერილობის, ღია ფერის სათავსოებითა და ავეჯთან შედარებით კონტრასტული სახელურებით. სამუშაო ზედაპირები უნდა იყოს ღია ფერის და ფონად მუქი ფერის ზოლი ჰქონდეს. სამუშაო ზედაპირების ვერტიკალური კიდეები უნდა იყოს კედლის ზედაპირების მსგავსად ღია ფერისა. იატაკის მოსაპირკეთებელი საშუალება და კარის მასალაც მუქი ფერისა უნდა იყოს.

ფერების ალტერნატიული სქემაა მუქი ფერის იატაკი, ღია ფერის სამზარეულოს ავეჯი, მუქი ფერის ზედაპირები ღია ფერის ფონურ ზოლებთან, მუქი სახელურები, მუქი კედლები ღია ფერის როზეტებით და ღია ფერის ზოლები.

ყველა ელექტრო როზეტი, რომელიც კედელზეა განთავსებული, კონტრასტში უნდა იყოს გარემომცველი კედლების ფერებთან.

როცა გვაქვს მუქი ფერის სამუშაო ზედაპირები, ღია ფერის ნიჟარები უნდა შევუხამოთ. სამზარეულოს ტექნიკა ღია ფერის უნდა იყოს, რადგან მუქი ფერის სამზარეულოს ავეჯთან და ზედაპირებთან კონტრასტს ქმნიდეს. კარის ზედაპირი უნდა იყოს მუქი და კონტრასტში ღია ფერის კედლებთან.

სამზარეულოს ავეჯი კონტრასტში უნდა იყოს იატაკის ფერთან. მაგალითისთვის, მუქი ფერის ავეჯი საკმარის კონტრასტს შექმნის ღია ფერის იატაკთან და კედლებთან.

## ტექნიკა

- მაცივრები
  - რეკომენდებულია ორკარიანი მაცივრები;
  - გორგოლაჭებზე მოძრავი თაროები ან მაცივრის უჯრები ამარტივებს მაცივრის შიგთავსთან წვდომას;
  - მაცივრის კარზე დამაგრებული წყლისა და ყინულის დისპენსერი კომფორტულია ბევრი მომხმარებლისთვის;
- ჭურჭლის სარეცხი მანქანა
  - განათავსეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანები ისეთ სიმაღლეზე, რაც ადვილს გახდის ჭურჭლის ჩალაგებასა და ამოღებას;
- ქურები
  - ქურის ჩამრთველ-გამომრთველები სასურველია განთავსდეს ან წინ, ან ქურების გვერდით, რათა მომხმარებელი ავარიდოთ გახურებულ ზედაპირებს;
  - ქურის ზედაპირი უნდა დამონტაჟდეს იატაკიდან 810-860 მმ სიმაღლეზე;
  - ქურის გვერდით არსებული სამუშაო სივრცე უნდა იყოს, სულ მცირე, 400 მმ სიგანის და ქურის სიმაღლეზე განლაგებული;
  - ფეხების მოსათავსებელი სივრცე ქურის ცენტრში უნდა იყოს: სულ მცირე, 750 მმ სიგანის, 200 მმ სიღრმის და 680 მმ სიმაღლის დამატებით თითებისთვის თავისუფალ სივრცესთან ერთად, რომელიც 750 მმ სიგანის, 230 მმ სიღრმისა და 230 მმ სიმაღლის იქნება;
  - ქვედა ნაწილში, სადაც მუხლებისთვის თავისუფალი სივრცეა, იზოლაცია ან სხვა ტიპის დაცვაა საჭირო;
  - იატაკზე უნდა გამოინახოს, სულ მცირე, 750-1200 მმ-ზე თავისუფალი სივრცე, რომელიც შეიძლება 480 მმ-ით გაფართოვდეს ქურის ქვეშ;
  - სუსტი მხედველობის პირებისათვის არ უნდა გამოვიყენოთ ქურები კერამიკის ბრტყელი ზედაპირებით;
- ღუმელები
  - კედელში ჩაშენებული ღუმელების შემთხვევაში, სასურველია, კარი/კარები, რომლებიც გვერდულად იღება;
  - ღუმელები თავისით უნდა სუფთავდებოდეს;
  - კედლის ღუმელების რეჟიმების მარეგულირებლები უნდა დამონტაჟდეს 400 – 1200 მმ-მდე იატაკის დონიდან ღუმლის წინა მხარეს;

- ცეცხლგამძლე, გორგოლაჭებზე მოძრავი თაროები უნდა გავითვალისწინოთ ღუმლის კარის ქვემოთ ან კარის იმ მხარეს, სადაც კარის გაღება-დახურვის მექანიზმია. ეს თაროები მინიმუმ 250 მმ-ზე უნდა გამოდიოდეს წინ.



## სამზარეულოს კარადები და თაროები

კარადებს, უჯრებსა და თაროებს, სულ მცირე, ერთი, იატაკიდან არა უმეტეს 1100 მმ-ის სიმაღლის თარო უნდა ჰქონდეს. უჯრების და კარადების შიდა მხარე, ავეჯსშიგა ხილვადობის გაზრდის მიზნით, უნდა იყოს ღია ფერისა. თაროები უნდა განთავსდეს სამუშაო ზედაპირებისა და კარადების ზემოთ, ხოლო გორგოლაჭებზე მოძრავი თაროები სამუშაო ზედაპირების ქვემოთ. D ტიპის სახელურები უნდა დამაგრდეს ზედა კარადების კარსქვედა წერტილში და ქვედა კარადების კარსზედა ნაწილში. D ტიპის სახელურები კონტრასტული ფერით უნდა გამოირჩეოდეს კარადებისა და უჯრების გარემომცველი ზედაპირებისგან.

თაროები და უჯრები, რომელთა გამოწვევაც ბოლომდეა შესაძლებელი, ადვილად მისაწვდომი და გამოსაყენებელია. მაგიდის შუაგულში განთავსებული მრგვალი ლანგარი, რომელიც ტრიალებს და „ლეიზი ‘ზარმაცი’ სუზანის“ (A Lazy Susan) სახელითაა ცნობილი, მარტივად მოსახმარია.

თითოეულ კარადაზე, თაროსა თუ უჯრაზე ბრაილის შრიფტით ან რელიეფურად უნდა დავიტანოთ სათანადო ინფორმაცია. ბრაილის და რელიეფური წარწერები უნდა განთავსდეს ისე, რომ ადვილად იკითხებოდეს.

მალლა მდებარე კარადების დარეგულირება, აწევა და დაწევა შესაძლებელია ელექტროსისტემით. გარდა ამისა, შეიძლება ზემოდან ქვემოთ მოძრავი თაროები ჩამონტაჟდეს უკვე არსებულ კარადებში, მათზე გორგოლაჭების დამაგრებაც კარადებს ყველასათვის გამოსადეგად აქცევს.

ქვედა კარადებზე თითებისთვის სივრცე უნდა შეადგენდეს მინიმუმ 150 მმ სიღრმესა და 230 მმ სიმაღლეს.

## ზედაპირები

გადაადგილების დამხმარე საშუალებებით მოსარგებლე ადამიანებისთვის მოხერხებულ სამზარეულოს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი სამუშაო ზედაპირის მქონე კარადა:

- სულ მცირე 750 მმ სიგანისა და 600 მმ სიღრმისა;
- 730-860 მმ სიმაღლისა;

- მის ქვეშ არსებული თავისუფალი სივრცე 750 მმ სიგანის, 480 მმ სიღრმისა და 680 მმ სიმაღლისა;
- მის ქვეშ არ უნდა იყოს ბასრი, უხეში ზედაპირები.

სამზარეულოს ელექტროროზეტების ფერი განსხვავდება გარემომცველი ფერებისგან და განთავსებულია ავეჯის გვერდებზე ან წინა მხარეს.

გამოსაწევი სამუშაო დაფები განთავსებულია სამუშაო ზედაპირების ღონეზე ქვევით.

სამუშაო ზედაპირები უნდა იყოს უწყვეტი და ტექნიკასთან დაკავშირებული.

სამუშაო ზედაპირის მასალა არ უნდა წარმოქმნიდეს ბზინვარებას და უნდა იყოს ერთი ფერის.

სამუშაო ზედაპირის მომრგვალებული კიდეები ზრდის უსაფრთხოებას, აქრობს რა მჭრელი კიდეებისგან გამოწვეულ საშიშროებას და ნივთების ზედაპირიდან გადმოცვენას უწყობს ხელს.

## ნიჟარები

ნიჟარები უნდა განთავსდეს არანაკლებ 460 მმ დისტანციით კედლის გვერდით.

იატაკიდან 810 – 860 მმ სიმაღლეზე.

ნიჟარებს უნდა ჰქონდეს ფეხის შესადები თავისუფალი სივრცე, ცენტრში, მინიმუმ 750 მმ სიგანის, 200 მმ სიღრმისა და 680 მმ სიმაღლის, ასევე თითებისთვის თავისუფალი სივრცე, მინიმუმ 750 მმ სიგანის, 230 მმ სიმაღლის.

ნიჟარის ფერი, ზედაპირების ფერთან შედარებით, უნდა იყოს კონტრასტული. თუ ეს შეუძლებელია, ნიჟარის კიდეები უნდა მოინიშნოს კონტრასტული ფერის კანტებით.

ნიჟარას ქვევით არ უნდა ჰქონდეს ბასრი ან უხეში ზედაპირები. ცხელი წყლისა და სადრენაჟე მილები უნდა იყოს უკანა მხარეს და არა თავისუფალ სივრცეში.

ონკანები ან ავტომატურად უნდა იხსნებოდეს ან ჩამოსაწევი სახელური ჰქონდეს. ონკანი უნდა იყოს მაღალი ბათის ყელისებრი, ხოლო ნიჟარა ღრმა, რათა დიდი ქვაბები მარტივად ჩაეტიოს და გაირეცხოს ისე, რომ მათი გადატრიალება არ იყოს საჭირო.

## ფანჯრები და ფანჯრის დეკორი

როცა ფანჯრები განკუთვნილია გარეთ ხედვისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი სამუშაო ზედაპირების ზევითაა, რაფები უნდა დამონტაჟდეს იატაკიდან არაუმეტეს 750 მმ-ის სიმაღლეზე. ფანჯრის საკეტის გამღებ-ჩამკეტები იატაკის ღონიდან 400 – 1200 მმ სიმაღლეზე უნდა განლაგდეს და მისი გამოყენება ერთი ხელით, დაწოლის, თითების და მაჯის გარეშე, უნდა ხერხდებოდეს არაუმეტეს 22 ნიუტონის ძალით.

სამზარეულოს ფანჯრებისთვის უნდა გავითვალისწინოთ ქალუშები, რათა საჭიროების მიხედვით ვარეგულიროთ შემოსული სინათლე. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ფილტრის მქონე, ქსოვილისგან დამზადებულ ქალუშებს, რადგან ისინი მრავალფეროვანია და არასასურველი მზინვარების შუქის დარეგულირების საშუალებას გვაძლევს. განათების არარსებობის შემთხვევაში ქალუშები პრივატულობას უზრუნველყოფს.

სამზარეულოს ფანჯრების ჩარჩოები უნდა იყოს გარემომცველი კედლების ზედაპირების ფერებთან შედარებით, კონტრასტს უნდა ქმნიდეს ისე, როგორც აღწერილია სიკაპკაშის კონტრასტის სექციაში.

## იატაკი

სამზარეულოს იატაკის მასალა უნდა განსხვავდებოდეს მის მიმდებარე იატაკებზე გამოყენებული მასალებისგან. ერთგვაროვანი ტექსტურა, მასზე შიშველი ფეხით გავლისას, მიანიშნებს მხედველობის სირთულეების ადამიანებს, რომ ისინი სამზარეულო სივრცეში არიან. ღია კონცეფციის დიზაინის გამოყენებისას, როცა არ გვაქვს სამზარეულოს კარი, იატაკის განსხვავებული მასალა დაგვეხმარება გამოვიცნოთ როდის გადავდივართ სასადილო/მისაღებ ოთახებში ან სხვა სივრცეში.

სამზარეულოს იატაკის შერჩევისას განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მდგრადი, ადვილად დასასუფთავებელი, არამბზინავი ზედაპირით და უსაფრთხო, სრიალისადმი მედეგი მასალა. თავიდან აირიდეთ ცვილისებრი იატაკი, რადგან ის ბზინავს. კორპის იატაკს კარგი ზედაპირი აქვს, კომფორტულია, გამძლეა, ბორბლიანი მოწყობილობებით ადვილად შეიძლება გადაადგილება და ამცირებს ფეხის დაღლილობას. იატაკის მოსაპირკეთებელი სხვა საშუალებებია:

- ვინილი – ითვლება, რომ ადვილი მოსავლეელია;
- ხე;
- კერამიკის ფილა მაგარი ზედაპირით – რომელიც, მიჩნეულია, რომ ადვილად იწმინდება და მოსახერხებელია ბორბლებიანი საშუალებებისთვის გადასაადგილებლად.

დარწმუნდით, რომ სამზარეულოს იატაკი თანაბარ დონეზეა მიმდებარე იატაკებთან, რათა სამზარეულოში შესვლისას და გამოსვლისას მოსრილების საფრთხე აიცილოთ. უკვე აღინიშნა, რომ იატაკის მოსაპირკეთებელი მასალა და ტექსტურა შეიძლება გამოვიყენოთ სამზარეულო სივრცის გამოსაყოფად ჰოლის, მისაღები და სასადილო სივრცეებისგან, გარემომცველ სივრცეებში ორიენტირებისთვის.

იატაკის ხალიჩები უნდა დამაგრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალიჩა შეიძლება მოცურების, მოსრილების გამომწვევ საფრთხედ ჩაითვალოს.

უნდა გვქონდეს 750 – 1200 მმს თავისუფალი სივრცე, რათა გადავადგილდეთ ავეჯსა და ტექნიკას შორის და ადვილი უზრუნველყოთ გადასაადგილებელი საშუალებებისთვისაც.

## ჩამრთველები და პულტები

ელექტროროზეტები სამზარეულო ტექნიკისთვის სტრატეგიულად უნდა იყოს განლაგებული სამუშაო ზედაპირების წინა მხარეს. ამგვარად, ისინი ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, ვინც ზის ან არ შეუძლია მისწვდეს.

იატაკიდან 400 – 1200 მმ სიმაღლეზე უნდა განთავსდეს პულტები. მათ შორის:

- როზეტები
- ჩამრთველები
- თერმო მარეგულირებლები
- სახანძრო სიგნალიზაცია
- აქტივაციის დილაკები
- ფანჯრის პულტები და ჩამკეტები
- ონკანები

ყველა პულტი:

- უნდა მოქმედებდეს ერთი ხელით და არ სჭირდებოდეს თითების ან მაჯის გამოყენება;
- ტაქტილურ/აუდიალური ინფორმაცია ფუნქციისა და პოზიციის მითითებისთვის;
- გარემომცველი ზედაპირებისგან კონტრასტული ფერით უნდა განსხვავდებოდეს .

## სააბაზანოები

ინკლუზიური დიზაინის პერსპექტივით დაგეგმარებული სააბაზანო ყველასთვის კომფორტული და უსაფრთხოა. ინკლუზიური დიზაინი წაახალისებს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ადამიანების დამოუკიდებლობას.

ინკლუზიური სააბაზანოს დაგეგმარებისას უნდა გავითვალისწინოთ დიზაინის გარკვეული ელემენტები, როგორიცაა:

- ეფექტიანი გეგმარება,
- მანევრირების სივრცე გადასადგილებელი საშუალებებისთვის,
- მინიმალური ძალისხმევა გამოყენებისას,
- დასასუფთავებლად მარტივი,
- განათება,
- უსაფრთხოება, როგორცაა იატაკისა და მოსაჭიდებელი სახელურების მედეგობა სრიალისადმი,
- სათავსოები,
- ფერთა გამა.

ინკლუზიური დიზაინის ელემენტებია:




- განათება,
- იატაკის მოსაპირკეთებელი საშუალება,
- ჩამრთველები და პულტები,
- კარები,
- ტუალეტის მაგიდები, კარადები, სათავსოები,
- მოსაჭიდებელი სახელურები,
- უნიტაზები,
- საშხაპეები,
- აბაზანები.

## ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

სააბაზანოში უნდა გამოვიყენოთ ფერების კონტრასტი. როცა მუქი ფერის იატაკს ვიყენებთ, მუქი ფერის კედლები ხელს შეუწყობს ღია ფერის აქსესუარების, ფიქსატორების, როზეტების, უნიტაზების, აბაზანების და საშხაპეების ხილვადობას. ღია ფერის პლინთუსები/ლარტყები, ღია ფერის კარები და კარის ჩარჩოები კარგად შეეხამება მუქი ფერის კედლებს. გარდა ამისა, ღია ფერის ტუალეტის მაგიდები და ღია ფერის კომოდები D ფორმის სახელურებით უნდა უზრუნველყოთ. D ფორმის სახელურების ფერი უნდა ქმნიდეს კონტრასტს გარემომცველი ზედაპირების ფერებთან.

## უნიტაზები

- იდეალურ შემთხვევაში, უნიტაზი კედელზე უნდა იყოს დამაგრებული. კედელზე დამაგრებული უნიტაზი დამატებით სივრცეს აჩენს ფეხის თითების სიმაღლეზე.
- იატაკზე უნიტაზები შეიძლება დამონტაჟდეს საჭიროების მიხედვით, იატაკის დონიდან 400-460 მილიმეტრზე. ტუალეტის დამატებითი რგოლები და დასაჯდომები უნდა რეგულირდებოდეს სიმაღლეში საჭიროების მიხედვით.
- უნიტაზზე გადმოსაჯდომი თავისუფალი სივრცე უნდა იყოს მის გვერდით, 900 მმ-ის სიგანეზე და 1500 მმ-ის სიგრძეზე
- 1500 მმს სივრცე გაზომილი უნიტაზის უკან მდებარე კედლიდან უნიტაზის წინა ნაწილამდე უნდა იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული სივრცე გაუთანაბრდება სამოძრაო სივრცეს.
- უნიტაზს უკან უნდა ჰქონდეს საყრდენი თუ არ აქვს თავსახური და წყლის ავზი
- ტუალეტის დასაჯდომს უნდა ჰქონდეს კონტრასტული ფერი გარემომცველი ზედაპირებისგან
- ტუალეტის საყრდენი მოაჯირი 460 – 480 მმ-ის სიგრძეზე უნდა იყოს გამოშვერილი კედლიდან, რათა შესაძლებელი იყოს ხელის ჩავლება




- დამხმარე სახელურების დიამეტრი 30 – 40 მმ-ს უნდა შეადგენდეს და სრიალისადმი მედეგი და გარშემო არსებულ კედლებთან კონტრასტული ფერის უნდა იყოს. დამხმარე სახელური 35 – 45 მმ-ით უნდა იყოს დამორებული კედლიდან. სახელური არ უნდა ტრიალებდეს ხრახნებში.
  - პირველი, L ფორმის, 760 მმ სიგრძის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახელური უნიტაზის გვერდითა კედელზე მაგრდება. ჰორიზონტალური სახელური იატაკიდან 760 – 900 მმ-მდე, ხოლო ვერტიკალური სახელური 150 მმ-ით უნიტაზის მოპირდაპირე მხარეს უნდა დამაგრდეს.
  - მეორე, სულ მცირე, 600 მმ სიგრძის სახელური, ჰორიზონტალურად უნდა განთავსდეს უნიტაზის უკან 840 – 920 მმ სიმაღლეზე. როცა უნიტაზს აქვს წყლის ავზი, სახელური უნდა დამაგრდეს 150 მმ-ზე ავზის ზემოთ.
  - კიდევ ერთი ვარიანტია, უნიტაზის გვერდით სამოდრაო სივრცეში დამონტაჟდეს მოგრძო, ოვალური ფორმის სახელური, რომლის სიგრძე 760 მმ-ია, ხოლო სიმაღლე კედელზე დამაგრებული ჰორიზონტალური სახელურის ტოლი აქვს. ის 150 მმ-ით უნდა სცდებოდეს უნიტაზს. მისი ჩამოწევა უნდა იყოს მარტივი და 22.5 ნიუტონზე მეტ ძალას არ საჭიროებდეს;
- ჩასარეცხი დილაკი უნდა მოთავსდეს სამოდრაო სივრცეში უნიტაზის გვერდით;
- ტუალეტის ქაღალდის დისპენსერები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა განთავსდეს მოსაჭილებელი სახელურების ქვევით და არაუმეტეს 300 მმ-ით დამორდებოდეს უნიტაზის დასაჯდომს, ასევე იატაკიდან არაუმეტეს 600 მმ სიმაღლეზე. მისაღებია ჩაღრმავების მქონე ტუალეტის ქაღალდის დისპენსერი.

## საშხაპეები

ბორბლებით გორაობა საშხაპეში, ამცირებს საშხაპეების კიდეებზე ფეხის დაცურების რისკს და ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც გადაადგილების დამხმარე საშუალებებს იყენებს. ე.წ. „სველი ოთახები“ (გახსნილი კონცეფციის, ბარიერების გარეშე) მზარდი პოპულარობით სარგებლობს. საშხაპეების შიგნით არსებული მოწყობილობები კონტრასტული ფერით უნდა განსხვავდებოდეს კედლებისგან.

- საშხაპე სივრცე არ უნდა იყოს 1500 მმ-ზე ნაკლები სიგანის და 900 მილიმეტრზე ნაკლები სიღრმის.
- საშხაპის წინ უნდა იყოს თავისუფალი სივრცე სიღრმით არანაკლები 900 მმსა და იმავე სიგანის, რაც აქვს საშხაპეს.
- საშხაპის იატაკები არ უნდა სრიალებდეს, ხოლო შესასვლელი ზღურბლის მაქსიმალური დაქანება უნდა იყოს 1:2 (50%), არაუმეტეს 13 მმ სიმაღლისა.
- როცა საშხაპეში არის აწეული ზღურბლი, ისინი კონტრასტული ფერით უნდა გამოირჩეოდეს იატაკის მასალისგან. იმისთვის, რომ ზღურბლზე სპეციალური საშუალებების გადაგორებით საშხაპეში შეიძლებოდეს შესვლა, მისი სიმაღლე 13 მმ-ს, ხოლო სიგანე 100 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- ასევე გასათვალისწინებელია დასაკეცი საშხაპე სკამი, რომლის ფერიც კონტრასტშია კედლებთან
- საშხაპის სკამი უნდა იყოს არანაკლებ 400 მმ სიგანის, საშხაპის მთელ სიღრმეში, ცოტა ადგილით ფარდისთვის
- საშხაპეში უნდა იყოს ხელში დასაჭერი ყურმილი, სულ მცირე, 1500 მმ სიგრძის შლანგით, რომლის გამოყენება ფიქსირებულ მდგომარეობაშიც უნდა შეიძლებოდეს და მაგრდებოდეს ვერტიკალურად. საშხაპის თავი უნდა იყოს რეგულირებადი 1200 მმ-დან 2030 მმ-მდე და ხელს არ უნდა უშლიდეს დამხმარე სახელურებს.




ეტლით გადასადგილებელ საშხაპეში ოთხი სახელური უნდა იყოს გათვალისწინებული. სახელურების გაკეთებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ერთი, სიგრძეში არანაკლებ 600 მმ, რომელიც ჰორიზონტალურად იქნება განთავსებული გვერდითა კედელზე, უნდა იყოს 750 – 850 მმ-ით დამორებული იატაკს;
  - ერთი, რომელიც ვერტიკალურადაა დამაგრებული მოპირდაპირე კედელზე, არანაკლებ 1000 მმ სიგრძისა და ქვედა წერტილი იატაკიდან 600 – 650 მმ-ით, ხოლო მიმდებარე იატაკის თავისუფალი სივრციდან 50 – 80 მმ-ით დამორებული;
  - უკანა კედელზე 1 ჰორიზონტალურად დამაგრებული სახელური სიგრძე 1000 მმ უნდა იყოს, ხოლო იატაკიდან დამორება 750 – 850 მმ;
  - კიდევ ერთი, ვერტიკალურად აღმართული სახელური უკანა კედელზე, სიგრძით 750 მმ, რომლის ქვედა კიდე 50 – 60 მმ-ით ზემოთ არის ჰორიზონტალურ სახელურზე, რომელიც ასევე უკანა კედელზეა დამაგრებული და 400 – 500 მმ-ით არის დამორებული გვერდითა კედელზე დამაგრებული, სხვა ვერტიკალური სახელურისგან.
- სასაპნეები ჩადრმავებული ფორმის უნდა იყოს და 900 – 1200 მმ-ით დამორებული იატაკიდან. სასაპნეები სახელურების ზევით უნდა განთავსდეს.
  - ჩამრთველები ჩამოსაწევი ფორმის უნდა იყოს ან ისეთი, რომლის გაღება/დახურვა შეკრული მუშტითაა შესაძლებელი.
  - დამწვრობების თავიდან ასაცილებლად, საშხაპეები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტემპერატურის მარეგულირებლებით.

## აბაზანები

აბაზანის წინ იატაკზე, მთელ სიგრძეზე უნდა განისაზღვროს 750 მმ თავისუფალი სივრცე. აბაზანაში დასაჯდომი ბოლო ნაწილში, მთელ სიგანეზე უნდა განთავსდეს, მისი სიღრმე 400 მმ-ს უნდა შეადგენდეს და კიდეებით სრულდებოდეს.

- აბაზანის მაქსიმალური სიმაღლე იატაკის დონიდან 475 მმ-ს არ უნდა აჭარბებდეს.
- უნდა ჰქონდეს ორი, კედლის ფერისგან კონტრასტული ფერის სახელური:
  - ერთი ჰორიზონტალური სახელური უნდა განთავსდეს აბაზანის პირის ზევით 180 - 280 მმ-ზე და უნდა იყოს 1200 მმ სიგრძის.
  - ერთი ვერტიკალური სახელური, აბაზანის ფეხთან, იატაკის თავისუფალი სივრცის მომიჯნავედ, რომლის ქვედა წერტილი 180-280 მმ-ით ზემოთ მდებარეობს აბაზანის კიდიდან. ის მინიმუმ 1200 მმ სიგრძისაა და 80-120 მმ-ითაა დაშორებული მიმდებარე იატაკის თავისუფალი სივრციდან.
- ონკანები უნდა განთავსდეს ისეთ ადგილას, რომელიც ადვილად მისაღვამი იქნება აბაზანაში მსხდომთათვის. ონკანები არაუმეტეს 450 მმ-ზე უნდა მდებარეობდეს აბაზანის კიდის ზედაპირიდან. ონკანები ან აბაზანის შუაში, ან აბაზანის ფეხთან უნდა იყოს დამონტაჟებული. შუაში განთავსებული ონკანები ადვილად გამოსაყენებელი იქნება მჯდომარე პოზიციიდანაც.
- აბაზანის ქვედა საყრდენი არ უნდა სრიალებდეს.



## ნიჟარები

სასურველია, ნიჟარები არ იდგეს პედესტალზე. უმჯობესია, თუ იქნება ღრმა, რათა ადამიანს წყალი არ შეესხას.

- ინკლუზიური აბაზანის ნიჟარები უნდა მდებარეობდეს მიმდებარე კედლიდან, სულ მცირე, 460 მმ-ზე;
- ნიჟარის გვერდით არსებული ზედაპირები 820-840 მმ-ით უნდა იყოს იატაკიდან დაშორებული;
- ინკლუზიურ ნიჟარებს უნდა ჰქონდეს:
  - ფეხის შესადები თავისუფალი სივრცე:
    - ✓ წერტილამდე, რომელიც წინა კიდიდან 205 მმ-ითაა დაშორებული,
    - ✓ 230 მმ სიმაღლის იმ წერტილიდან, რომელიც 280 მმ-ით არის დაშორებული კიდიდან 430 მმ-ით უკან შესული წერტილიდან,
    - ✓ თითების შესალაგებელი თავისუფალი სივრცე არ უნდა იყოს 350 მმ-ზე ნაკლები სიმაღლის წერტილიდან, რომელიც 300 მმ-ით უკან, კედლისკენ არის შესული ნიჟარის წინა კიდიდან;
- სასურველია, მილები განთავსდეს კედელში ან ნიჟარების ქვეშ, უკანა მხარეს;
- ონკანები შეკრული მუჭით უნდა ფუნქციონირებდეს, იყოს ჩამოსაწევი ტიპის ან ავტომატური;
- ცხელი წლის ონკანი მარცხენა მხარეს უნდა იყოს;
- ნიჟარების წინ, იატაკი უნდა იყოს თავისუფალი არანაკლებ 1370 მმ სიღრმის, 750 მმ სიგანის, რათა შესაძლებელი გახდეს გადაადგილების დამხმარე საშუალებების ოპერირება. ნიჟარის ქვეშ მათი, მაქსიმუმ, 500 მმ შეიძლება იყოს განთავსებული.

## სააბაზანოს ავეჯი

- სააბაზანოს ავეჯის უჯრებსა და კარადებს უნდა ჰქონდეს D - ის ფორმის, ავეჯისგან განსხვავებული ფერის სახელურები. ასევე კარგია უჯრები, რომლებიც შეხებით იღება, ან რელსებზე ტრიალებს.
- მთლიანი სიგრძის სარკეები, რომლებიც ნიჟარების ზემოთ 100 მმ-ზე ან დიაგონალურად არის განთავსებული, იდეალურია მათთვის, ვინც მჯდომარე პოზაშია.
- სააბაზანოს ავეჯის კიდეები აუცილებლად მომრგვალებული ფორმისა უნდა იყოს უსაფრთხოებისთვის, ასევე რათა ავირიდოთ ნივთების გადასრიალება.

## თაროები და სხვა ნივთები

- თაროების ან სხვა ნივთები:
  - არ უნდა განლაგდეს იატაკიდან 1100 მმ-ზე მაღლა
  - არ უნდა იყოს 100 მმ-ზე მეტად დაშორებული კედელს
  - 200 მმ-ზე მაღლა არ უნდა იყოს განთავსებული ნიჟარის ზემოთ, რადგან, შეიძლება, მჯდომარე ადამიანს დასჭირდეს თარო.

## კარები

სააბაზანოს კარი სიგანეში, სულ მცირე, 900 მმ, ისე უნდა იყოს დაგეგმარებული, რომ საკმარის ადგილს ტოვებდეს მანევრირებისთვის. გვერდით გასასრიალებელი კარი შეიძლება გამოვიყენოთ განსაკუთრებით პატარა სივრცეებში. გასასრიალებელ კარზე უნდა დამაგრდეს D ტიპის სახელურები, რადგან მათი ჩავლება და გამოღება უფრო მარტივია. D ტიპის სახელური ფერით უნდა განირჩეოდეს კარისგან. კარი და კარების ჩარჩოები კონტრასტული უნდა იყოს გარემომცველი კედლის ზედაპირების ფერებთან შედარებით.

შეიძლება ვიფიქროთ ინკლუზიურ სააბაზანოში ელექტროკარზეც, რაც გაამარტივებს კარის გაღებას ყველასთვის, ვინც მას მოიხმარს.

## იატაკის მოპირკეთება

- ელემენტები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ, როცა სააბაზანოს იატაკს ვარჩევთ: მდგრადობა, სიმარტივე დასუფთავებისას, არა მბზინვარე და არა სრიალა ზედაპირი. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ იატაკზე გადაადგილების საშუალებების გაგორება იყოს მარტივი.
- პარკეტი და რუხინის იატაკი ნაწილებისგან შედგება. პარკეტი ადვილია დასასუფთავებლად და ადვილად მოსავლელი. კერამიკის იატაკი წყალგაუმტარია, მარტივად დასასუფთავებელი და მასზე ბორბლებით გადაადგილება მარტივია. პრიალა მარმარილოს იატაკი შეიძლება სრიალებდეს დასველების შემთხვევაში. სააბაზანოსთვის სასურველია იატაკი, რომელიც თბება. იატაკზე აბაზანის ხალიჩა არ უნდა ეფინოს, რადგან სრიალის და მოცურების მაღალი საფრთხეს ქმნის.
- იატაკის მასალა უნდა წარმოქმნიდეს თანაბარ ზედაპირს მთელ აბაზანაში და მის მიმდებარედ. ზღურბლი აბაზანის კარის ქვეშ შესაძლოა რთულად დასაძლევ იყოს მათთვის, ვინც გადაადგილების დამხმარე საშუალებებს იყენებს და შესაძლოა დაცემის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდეს.
- იატაკისთვის არჩეული მასალის ტექსტურა უნდა განსხვავდებოდეს მიმდებარე ოთახში ან ჰოლში არსებული მასალისგან.

## ჩამრთველები და კონტროლის პულტები

ჩამრთველები და პულტები განათებისთვის, საჭაეროებისთვის, გათბობისთვის, როზეტებისთვის და ა.შ გარშემო არსებული კედლებისგან უნდა განსხვავდებოდეს კონტრასტული ფერებით. ისინი სტრატეგიულად უნდა იყოს განლაგებული, რათა ადვილად მისწვდნენ ვინც მჯდომარე პოზიციაშია მყოფი პირები. ოპერაციული პულტები იატაკიდან 400 – 1200 მმ-ის სიმაღლეზე უნდა იყოს განთავსებული.

## საძინებლები

საძინებელი არის ადგილი, სადაც ადამიანი უნდა დაისვენოს და თავი მშვიდად იგრძნოს. ხელმისაწვდომი საძინებლის დიზაინის გაკეთება რთული სულაც არ არის, უბრალოდ გარკვეულ დაგეგმვას საჭიროებს.

როცა საძინებლებს ვაგეგმავთ, უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი დეტალი:

- გადაადგილების დამხმარე საშუალებებისთვის მანევრირების სივრცე,
- საწოლების მდებარეობა,
- იატაკის მოპირკეთება,
- ფანჯრების მდებარეობა და სიმაღლე.



დიზაინის ელემენტები ინკლუზიური საძინებლებისთვის:

- ფერთა კონტრასტი,
- სინათლის გამომრთველი კარის გარეთ,
- სივრცე კარადებისთვის,
- ტანსაცმლის საკიდის სიმაღლე,
- დაბალი კომოდები,
- განათება,
- კომოდის კარები,
- საწოლების სიმაღლე,



- საწოლის აქსესუარები.

პირველ რიგში, რაც უნდა გავითვალისწინოთ, არის სივრცე ოთახში. საწოლის და კომოდების ზომა ოთახის სივრცის დაგეგმვამდე უნდა გავთვალთ. კარაღებს, შესაძლოა, დამატებითი დაგეგმვა დასჭირდეს, რათა უზრუნველყოთ თაროების მაქსიმალური ტევადობა.

სხვა გასათვალისწინებელი საკითხები:

- ოთახს ერთადგილიანი, ორადგილიანი თუ ე.წ. „სამეფო ზომის“ საწოლი სჭირდება. საწოლს, სულ მცირე, ერთ მხარეს 750 მმ - 1500 მმ-ზე თავისუფალი სივრცე უნდა ჰქონდეს. დამატებითი თავისუფალი სივრცის უზრუნველსაყოფად შეგვიძლია საწოლის ზომა ვარეგულიროთ. ყურადღება უნდა მიექცეს საწოლის სიმაღლეს. მატრასების ზედაპირამდე სიმაღლე იატაკიდან 430 – 460 მმ უნდა იყოს და ადვილი იყოს მასზე გადასვლა გადაადგილების დამხმარე მოწყობილობებიდან. გადაადგილების დამხმარე საშუალებებით მოსარგებლე ადამიანებს ხშირად ურჩევნიათ საწოლში წამოსხდნენ და ისე გაიხადონ ან ჩაიცვან.
- უჯრიანი კომოდები იატაკიდან 400-1200 მმ-ზე უნდა განთავსდეს და ადვილად მისაწვდომი იყოს მჯდომარე ადამიანებისთვის, რადგან მაღალი თაროები და კომოდები შეიძლება რთულად მისაწვდომი აღმოჩნდეს. კომოდები, სამი გვერდიგვერდ განლაგებული სვეტიტით, და მსუბუქი უჯრები, ერთი სახელურით, უფრო ადვილად მოსახმარია, ვიდრე განიერი უჯრები, რომლებიც ორ სახელურს საჭიროებს. მიზანშეწონილია D ფორმის სახელურები, რადგან ისინი არ საჭიროებს ხელისგულის ან თითების გამოყენებას. D ფორმის სახელურების ფერი უნდა განსხვავდებოდეს კომოდის ფერისგან. ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფალ სივრცეებსაც. როცა კომოდები და უჯრები ბოლომდე ღიაა, თავისუფალი სივრცე 1.3 მეტრს უნდა აღწევდეს.
- როცა მერხები ან მაგიდები გვაქვს, გასათვალისწინებელია ფეხის შესადგმელი თავისუფალი სივრცე, 810 მმ სიგანის და 740 მმ სიღრმის, რათა უზრუნველყოთ გადაადგილების დამხმარე საშუალებების განთავსება.

## ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

ფერთა კონტრასტის სწორმა გამოყენებამ, შეიძლება ხელი შეუწყოს საძინებელი სივრცის განსაზღვრას, მახასიათებლების აღმოჩენას და ხელმისაწვდომობის გაზრდას. კედლები და ჭერი გლუვი, ნაკლებად მბზინვარე ზედაპირები უნდა დაიფაროს.

უნდა ავირიდოთ ზედმეტად პრიალა ზედაპირები. აუცილებელია კედლებისა და ავეჯის კონტრასტულობა. მაგალითად, როცა მუქ ავეჯს ვიყენებთ, კედლები ღია, ხოლო საწოლის გადასაფარებლები მუქი უნდა იყოს. სხვა მაგალითი, მუქი ფერის კედლები და ღია ფერის ავეჯი, ღია ფერისვე გადასაფარებლებთან.

კედლებისა და იატაკების შეერთების ადგილები უნდა ჩანდეს გარკვევით, რაც პლინთუსების/ქობურების ფერთა კონტრასტით მიიღწევა. ელექტროროზეტები, ჩამრთველები და თერმო რეგულატორები კედლის ფერისგან განსხვავებული ფერისა უნდა იყოს.

## კარადის სივრცეები

ტანსაცმლის კარადების წინ, იატაკზე უნდა იყოს თავისუფალი სივრცე 750 მმ 1200 მმ-ზე. ტანსაცმლის საკიდების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს იატაკიდან 1200-1400 მმ-ს. თაროების შემთხვევაში, სულ მცირე, 3 თარო იატაკიდან 400-1200 მმ სიმაღლეზე უნდა განთავსდეს.

კარადების კარები უნდა იყოს განიერი და, ამდენად, პრაქტიკული. კარის მინიმალური სიგანე – 900 მმ. განიერი კარი აადვილებს სამოსზე წვდომას. განიერი გამოსაღები კარის გასაღებად და დასახურად, საჭიროა მნიშვნელოვანი თავისუფალი სივრცე კარის წინ. გვერდით გასასრიალებელი ან მარაოსებურად დასახური კარი, სავარაუდოდ, შეამცირებს ამ პრობლემას, თუმცა ისინი სხვა გამოწვევებს ქმნიან; გვერდით გასასრიალებელი კარის შემთხვევაში კარადის მხოლოდ ერთი მხარეა მისაწვდომი. კარადის კარებს D ფორმის, კარისგან განსხვავებული ფერის სახელურები უნდა ჰქონდეს.

ოთახის ტიპის კარადები, სადაც შესვლაა შესაძლებელი, სულ მცირე, 1520 მმ სიგანის შესასვლელს საჭიროებს. ტანსაცმლის საკიდები 1200 – 1400 მმ სიმაღლეზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი. როცა თაროებიც არის, სულ მცირე, 3 თარო იატაკის დონიდან 400 – 1200 მმ სიმაღლეზე უნდა იდგეს.

## ფარდები და ფარდის აქსესუარები

საძინებლის ფანჯრები საკმარისად განიერი უნდა იყოს იმისთვის, რათა ოთახში სინათლის და სუფთა ჰაერის შემოსვლა უზრუნველყოს, თუმცა არც ისეთი განიერი, რომ არასასურველი მზინვარება გააჩინოს. ზედმეტმა მზემ შეიძლება „დაბუროს“ ოთახი და რთული გახადოს ხილვადობა, გარდა იმ სიტუაციისა, როცა ფანჯრები ავეჯის ზედაპირების ზემოთ კიდეა, რაფები იატაკის დონიდან არაუმეტეს 750 მმ-სა და სავენტილაციო სისტემის მუშაობისთვის გამდები მექანიზმები იატაკის დონიდან 400- 1200 მმ-ზე უნდა იყოს განლაგებული. უნდა გავითვალისწინოთ 760მმ – 1200 მმ-ზე თავისუფალი სივრცე ფანჯრების პულტების წინ. ფანჯრის ფარდების/ჟალუზების, ჩამკეტების, ბაგირების ფერი კონტრასტული უნდა იყოს გარემომცველი ზედაპირების ფერებთან შედარებით.

## კარები

საკმარისად ფართო კარია ხელსაყრელი გადაადგილების დამხმარე საშუალებებით მოსარგებლედ ადამიანებისთვის. კარის სიგანე, სულ მცირე, 900 მმ უნდა იყოს. კარისა და მისი ჩარჩოების ფერი კონტრასტული უნდა იყოს გარემომცველი ზედაპირების ფერებთან შედარებით. კარის მექანიზმები, გამლებებ/ჩამკეტები, როგორცაა სხვადასხვა ტიპის სახელურები და ანჯამები 900-1100 მმ-ზე უნდა იყოს იატაკიდან და კონტრასტული ფერით განირჩეოდეს გარემომცველი ზედაპირებისგან. კარის სისტემა უნდა იღებოდეს ხელისგულით დაწოლის, თითებისა და მაჯის გამოყენების გარეშე და არ უნდა სჭირდებოდეს 22,2 ნიუტონზე მეტი ძალა (იხილეთ სექცია, სადაც მოცემულია გაზომვისთვის საჭირო რჩევები). კარის ჩამოსაწევი სახელურებია მიზანშეწონილია, რადგან მრგვალი, სოკოს ფორმის სახელური საჭიროებს მიწოლას და გადატრიალებას.

საძინებლებში მიზანშეწონილია კარის გაღება-დახურვის ელექტროსისტემა, რადგან ეხმარება როგორც ინდივიდებს, დამოუკიდებლად გააღონ საძინებლის კარი, ასევე – დამხმარე პირებს.

კარის ჩარჩოებისთვის (კარის მართობული ჩარჩოები) უნდა უზრუნველყოთ განსაკუთრებული ტექსტურა, რაც დაეხმარება ადამიანებს ამოიციონ თავიანთი საძინებელი. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ განსაკუთრებული, ტაქტილური ნივთი იყოს მოთავსებული კარის ანჯამების მხარეს, კედელზე, რაც ოთახის ამოცნობას გააადვილებს.

## იატაკის მოპირკეთება

იატაკის მოსაპირკეთებელი საშუალებების შერჩევა დამოკიდებულია პირად ინტერესებზე. მახასიათებლები, რომელიც გასათვალისწინებელია საძინებლის იატაკის შერჩევისას: სრიალისადმი მედეგი, რბილი, არა მბზინავი ზედაპირი, რომელიც აადვილებს დამხმარე საშუალებების გადაადგილებას. იატაკის მოპირკეთებისას სხვადასხვა მასალის გამოყენებით შეიძლება მინიშნებათა სისტემა შექმნათ, რაც სივრცეში ორიენტირებაში დაგვეხმარება. უკეთეს შემთხვევაში, სასურველია, მხოლოდ სამი სხვადასხვა იატაკის ტექსტურა გამოვიყენოთ. ტექსტურების ზედმეტი გამოყენება გამოწვევა იქნება ადამიანებისთვის, დაიმახსოვრონ, რას აღნიშნავს თითოეული მათგანი.

## ელექტროროზეტები

ელექტროჩამრთველები, როზეტები და თერმომარეგულირებლები უნდა განთავსდეს არანაკლებ 400 და არაუმეტეს 1200 მმ-ის სიმაღლეზე ისე, რომ არ არსებობდეს დაბრკოლებები. სხვადასხვა ფორმის პულტები შეიძლება დაეხმაროს ადამიანს მათი ფუნქციების ერთმანეთისგან განსხვავებაში. მათი მოხმარება 1 ხელით უნდა შეიძლებოდეს. აუცილებელია პულტების წინ, 750 მმ, 1200 მმ-ზე თავისუფალი სივრცე იყოს უზრუნველყოფილი.

სინათლის ჩამრთველები ადვილად მისაგნები და ლოგიკურად განლაგებული უნდა იყოს ოთახებში, მაგალითად, ყველა ჩამრთველი კედლებზე, კარის ანჯამების მხარეს უნდა იყოს განლაგებული. გათვალისწინებული უნდა იყოს სინათლის გარე ჩამრთველიც, რომელიც ოთახის გარეთ იქნება განთავსებული და ოთახში მყოფს სტუმრის მოსვლას აუწყებს.

## სამრეცხაოები

ინკლუზიური დიზაინის მიხედვით დაგეგმილი სამრეცხაოები კომფორტული და უსაფრთხოა ყველასთვის. ინკლუზიური დიზაინი ეხმარება სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ადამიანს იყოს დამოუკიდებელი. ინკლუზიური სამრეცხაოები მხედველობაში იღებს სამრეცხაოების დიზაინის ყველა ელემენტს.

როცა სამრეცხაოებს ვაგეგმავთ, არაერთი ელემენტი უნდა გავითვალისწინოთ:

- ეფექტიანი გეგმარება
- სივრცე გადაადგილების დამხმარე საშუალებების მანევრირებისთვის

- მინიმალური ძალისხმევა სარგებლობისას
- ადვილად დასასუფთავებელი
- აკუსტიკურად ცოცხალი
- განათება
- უსაფრთხოება

საუკეთესო შემთხვევაში, სამრეცხაოები უნდა მდებარეობდეს საძინებლებისა და სააბაზანოების სართულზე. როგორც წესი, სამრეცხაოები სახლში ყველაზე პატარა ფართობს იკავებს, ამიტომაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი, ვინც გადაადგილების დამხმარე საშუალებებით სარგებლობენ, ხელსაწყოების მოსაბრუნებლად საჭიროებენ სივრცეს 1500 მმ რადიუსით.

სამრეცხაოებში შესასვლელი კარი მინიმუმ 900 მმ სიგანის უნდა იყოს. სასურველია სივრცე კარის გარეშე, რაც გააადვილებს როგორც სარეცხის შეტანას ასევე – გამოტანას.

როცა სამრეცხაოს აქვს კარი, ეს კარი ჩარჩოების კონტრასტული ფერით უნდა განსხვავდებოდეს გარემომცველი ზედაპირების ფერებისგან. როცა სამრეცხაოში არ არის კარი, შესასვლელი მონიშნული უნდა იყოს 50 მმ სიგანის კონტრასტული კანტებით. მაგალითისთვის, თუ ღერეფნის იატაკი ღია ფერისაა, შემოსასვლელის მოსანიშნი კანტი მუქი, ხოლო სამრეცხაოს იატაკი ღია ფერის უნდა იყოს. სხვა მაგალითი, ღერეფანში ან სხვა მიმდებარე ოთახის იატაკზე შეგვიძლია ღია ფერის, ხოლო სამრეცხაოების იატაკზე მუქი ფერის მასალა გამოვიყენოთ. მუქი ფერის იატაკი მიზანშეწონილია მაშინ, როცა სამრეცხაოში ღია ფერის ტექნიკა გვაქვს. მუქი ფერის იატაკი კარგ კონტრასტს შექმნის ღია ფერის ტექნიკასთან.


## ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

ფერის/სიკაშკაშის კონტრასტის გამოყენება შენობაში მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს ეფექტური. ფერი შეიძლება გამოყენებულ იქნას კარის ღიობების ამოსაცნობად, ელექტროჩამრთველებზე ყურადღების მისაპყრობად, სამოძრაო არეალის განსასაზღვრად, ტექნიკის მისაგნებად და მცირემხედველი ადამიანებისთვის მინიშნების მისაცემად.

როცა სამრეცხაოების ღიზანის ვაკეებზე, ფერთა სქემები უნდა გავითვალისწინოთ. კარგად გააზრებული ფერთა სქემა სააბაზანოების განსაზღვრაში და მისი მახასიათებლების გაგებასა და გააზრებაში დაეხმარება მცირემხედველ ადამიანებს.

ფერთა მომდევნო სქემა ერთ-ერთი ვარიანტია სუსტი მხედველობის მქონე პირებისთვის: მუქი ფერის იატაკი თეთრ ტექნიკასთან, თეთრი ზედაპირები, მუქი ნიჟარები, მუქი ფერის სახელურები ღია ფერის ავეჯზე. სამრეცხაოების ზედაპირების ვერტიკალური კიდეები მუქი ფერის უნდა იყოს. კედლები მუქი ფერის ღია ფერის პლინთუსებთან/ქობურებთან, ღია ფერის კარებთან და ასევე ღია ფერის კარის ჩარჩოებთან ერთად. ღია ფერის იატაკი სამრეცხაოების მიმდებარე ოთახებში, განსაკუთრებით თუ სამრეცხაოს არ აქვს შესასვლელი კარი. (ფერებისა და სიკაშკაშის კონტრასტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ ზოგადი საბაზისო ღიზანის ნაწილი).

ფერთა კონტრასტის სხვანაირი გამოყენება (იხილეთ ფოტოზე):



## ტექნიკა

ტექნიკა უნდა იყოს წინა დატვირთვის და ყურადღება გამახვილდეს მის უსაფრთხოებაზე. კანადური სტანდარტების ასოციაციის ნიშანი ტექნიკაზე გარანტია იმისა, რომ პროდუქტი გამოცდილი და სერტიფიცირებულია და აკმაყოფილებს კანადურ სახელმძღვანელო მითითებებს უსაფრთხოების კუთხით.

ტექნიკის გარე და შიდა მხარე საკმარისი სინათლით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რათა ადამიანს გაუმარტივდეს მისი მოხმარება. უკეთესია, თუ წინა დატვირთვის სარეცხი და საშრობი მანქანები იატაკზე განთავსდება. ერთმანეთზე შემოდებული ტექნიკა ან ტექნიკა, რომელიც ზევიდან იდება, შესაძლოა სირთულეს წარმოადგენდეს გადაადგილების დამხმარე საშუალებებით მოსარგებლე ადამიანებისთვის, რადგან ვერ შეძლებენ ტექნიკის შიდა ძირამდე მიღწევას.

ტექნიკის ირგვლივ აუცილებელია არსებობდეს სივრცე გადაადგილების დამხმარე საშუალებების სამოძრაოდ. სულ მცირე 1500 მმ – 1500 მმ-ზე თავისუფალი სივრცე უნდა იყოს გათვალისწინებული მექანიკური სავარძლების მქონე ადამიანებისთვის, ხოლო მათთვის, ვისაც ავტომატური, უფრო დიდი ზომის სავარძლები აქვთ, უნდა გავითვალისწინოთ 2100 მმ – 2100 მმ-ზე სივრცე

მაკონტროლებლები ადვილად მოსახმარი უნდა იყოს. სასურველია, მაკონტროლებლები დამონტაჟდეს წინა მხარეს. ისინი არ უნდა საჭიროებდეს თითების და ხელის გულების

გამოყენებას, უნდა იყოს ტაქტილური და ადვილად დასანახი კონტრასტული ფერის გარემომცველი ზედაპირებისგან.

მაკონტროლებლებს უნდა გამოარჩევდეს კონტრასტული ფერის მასალა, რომელსაც ასევე ტექსტურაც გააჩნია, რათა გაადვილდეს მათი მიგნება.

დასაკეცი საუთოო მაგიდების არსებობა უმჯობესია მცირე სვრცის პირობებში. ისინი ადვილი მოსახმარია და ადგილსაც ათავისუფლებს, როცა არ მოვიხმართ. საუთოებლები იატაკიდან 730 – 860 მმ-ის სიმაღლეზე უნდა დამონტაჟდეს.

## ზედაპირები და კარადები

სამრეცხაოში სამუშაო ზედაპირები სარეცხ და სამრობ ინვენტართან ახლოს უნდა იყოს. სამრეცხაოში უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი სამუშაო ზედაპირი, რომელიც 750 მმ-ის სიგანის, 600 მმ სიღრმისა და 730 - 860 მმს სიმაღლისაა. მას უნდა ჰქონდეს თავისუფალი სივრცე არანაკლებ 750 მმ-ისა 1200 მმ-ზე და ფეხშესალაგი ადგილი, რომელიც 750 მმ სიგანის, 480 მმ სიღრმისა და 680 მმ სიმაღლის იქნება. ელექტრო როზეტები უნდა იყოს ხილვადი და ადვილად მისაწვდომი და განთავსდეს სამუშაო ზედაპირის წინა მხარეს ან გვერდებზე.

კარადებს უნდა ჰქონდეს D ფორმის, გარემომცველი ზედაპირებისგან განსხვავებული ფერის სახელურები. თაროები აღნიშნული ზედაპირის ზემოთ უნდა განთავსდეს, ხოლო უჯრები ზედაპირის ქვედა ნაწილში.

## იატაკის მოპირკეთება

სამრეცხაოს იატაკი ადვილად დასასუფთავებელი, არა სრიალა და არა მბზინვარე უნდა იყოს. გაპრიანებული და გალაქული ზედაპირი არ უნდა გამოვიყენოთ.

კორპის იატაკი კარგი, გამძლე, კომფორტული და ადვილად მოსახმარია გადაადგილების დამხმარე საშუალებებით მოსარგებლეთათვის და ამცირებს ფეხის დაღლილობას. ითვლება, რომ გამძლე იატაკს ბევრი მოვლა არ სჭირდება. მეტლახი მაგარია, მაგრამ მიიჩნევა, რომ მარტივად სუფთავდება და მასზე ბორბლებით გადაადგილება მარტივია.

იატაკი უნდა იყოს თანაბარი მთელ სივრცეში, ხოლო სივრცეებს შორის ზღურბლის სიმაღლე არ უნდა აღარბებდეს 13 მმ-ს (თუ ღონის ცვლილება 7-იდან 13 მმ-მდეა, მაშინ სხვაობა დახრილი უნდა იყოს).

იატაკის ხალიჩა შეიძლება იყოს გამოყენებული მხოლოდ მაშინ, თუ მყარად იქნება დაფიქსირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალიჩები შეიძლება ჩავთვალოთ მოსრიალების, მოცურების საფრთხედ.

## ელექტროროზეტები და პულტები

ყველა ელექტრო როზეტი კედლებზე თუ სამუშაო ზედაპირებზე უნდა იყოს გარემომცველი კედლების თუ ზედაპირების ფერებისგან განსხვავებული.

## შემოსასვლელი კარები

- მინიმალური სიგანე 900 მმ

## ტექნიკა

- წინა დატვირთვის ტექნიკა
- სერტიფიცირებული
- რეჟიმის გადამრთველები ადვილად გამოსაყენებელი და ტექნიკის წინა მხარეს დატანილი
- ტექნიკის ირგვლივ საკმარისი სივრცე გადაადგილების დამხმარე საშუალებების მანევრირებისთვის
- რეჟიმების გადამრთველების ფერი უნდა იყოს გარემომცველი ზედაპირების ფერებთან შედარებით კონტრასტული.

## სამუშაო ზედაპირები და კარადები

- სამუშაო ზედაპირები ტექნიკასთან ახლოს უნდა განთავსდეს;
- ერთი ზედაპირი მაინც უნდა იყოს მისაწვდომი გადაადგილების დამხმარე საშუალებით მოსარგებლე ადამიანისთვის;
- ელროზეტები უნდა განთავსდეს სამუშაო ზედაპირების წინა მხარეს ან გვერდებზე;
- თაროები სამუშაო ზედაპირების თავზე უნდა განლაგდეს.

## იატაკი

ზედაპირი:

- არ უნდა სრიალებდეს,
- არ უნდა ბზინავდეს,
- ადვილი იყოს მასზე ბორბლებიანი საშუალებებით გადაადგილება,
- ადვილად სუფთავდებოდეს,
- იყოს თანაბარი.

## ნაკრები



**DeafBlind**  
ONTARIO SERVICES



## ნაკრები

---

### როგორ გავზომოთ? – რჩევები

იმისთვის, რათა შევამოწმოთ რამდენად პასუხობს ჩვენი საცხოვრებელი სახლი მისაწვდომი დიზაინის მოთხოვნებს, რამდენიმე ნივთის გამოყენება დაგვჭირდება. დასაწყისისთვის გირჩევთ ზოგ ხელსაწყოს ნაკრებს/ნივთს, როგორიცაა:

- ხვეულა საზომი
- კარის დაწოლის ძალის საზომი
- სინათლის მზომი
- თარაზო

### ხვეულა საზომები

არსებობს ხვეულა საზომები, რომლებიც სანტიმეტრებს/მეტრებს ზომავს და ასევე იმპერიული საზომები (ძირითადად ვხვდებით ამერიკაში) რომლებიც ფუტებს, ინჩებს, ფუნტებს ზომავს. ჩვენი რჩევაა, იყიდოთ საზომი, რომელსაც ორივე სისტემა აქვს. როცა დისტანციას ზომავთ, საზომის ერთი ბოლო მოათავსეთ იმ ნივთის ერთ-ერთ ბოლოზე, რომლის გაზომვაც გსურთ. როცა ნივთი ან სივრცე დასრულდება, შეამოწმეთ გაზომილი მანძილი.

როცა კარის ღიობს ზომავთ, გააღეთ კარი ბოლომდე და ყველაზე ვიწრო დისტანცია გაზომეთ მანძილი კარის ან მის ჩარჩოს ორ ყველაზე ახლომდებარე წერტილს შორის.

ხვეულა საზომის ყიდვა ონლაინ და საყოფაცხოვრებო მაღაზიებშია შესაძლებელი.



ხვეულა საზომები

## კარის ორი დაწოლის ძალის საზომი

კარი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია ინკლუზიურ დიზაინში. კარები შეიძლება ძალიან მძიმე იყოს და ზედმეტად დიდ ძალას მოითხოვდეს მათი გაღება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და მოხუცები, რომელთაც არ აქვთ საკმარისი ძალა, მძიმე კარს გამოწვევად მიიჩნევენ. ადამიანები, რომლებიც გადაადგილების დამხმარე საშუალებებს იყენებენ, შესაძლოა ვერ ასწრებდნენ ისეთ კარებში შესვლას, რომელიც სწრაფად იხურება.

ხშირად, კარის დახურვა/გაღების დარეგულირება მარტივი საკითხია. კარის მექანიზმი ხშირად კარის ზედა ნაწილში, კარის თავზე ან ანჯამებზეა დამონტაჟებული. ზოგი მექანიზმი კი შიგნით, კარის ჩარჩოშია დატანებული. ეს მექანიზმები ან დასარეგულირებელია ან შესაკეთებელი.

კარის დაწოლის ძალის საზომი არის ხელსაწყო, რომლითაც შეგვიძლია გავზომოთ, რა ძალა სჭირდება კარის გაღება/დახურვას. აღნიშნულის გასაზომად, შეაღეთ კარი, ხელსაწყო მოათავსეთ კარის საპირისპიროდ (იმ ადგილას სადაც კარს ვაწვებით გაღებისას). რეზინის შავი რგოლი მოთავსებული უნდა იყოს რკინის მილაკის ძირში. ნაზად დააწეეთ ხელსაწყო ისე, რომ კარი მთლიანად გაიღოს. ხელსაწყოზე არსებული მონაცემი (რეზინის რგოლის ახალი მდებარეობა) მიგვითითებს რა ძალაა საჭირო კარის გასაღებად. ზოგიერთ საზომს მეორე ბოლოში კაუჭიც აქვს, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავადგინოთ, რა ძალაა საჭირო ისეთი კარის გასაღებად, რომელსაც გამოსაქაჩი სახელური აქვს.

აღნიშნული ხელსაწყოს ყიდვა ონლაინ და საყოფაცხოვრებო მაღაზიებშია შესაძლებელი.



კარის გაღებისთვის საჭირო ძალის საზომი



კარის გაღებისთვის საჭირო ძალის საზომი კაუჭით

## თარაზო

თარაზო შეიძლება გამოვიყენოთ იატაკის დაქანების გასაზომად ან იმის დასადგენად, თუ რამდენად თანაბარია იატაკი. თარაზოთი შეგვიძლია ზედაპირის დაქანების გამოთვლა პროცენტებში.

როცა ისეთ დაქანებულ ზედაპირებს ზომავთ, როგორცაა პანდუსი, მოათავსეთ თარაზო დახრილ ზედაპირზე. ვიზუალური გამომსახველი მიგითითებთ, რამდენი პროცენტი დახრილობაა. როცა პანდუსს ზომავთ, რამდენიმე ადგილას და პანდუსის ე.წ. ფეხებთან გაზომეთ. უნდა გვქონდეს პანდუსის თითოეული ფეხის, სულ მცირე, სამი მონაცემი. ესენია: პანდუსის უმაღლესი წერტილი, პანდუსის შუა ნაწილი და პანდუსის უდაბლესი წერტილი. დახრილობის ყველა მონაცემი უნდა პასუხობდეს არსებულ მოთხოვნებს.

თარაზოების ყიდვა ონლაინ და საყოფაცხოვრებო მაღაზიებშია შესაძლებელი.

## სინათლის მზომი

სინათლის მზომი არის ხელსაწყო, რომელიც ზომავს განათების დონეს შიდა და გარე სივრცეებში. ლუქსი ზედაპირზე დაცემული სინათლის ოდენობის მაჩვენებელი საერთაშორისო სიმბოლოა.

როცა განათების დონეს ვზომავთ შიდა სივრცეში, ფარდები და ჟალუზები უნდა იყოს დახურული ან სინათლე ვერ უნდა შემოდოდეს გარედან. ანთეთ შუქები. განათავსეთ მზომი იატაკის ზედაპირზე ან სამუშაო ზედაპირზე/მაგიდაზე. მოშორდით ხელსაწყოს და დარწმუნდით, რომ არანაირი ნივთი არ ბლოკავს, ხელს არ უშლის და სინათლის წყაროთი არ ქმნის ჩრდილს სინათლის მზომის მიმართულებით. სინათლის თითოეული წყაროს შემთხვევაში, 3 სხვადასხვა ადგილას უნდა ვაწარმოოთ გაზომვა. უფრო დიდ სივრცეს შესაძლოა მეტჯერ გაზომვაც დასჭირდეს.

გარე სივრცეებში განათების დონე მზის ჩასვლის შემდეგ უნდა გაიზომოს, როცა მზის შუქი აღარ არის წარმოდგენილი. განათების დონე უნდა გაიზომოს სამოძრაო ბილიკების ზედაპირების, კიბის საფეხურების, პანდუსების, შიდა ეზოებისა და ტერასებისთვის.

ხელსაწყოს შეძენა, სავარაუდოდ, ონლაინ შეგეძლებათ.



თარაზო



სინათლის მზომი

# რჩევები სწრაფი დიზაინისთვის



**DeafBlind**  
ONTARIO SERVICES

# რჩევები სწრაფი დიზაინისთვის

## განათება

### გარე სივრცეები

- განათების მინიმალური დონე – 100 ლუქსი, კიბეებზე, პანდუსებზე, საპარკინგე სივრცეებსა და ბილიკებზე;
- არამბზინვარე;
- თანაბრად გადანაწილებული სინათლე.

### მისაღები და სასადილო ოთახები

- განათების დონე უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 200 ლუქსს;
- განათების დონე განათების მარეგულირებლით უნდა კონტროლდებოდეს;
- განათება არ უნდა წარმოქმნიდეს მბზინვარე შუქს ან ჩრდილს;
- განათება უნდა ნაწილდებოდეს კედლებიდან და ჭერიდან არეკვლის გზით;
- მაგიდის სანათები და ტორშერები უნდა იყოს მყარი;
- როზეტები ოთახის მთელ პერიმეტრზე უნდა იყოს განაწილებული;

### სამზარეულოებში

- არაპირდაპირი, გაბნეული სინათლე ჭერზე ან კედლებზე;
- ჭერის განათება უნდა უდრიდეს 300 ლუქსს იატაკიდან გაზომვისას;
- სპეციალური ჩამრთველები სინათლის დონის მარეგულირებლად, ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით;
- ბუნებრივი განათება, რომელიც არ ქმნის მბზინვარებას დაემატება ჩვეულებრივ განათებას;
- დარწმუნდით, რომ განათება არ ქმნის მბზინვარე ან მბჟუტავ ეფექტს;
- განათება თანაბრად უნდა იყოს გაბნეული (არაპირდაპირი განათება) მთელ სივრცეში;
- უზრუნველყავით კარგი გადასვლა ერთი განათებული სივრცისა მეორე განათებულ სივრცეში;
- განათება გამოიყენეთ ავეჯის ქვედა ნაწილებში, რათა ხილვადი განადოთ იატაკის სივრცე;
- ლედგანათება თაროებსა და კარალებში გაზრდის ხილვადობას.

### სააბაზანოებში

- არაპირდაპირი, გაბნეული სინათლე;
- სამუშაო განათება ტუალეტის მაგიდებზე;
- განათების მინიმალური დონე 200 ლუქსი (იატაკიდან გაზომვის შემთხვევაში).

## საძინებლებში

- განათების მინიმალური დონე 200 ლუქსი (იატაკიდან გაზომვის შემთხვევაში);
- განათების დონის მარეგულირებელი ჩამრთველები;
- განათება კარაღებში;
- როზეტები კარაღებში;
- მაგის სანათები და ტორშერები უნდა იყოს მყარი და მათი ამოქმედება მუშტით უნდა შეიძლებოდეს;
- სამუშაო განათება სამუშაო ზედაპირებისთვის.

## სამრეცხაოებში

- არაპირდაპირი, გაბნეული სინათლე;
- სულ მცირე, 300 ლუქსის დონის განათება სამუშაო ზედაპირებსა და საუთოებლებზე;
- ფერების კონტრასტი;
- მოძრაობის ამომცნობი დეტექტორი განათებისთვის.

## გარე სივრცეებში

### ლანდშაფტის დიზაინი

- დამხმარე ცხოველებისთვის სივრცის მოწყობა;
- ქარის ზანზალაკები სახლების წინ და ტერასების შესასვლელების მახლობლად;
- ნუ განათავსებთ დიდი თესლის მქონე მცენარეებს ბილიკების მახლობლად;
- ნუ დარგავთ ეკლიან მცენარეებს სასეირნო ბილიკებთან;
- გაითვალისწინეთ ხეები, რომლებიც ზამთარშიც ინარჩუნებს ფოთლებს, მაგ., მუხა.

### გარე ბილიკები

- მინიმალური სიგანე 1500 მმ;
- მინიმალური სიმაღლე (თუ დაბურულია მცენარეებით) 2100 მმ;
- წინ წამოწეული საგნები ბილიკების გასწვრივ, მინიმუმ 100 მმ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელჯოხს შეუძლია მათი ამოცნობა 680 მმ-ზე;
- ბილიკის დაქანებები არ უნდა სცდებოდეს შეფარდებას: 1:20;
- კარგი სადრენაჟო სისტემა ბილიკზე განლაგებული ცხურებით, რომელთა უჯრედის სიგანე 13 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს;
- მოცურებისადმი მედეგი, გლუვი და ეტლით მოსარგებლეთათვის მარტივად გამოსაყენებელი;

## პანდუსები

- პანდუსები, მინიმალური სიგანით 1100 მმ;
- სახელურები პანდუსების ორივე მხარეს;
- სახელურის ხელის ჩასავლები არანაკლებ 30 და არაუმეტეს 40 მმ სიგანისა;
- სახელურები დამონტაჟებული 865-965 მმ სიმაღლეზე;
- სახელურები უნდა გრძელდებოდეს პანდუსის საწყისი და ბოლო წერტილის შემდეგ;
- სახელურების ფერი უნდა იყოს კონტრასტული გარემომცველ ზედაპირებთან შედარებით.

## კიბეები

- საფეხურის სიმაღლე 125 – 175 მმ;
- საფეხურის სიღრმე 280 – 355 მმ ნაბიჯებს შორის;
- ერთგვაროვანი სიღრმისა და სიმაღლის საფეხურები;
- საფეხურის კიდის დამცავი არაუმეტეს 38 მმ-ზე წამოწეული;
- 50 მმ კონტრასტული ფერის კიდეები;
- კიდის დამცავებს არ უნდა ჰქონდეს უხეში ქვედა ნაწილი;
- ტაქტილური ზედაპირები კიბეების თავში.

## ჩამოსაჯდომები

- ჩამოსაჯდომი ადგილები ახლოს უნდა იყოს მისაწვდომ ბილიკებთან, მაგრამ მოშორებით მთავარი გადასადგილებელი ბილიკებისგან;
- ჩამოსაჯდომების ზედაპირების ტექსტურა უნდა განსხვავდებოდეს გარემომცველი ზედაპირების ტექსტურებისგან;
- ავეჯი მომრგვალებული კიდეებით;
- სკამების სიმაღლე 430-500 მმ;
- საზურგეები სკამებისთვის;
- ძელსკამებისთვის 1 ხელის ჩამოსადები;
- სავარძლებისთვის მისადგომი სივრცეები ძელსკამების გვერდით, 850 მმ – 1200 მმ-ზე

## ვერანდები, ტერასები და ამალლებული ადგილები

- აუცილებელია მოაჯირები
- მოაჯირების მონტაჟისას, გასათვალისწინებელია ხედვის არეალი ეტლით მოსარგებლეთათვის
- მოაჯირების განსხვავებული ფერი გარემომცველი სივრცეების ფერებისგან
- კარი კიბეების ბოლოს

## როზეტები, ჩამრთველები და ოპერაციული მექანიზმები

- ჩამრთველებთან და ა.შ. მისასვლელი სივრცე უნდა იყოს თავისუფალი

- ისინი უნდა განლაგდეს მიწიდან 400-1200 მმ-ზე
- პულტები ბილიკებიდან ადვილად შესამჩნევი უნდა იყოს

## მისაღები და სასადილო ოთახები

### ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

- ავეჯთან კონტრასტული ფერის კედლები;
- კედლები და პლინთუსები/ლარტყები/ქობურები, რომლებიც იატაკის ფერთან შედარებით კონტრასტულია;
- მოხატული, გლუვი, არა მბზინავი ქერი და კედლები;
- კონტრასტული მოწყობილობები, როზეტები და თერმორეგულატორები, რომლებიც განირჩევიან გარემომცველი ზედაპირებისგან;

### ფანჯრები და ფანჯრის აქსესუარები

- ფანჯრის რაფები არ უნდა იყოს 750 მმ-ზე მაღლა იატაკიდან;
- ფანჯრის მექანიზმი იატაკიდან 400 – 1200 მმ-ზე უნდა იყოს;
- ფანჯრის წინ უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალი სივრცე;
- ფარდის/ჟალუზის პულტები, საკეტები და ბაგირები უნდა იყოს კონტრასტული გარემომცველი სივრცის ფერებთან.

### აკუსტიკა

- გარე აღჭურვილობა, როგორცაა, ჰაერის კონდიციონერები, განათავსეთ ფანჯრებისა და კარებისგან მოშორებით;
- სადაც საჭიროა, უზრუნველყავით კედლებისა და ქერის ხმის იზოლაცია;
- საჭიროების შემთხვევაში, ხმის დასახშობად გამოიყენეთ ქერის ფილები.

### იატაკი

- ზედაპირები:
  - რბილი,
  - გლუვი;
- ხალიჩები:
  - უსაფრთხოდ დამაგრებული იატაკზე,
  - დაბალბეწვიანი,
  - იატაკისგან განსხვავებული ფერის;
- უზრუნველყავით მინიმალური თავისუფალი ადგილი ავეჯის და შესასვლელ-გამოსასვლელების ირგვლივ.



## კიბეები

- უნდა ჰქონდეს თანაბარი სიმაღლისა და სიღრმის საფეხურები;
- არ უნდა იყოს ღია სივრცე საფეხურებს შორის;
- მინიმუმ 200 ლუქსი ნათების დონე;
- მომრგვალებული სახელოები, რომელთა ზედაპირის დიამეტრი 30-40 მმ-ია;
- სახელოები კიბის ორივე მხარეს უნდა იყოს;
- 50 მმ-ის კონტრასტული ფერის კიდის დამცავი კიბეებს შორისა და კიბის კიდეებზე;
- კიბის კიდის დამცავი არ უნდა იყოს 38 მილიმეტრზე მეტად წამოწეული;
- კიბის კიდის დამცავს არ უნდა ჰქონდეს უხეში ქვედა ნაწილი;
- ყურადღების მიმპყრობი ტაქტილური ზედაპირები, რომელთა სიღრმე 610 მმ-ია, უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

## ელექტროროზეტები

- ელროზეტები, შუქის ჩამრთველები და თერმორეგულატორები ფერით უნდა განსხვავდებოდეს გარემომცველი ზედაპირებისგან;
- ელროზეტები, შუქის ჩამრთველები, თერმორეგულატორები და პულტები – მიწის ზედაპირიდან 600-1200 მმ-ზე უნდა იყოს განლაგებული;
- თერმომარეგულირებლებს უნდა ჰქონდეს ტაქტილური აღმნიშვნელები;

## სამზარეულოები

### ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

- გამოიყენეთ შესამჩნევად განსხვავებული ფერები, რათა უზრუნველყოთ სიკაშკაშის/ფერების მაღალი კონტრასტი სივრცეების განსასაზღვრად;
- ღია ფერის იატაკებს უნდა ჰქონდეს მუქი ფერის კარალები და ღია ფერის D ფორმის სახელოები და/ან მუქი ფერის სამუშაო მაგიდები ღია ფერის წამყვანი კიდეებით ან ღია ფერის ფონური კედლით;
- მუქი ფერის იატაკს უნდა ჰქონდეს ღია ფერის კარალები და მუქი ფერის D ფორმის სახელოები;
- ელროზეტები, რომლებიც კედლებზე ან სამუშაო მაგიდებზეა განთავსებული, უნდა იყოს, გარემომცველი ზედაპირების ფერებთან შედარებით, კონტრასტული;
- ავეჯის ფერი უნდა იყოს, იატაკთან შედარებით, კონტრასტული.

### სამზარეულოს შესასვლელები

- სამზარეულოში შესასვლელს, სულ მცირე, 900 მმ სიგანის ღიობი უნდა ჰქონდეს;
- სამზარეულოს შესასვლელებს, რომლებსაც არ აქვს კარი, უნდა ჰქონდეს 50 მმ სიგანის კონტრასტული კანტები, შესასვლელი ღიობის განსასაზღვრად;

- კარებსა და კარების ჩარჩოებს ფერის სიკაშკაშის კონტრასტი უნდა ჰქონდეს კედლის ზედაპირებთან.

## სამუშაო მაგიდები

- სულ მცირე, ერთი სამუშაო მაგიდა უნდა იყოს ადვილად მისადგომი გადაადგილების დამხმარე საშუალებებისთვის. მისაწვდომი სამუშაო მაგიდა
  - უნდა იყოს 750 მმ სიგანის და 600 მმ სიღრმის,
  - 730 – 860 მმ სიმაღლის,
  - უნდა ჰქონდეს 750 მმ – 1200 მმ-ზე თავისუფალი სივრცე, რომელიც 480 მმ-ით უნდა გრძელდებოდეს სამუშაო მაგიდის ქვევით,
  - უნდა ჰქონდეს ფეხების მოსათავსებელი სივრცე, სულ მცირე 750 მმ სიგანის, 480 მმ სიღრმისა და 680 მმ სიმაღლის,
  - მაგიდის ზედაპირის ქვედა ნაწილი არ უნდა იყოს ბასრი ან უხეში;
- ელროზეტები უნდა განთავსდეს მაგიდის წინა მხარეს ან გვერდებზე;
- მაგიდას უნდა ჰქონდეს მომრგვალებული ფორმის კიდის დამცავი.

## კარალები

- ერთი თარო უნდა იყოს იატაკიდან არაუმეტეს 1100 მმ-ზე განთავსებული;
- D ფორმის სახელური უნდა ჰქონდეს ყველა კარადასა და უჯრას;
- D ფორმის სახელურების ფერი უნდა განსხვავდებოდეს გარემომცველი უჯრებისა და კარალების ფერებისგან;
- თაროებისა და კომოდების შიგნით უნდა იყოს განათება, რაც ხილვადობას გაზრდის;
- კარალები, რომელთა უჯრები ბოლომდე გამოდის და მოძრაობს გორგოლაჭებზე;
- ბრაილით და რელიეფური წარწერები ყველა კარადაზე, შიგთავსის აღსაწერად;
- ქვედა კარალებს უნდა ჰქონდეს ე.წ თავისუფალი სივრცე თითებისთვის, რომელიც 150 მმ სიღრმისა და 230 მმ სიმაღლისაა

## ტექნიკა

- ქურები
  - რეჟიმის გადამრთველები ქურების წინა მხარეს,
  - ზედაპირების სიმაღლე 810-860 მმ იატაკიდან,
  - თავისუფალი სივრცე ქურასთან 750 მმ – 1200 მმ-ზე,
  - ფეხშესადგმელი სივრცე 750 მმ სიგანის, 200 მმ სიღრმისა და 680 მმ სიმაღლის,
  - ქურის ზედაპირი არ უნდა იყოს ბრტყელი კერამიკის, ეს ართულებს სანთურების ადგილმდებარეობის დადგენას;
- ღუმელები
  - უმჯობესია ჩასაშენებელი ღუმელები, რადგან სიმაღლის დარეგულირებაა შესაძლებელი,
  - ღუმელი, რომელიც თავისით სუფთავდება და კარი გვერდით ედება,
  - რეჟიმის გადამრთველები ღუმელის წინა მხარეს,

- გადამრთველები 400-1200 მმ-ის სიმაღლეზე იატაკიდან,
- ცეცხლგამძლე, გოგრაგოლაჭებზე მოძრავი უჯრები ღმელის გვერდით ან იმ მხარეს, საითაც კარები იღება;
- მაცივრები
  - ორკარიანი მაცივრები მისადგომად უფრო ადვილია,
  - თაროები და უჯრები გოგრაგოლაჭებზე უფრო აადვილებს ხელმისაწვდომობას,
  - მიზანშეწონილია კარზე დამაგრებული წყლისა და ყინულის დისპენსერები;

## ნიჟარები

- ონკანებს უნდა ჰქონდეს მაღალი, ბატისყელისებური მილი,
- ნიჟარები ღრმა უნდა იყოს,
- ონკანები ან ავტომატურად ან ჩამოსაწელი ხელით უნდა აქტიურდებოდეს,
- ნიჟარებს გარემოსგან განსხვავებული ფერი უნდა ჰქონდეს.
- ნიჟარის ზედა კიდეების სიმაღლე იატაკიდან 810 – 860 მმ-ის ტოლი უნდა იყოს;

## იატაკის მოპირკეთება

- ზედაპირები:
  - ზედაპირის ტექსტურით უნდა განსხვავდებოდეს სახლში არსებული სხვა იატაკებისგან,
  - არამბზინვარე,
  - არაპრიალა,
  - არ უნდა სრიალებდეს,
  - ბორბლებიანი საშუალებებით მარტივად უნდა შეიძლებოდეს გადაადგილება,
  - მიმდებარე იატაკთან უნდა იყოს გათანაბრებული;
- კორპი, ხე ან პარკეტი კარგ მასალად ითვლება;
- კერამიკის ფილები ადვილად სუფთავდება.

## უსაფრთხოების ზომები

- გასათვალისწინებელია სტრობოსკოპიული განათება (როცა განათება მოძრავ ნივთზეა ფოკუსირებული) მთელ სახლში, რაც ვიზუალურად უფრო ხილვადს ხდის სახანძრო განგაშისა და/ან საგანგებო სისტემებს –
  - მაქსიმალური სიხშირე 3 ჰერცი (ფლეშის რაოდენობა წამში)
  - აქტიური მინიმუმ 30 წამის განმავლობაში შესვენების პერიოდებს შორის;
- საგანგებო სიტუაციების აღმნიშვნელი ნათება მთელ სახლში უნდა იყოს. ნათების დონე არ უნდა იყოს 200 ლუქსზე ნაკლები იატაკის დონიდან.

## სააბაზანოები

### ფერის/სიკაშკაშის კონტრასტი

- ფერების კონტრასტი, მასალა და ტექსტურა;
- მუქი იატაკები და ღია პლინთუსები/ლარტყები/ქობურები; საშუალოდ ღია ფერის კარები და მათი ჩარჩოები და მუქი კედლები.

### საპირფარეშოები

- უნიტაზის გვერდი L ფორმის ხელის ჩასავლები;
- ხელის ჩასავლები უნიტაზების უკან;
- მომრგვალებული, ოვალური ფორმის ხელის ჩასავლები უნიტაზის მხარეს, სადაც ეტლით მოსარგებლე უნდა გადმოჟღეს უნიტაზზე;
- წყლის სისტემის გასააქტიურებელი დილაკი უნიტაზის იმ მხარეს, სადაც ეტლიდან უნიტაზზე უნდა გადაჯდეს ადამიანი;
- ტუალეტის ქაღალდის დისპენსერები უნიტაზის ზედაპირის წინა მხარის გასწვრივ;
- კედელზე დამაგრებული უნიტაზებიც შესაძლებელია.

### აბაზანები

- აბაზანის კიდეები იატაკიდან, ყველაზე მეტი, 475 მმ სიმაღლეზე;
- ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხელის ჩასავლებები აბაზანაში;
- მჯდომარე პოზიციიდან მისაწვდომი ონკანები;
- პულტები აბაზანის ბოლოში (ფეხის მხარეს) ან ცენტრში;
- პულტები არ უნდა იყოს დამაგრებული 450 მილიმეტრზე მაღლა აბაზანიდან;
- აბაზანის მასალა უნდა იყოს სრიალისადმი მედეგი.

### საშხაპეები

- არასრიალა ზედაპირი;
- თანაბარი ან დაქანებული შესასვლელი;
- ხელის ჩასავლებები საშხაპის ყველა კედელზე;
- დასარეგულირებელი სკამი საშხაპეში.

### იატაკის მოპირკეთება

- ზედაპირები:
  - არასრიალა,
  - არამბზინვარე,
  - ბორბლიანი საშუალებებისთვის ადვილად გადასადგილებელი,
  - მიმდებარე იატაკების ზედაპირებთან გათანაბრებული,

- ადვილად დასასუფთავებელი.

## საძინებლები

### ზოგადი დიზაინი

- გაითვალისწინეთ საწოლების ზომა და თავისუფალი სივრცეები საწოლების გვერდით;
- საწოლზე გადასასვლელი სივრცე უნდა იყოს, ყველაზე მცირე, 750 მმ – 1200 მმ -ზე;
- კომოდების წინ ადგილი მანევრირებისთვის უნდა იყოს მინიმუმ 750 მმ 1200 მმ-ზე;
- მანევრირების ადგილი უნდა იყოს გათვალისწინებული ოთახ-გარდერობებში;
- ადეკვატური სივრცე კარალების წინ იატაკზე.

### ფერის/სიკაშკაშის გათვალისწინება

- კედლების ფერი უნდა იყოს ავეჯის ფერთან შედარებით კონტრასტული;
- კედლების ფერი უნდა იყოს პლინთუსების/ლარტყების/ქობურების ფერთან შედარებით კონტრასტული;
- ავეჯი უნდა იყოს იატაკების ფერთან შედარებით კონტრასტული.

### კარალები

- კარალების წინ თავისუფალი სივრცე – 750 – 1200 მმ-ზე;
- ტანსაცმლის საკიდები – 1200-1400 მმ-ზე იატაკიდან;
- კარი – ყველაზე მცირე, 900 მმ სიგანეში;
- კარალებს უნდა ჰქონდეს D ფორმის, კონტრასტული ფერის სახელური.

### ფანჯრები და ფანჯრის აქსესუარები

- ფანჯრის რაფები არ უნდა აღემატებოდეს იატაკიდან 750 მმ სიმაღლეს;
- ფანჯრის მექანიზმი იატაკიდან – 400-1200 მმ;
- ფარდები და ჟალუზები – მბზინვარების შესამცირებლად;
- კონტრასტული ფერის ფარდის/ჟალუზების გადასაწვევები;
- თავისუფალი სივრცე იატაკზე ფანჯრების სამართავი მექანიზმების წინ 760 მმ 1200 მილიმეტრზე.

### კარი

- მინიმალური სიგანე – 900 მმ
- კარის და მისი ჩარჩოების ფერი გარემომცველ ფერებთან შედარებით უნდა იყოს კონტრასტული;
- კარის სამართავი მოწყობილობა უნდა დამონტაჟდეს იატაკიდან 900 – 1100 მმ-ზე

- უნდა უზრუნველყოთ ჩამოსაწევი ტიპის, გარემომცველი ზედაპირებისგან განსხვავებული ფერის სახელური
- ტექსტურების იდენტიფიკაცია კარის ჩარჩოებზე

## იატაკის მოპირკეთება

- ზედაპირები:
  - არამბზინვარე,
  - არასრიალა,
  - გლუვი,
  - ბორბლებიანი საშუალებებით გადაადგილებისას – მარტივი.

## ელექტროროზეტები

- ელროზეტები, ჩამრთველები და თერმოსტატები უნდა იყოს კედლებისგან განსხვავებული ფერის;
- სინათლის ჩამრთველები უნდა მდებარეობდეს კედელზე, კარის ანჯამის მხარეს
- როზეტები იატაკის დონიდან 600-1200 მმ-ზე უნდა დამონტაჟდეს.

## სამრეცხაოები

### შესასვლელები

- მინიმალური სიგანით 900 მმ;

### ტექნიკა

- წინა დატვირთვის ტექნიკა;
- სერტიფიცირებული;
- ადვილად გადასართავი რეჟიმებით, რომელებიც ტექნიკის წინა მხარესაა დამონტაჟებული;
- ტექნიკის ირგვლივ თავისუფალი სივრცე გადაადგილების დამხმარე საშუალებებით მანევრირებისთვის;
- რეჟიმების გადამრთველები ფერით უნდა განსხვავდებოდეს გარემომცველი ზედაპირებისგან.

### სამუშაო ზედაპირები და კარალები

- სამუშაო ზედაპირები უნდა განლაგდეს ტექნიკასთან ახლოს;
- გადაადგილების დამხმარე საშუალებით მოსარგებლე ადამიანისთვის უნდა იყოს განკუთვნილი ერთი სამუშაო ზედაპირი მაინც;
- ელროზეტები სამუშაო ზედაპირების წინა მხარეს ან გვერდებზე;

- კომოდებს უნდა ჰქონდეს D ფორმის სახელები;
- თაროები სამუშაო ზედაპირების ზემოთ უნდა იყოს დამონტაჟებული

## იატაკის მოპირკეთება

- ზედაპირები:
  - არასრიალა,
  - არამბზინვარე,
  - გადაადგილების დამხმარე საშუალებების მოსარგებლეთათვის ადვილად გადასადგილებელი,
  - ადვილად დასასუფთავებელი,
  - თანაბარი.



**DeafBlind**  
ONTARIO SERVICES

## ორიენტაცია – ‘შექმენი საკუთარი ხელით’ და მისაწვდომობის გაზრდა



# ორიენტაცია – ‘შექმენი საკუთარი ხელით’ და მისაწვდომობის გაზრდა

## განათება

### მისაღები და სასადილო ოთახები

- დაამონტაჟეთ მგრძნობიარე სანათები კარალებსა და კომოდებში;
- გამოიყენეთ გამადიდებლის ფუნქციის მქონე წიგნის სანათები ტელეპროგრამებისა და ჟურნალ-გაზეთების საკითხავად;
- გასასვლელები – გამოიყენეთ მანათობელი ნიშნები, რათა მკაფიოდ მივანიშნოთ გასასვლელისკენ.



### სამზარეულოები

- დაამონტაჟეთ მგრძნობიარე სანათები კარალებსა და კომოდებში;
- გამოიყენეთ გამადიდებლის ფუნქციის მქონე წიგნის სანათები მენიუებისა და შეფუთვაზე არსებული წარწერების წასაკითხად;
- გამოიყენეთ სამუშაო განათება სამუშაო ზედაპირების თავზე/კარალებქვეშ;




### სააბაზანოები

- დაამონტაჟეთ მგრძნობიარე სანათები კარალებსა და კომოდებში;
- გამოიყენეთ საშხაპეების სპეციფიკური განათება.

### საძინებლები

- დაამონტაჟეთ მგრძნობიარე სანათები საწოლების სიახლოვეს ან კარალებში;
- საკითხავად გამოიყენეთ გამადიდებლის ფუნქციის მქონე წიგნის სანათები.



## სინათლის ჩამრთველები

- გამოიყენეთ კონტრასტული ფერების ან ტექსტურების მქონე ჩამრთველები და როზეტები;
- ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ სიბნელეში მანათობელი საღებავები ჩამრთველების ხილვადობის გასაზრდელად ან მანათობელი და განსხვავებული ფერის ჩამრთველები.



მარცხენა ჩამრთველი არ არის კონტრასტული ფერის/ტექსტურის, მაშინ, როცა სპრეი საღებავი აძლიერებს ვიზუალურ და ტექსტურულ კონტრასტს მარჯვენა ზედაპირზე.

## გარე სივრცეები

### ნიშნები/ოთახის მანიშნებლები



სხვადასხვა სახის ოთახის მანიშნებელი, როგორებიცაა: ტაქტილური ნიშანი, ვიზუალური სურათი, ბრაილი, რელიეფური ან დიდი შრიფტით შესრულებული წარწერა ოთახის სახელით – შეიძლება ადამიანს დაეხმაროს ოთახის გამოცნობაში

### სახლის ტაქტილური მანიშნებლები

- მინიშნებები შეიძლება გაკეთდეს აღსანიშნავ ლოგიკურად დაკავშირებული ტექსტურებით



სახლის ტაქტილური მანიშნებლების მაგალითები



## კარები

- კარის ფერი განსხვავდება სახლის ფერისგან

- გამოიყენეთ მანათობელი ზარები კარებზე
- კარის ზარები უნდა გამოსცემდეს ხმას და შიგნითაც ანათებდეს
- ანათებდეს კარისკენ მიმავალ ბილიკზე (როგორც სახლის შიგნით, ისე, გარეთ)



თანაბარი ზედაპირის ბილიკი, რომელსაც წინა კართან მივყავართ. ცოცხალი ფერის ყვავილების ქოთნები მიგვანიშნებს შიდა ეზოს კიდეებზე და მიგვიძღვება წინა კარისკენ.

## ლანდშაფტის მოწყობა

- განსხვავებული ფერები და ტექსტურები ბაღებისა და ბალახის გასამიჯნად;
- გამოიყენეთ ნათელი, კონტრასტული ფერები „სენსორული ბაღის“ შესაქმნელად;
- ქარის ზანზალაკები შეიძლება იყოს ნიშანთა სისტემა ან მარკერი ნარჩენი სმენის მქონე ინდივიდებისთვის;
- გამოიყენეთ სხვადასხვა სურნელისა და ტექსტურის ყვავილები;
- ბაღებსა და ეზოს უნდა ჰქონდეს ბევრი განათება;
- ეზოს ზედაპირი უნდა იყოს თანაბარი, ყვავილის ქოთნებისთვის განკუთვნილი ხვრელების გარეშე;




ამაღლებული ბაღი, ან ყვავილები ხეების გარშემო, გვეხმარება ხეების ადგილმდებარეობის მითითებაში.

## ბილიკები, საფეხმავლო და სამანქანო ბილიკები

- შექმენით სტაბილური და სუფთა ბილიკები;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყავით მოაჯირები;
- კონტრასტული ფერები და ტექსტურები სამანქანოდან საფეხმავლო ბილიკებისკენ;
- კონტრასტული საფეხმავლო და სამანქანო ბილიკები იქ, სადაც სახლი და გზა იწყება
- დაამატეთ ამალღებული კიდეები იქ, სადაც გაზონები იწყება
- ბილიკები, საფეხმავლო და სამანქანო ბილიკები კარგად უნდა იყოს განათებული ღამითაც.



ამალღებული ბალები შეიძლება დაგვეხმაროს სივრცეების ლოკალიზებასა და მონიშვნაში და ზრდის ეფექტიანობას გადაადგილების გამოწვევებთან დაკავშირებით.



სხვადასხვა ტექსტურის გამოყენება ხელს უწყობს სამანქანო გზისა და ბილიკების ერთმანეთისგან გამოყოფას.

ფერების კონტრასტი შესაძლოა სტრუქტურების განსასაზღვრად გამოვიყენოთ.

## შიდა ეზოები

- შიდა ეზოს ავეჯი უნდა იყოს მყარი და მიწის ზედაპირისგან განსხვავებული ფერის;
- შიდა ეზოები კარგად უნდა იყოს განათებული;
- გამოიყენეთ ტენტები და ფანჯარები მზისა და წყლისგან თავდაცვისთვის;
- თუ ქოლგას იყენებთ, დარწმუნდით, რომ ის საკმარისად მაღალია, რათა არ დაეჯახოთ;
- მიწის ზედაპირი უნდა იყოს თანაბარი და გლუვი;
- ნებისმიერ კიბეზე კონტრასტული ფერები უნდა იყოს გამოყენებული;
- შიდა ეზოს მიწისთვის გამოიყენეთ კონტრასტული ფერი, რომელიც სახლის, ღობისა და ეზოსგან განსხვავდება.

## ღობეები და კარიბჭეები

- ღობეები უნდა იყოს მყარი და მდგრადი;
- ანჯამები კარიბჭეებისა და ღობეებისგან განსხვავებული ფერისა უნდა იყოს;
- კარიბჭეები უნდა იღებოდეს რბილად;
- კარიბჭეებს ღობეებისგან განსხვავებული ფერი უნდა ჰქონდეს;
- ერიდეთ მავთულის ღობეებს, რადგან არ აქვს საკმარისად კონტრასტული ფერი და შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს სუსტი მხედველობის ადამიანებისთვის.

## მისაღები ოთახები

### ნიშანები/ოთახის მანიშნებლები



ოთახის მანიშნებელი შეიძლება ადამიანს დაეხმაროს ოთახის გამოცნობაში სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, როგორცაა: ტაქტილური ნიშანი, ვიზუალური სურათი, ბრაილი, რელიეფური ან დიდი შრიფტით შესრულებული წარწერა ოთახის სახელით.

## ტექნიკა

- გამოიყენეთ ტელევიზორის ფართე ეკრანები;
- პულტის ტელევიზორის და DVD - ს ყველაზე ხშირად სახმარ დილაკებზე როგორებიცაა: ჩართვა/გამორთვა, არხების გადართვა, გაგრძელება, დაიტანეთ ამობურცული ზედაპირები;
- გამოიყენეთ სუბტიტრები ტელე შოუებისა და ფილმების ყურებისას.



## ავეჯი

- ავეჯის ფერი უნდა იყოს კონტრასტში იატაკის და კედლების ფერებთან;
- გამოიყენეთ არამბზინვარე ზედაპირები ავეჯისთვის;
- ყურთბალიშების ფერი უნდა განსხვავდებოდეს დივანის ფერისგან.

კონტრასტული ფერის მასალები, მაგალითად, ღია ფერის ხე, მუქი ფერის ბალიშები და ტექსტურული განსხვავებები



- გამოიყენეთ საიზოლაციო ლენტები, რათა გამოკვეთოთ ავეჯის მნიშვნელოვანი ქვედა და ზედა ნაწილები და სახელოები.

ქვემოთ მოცემული სურათები გვიჩვენებს, კარადებისგან განსხვავებული ფერის სახელოები როგორ უწყობს ხელს სახელოების განსაზღვრას.




მუქი ფერის ქვედა ხაზი, სახელოები და კონტრასტი იატაკთან.



## ფანჯრის დეკორი

- კედლებისგან და იატაკებისგან განსხვავებული ფანჯრის მორთულობის ფერი



## იატაკის მოპირკეთება

- გამოიყენეთ არამბზინავი ზედაპირები;
- როცა გამოყენებულია ხალიჩები და იატაკის საგები, ისინი უნდა იყოს დაბალბუნჯიანი და იატაკზე საიმედოდ დამაგრებული, რათა არ ისრიალოს და არ შექმნას საფრთხე;
- იატაკის ფერი უნდა იყოს სკამების და მაგიდების ფერთან შედარებით კონტრასტული.

## სასადილო ოთახები

### ჭურჭელი

- თეფშები და ჯამები
  - გამოიყენეთ კონტრასტული კიდეების მქონე თეფშები და ჯამები,
  - კონტრასტული თეფშები, დანა-ჩანგალი და ჭიქები დაალაგეთ მაგიდებზე,
  - თავი აარიდეთ მინის თეფშების, ჭიქების ან სხვა საგნებს.



თეფშები, ჯამები და ჭურჭელი უნდა იყოს მაგიდის ან ზედაპირის ფერთან კონტრასტული

- ფინჯნები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერის ჭიქები, მაგალითად, თეთრი ჭიქა ყავისთვის და მუქი ჭიქა რძისთვის;
- ჭიქები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერები, სასურველია არა ნათელი ფერის;



ფერების კონტრასტით შესაძლებელია ამოვიცნოთ რა ასხია ფინჯანში ან ჭიქაში. თეთრი რძე თეთრ ფინჯანში ნაკლებ კონტრასტს ქმნის, როცა მუქი ფერის სითხე ღია ფერის ფინჯანში მაღალი კონტრასტულობით გამოირჩევა.

## ავეჯი

ავეჯის ფერი კონტრასტში უნდა იყოს იატაკის ფერთან

- მაგიდები
  - გამოიყენეთ მაგიდის არა მბზინავი ზედაპირები,
  - ფერების კონტრასტი იატაკთან და მასზე განლაგებულ ნივთებთან;
- სკამები
  - გამოიყენეთ არა მბზინავი ზედაპირები,
  - თავიდან აიცილეთ ზედაპირების კომპლექსური მოხატულობა, რადგან ასეთ ზედაპირებზე ნივთების დანახვა გართულდება,
  - სკამებისა და მაგიდებისგან განსხვავებული კონტრასტული ფერი,
  - იატაკისგან განსხვავებული ფერები;



გამოიყენეთ შავი საიზოლაციო ლენტა სკამებისა და მაგიდების ფეხებზე, რაც ფერის კონტრასტს შექმნის.

## იატაკის მოპირკეთება

- გამოიყენეთ არა მბზინავი ზედაპირები,
- ხალიჩები და იატაკის საგებები უნდა იყოს დაბალბეწვიანი და უსაფრთხოდ დამაგრებული იატაკზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეიძლება მოსრიან/დაცურების საფრთხე შექმნან,
- იატაკებისგან და მაგიდებისგან განსხვავებული ფერის იატაკი;

## სამზარეულოები


### ნიშნები/ოთახის მანიშნებლები



ოთახის მანიშნებელი შეიძლება ადამიანს დაეხმაროს ოთახის გამოცნობაში სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, როგორცაა: ტაქტილური ნიშანი, ვიზუალური სურათი, ბრაილი, რელიეფური ან დიდი შრიფტით შესრულებული წარწერა ოთახის სახელით.

### ტექნიკა

- მაცივრები
  - გამოიყენეთ მოხატული ან დაწნული წვრილი კაბელების საფარი სახელურებისთვის.



დაწნული წვრილი კაბელები შეგიძლიათ ავტო  
მალაზიებში შეიძინოთ. თეთრი ფერის  
მაცივრის სახელურზე მოხვეული კაბელი  
წარმოქმნის ფერისა და ტექსტურის  
კონტრასტს.

- ქურები
  - მოხატული სახელურები და დილაკები ვიზუალურ კონტრასტს ქმნის. რელიეფური სამაგრები მნიშვნელოვან დილაკებზე (ჩართვა/გამორთვის დილაკები ან 375 გრადუსიანი ციფერბლატები) საშუალებას აძლევს ადამიანებს შეხებით და დანახვით ამოიცნონ.



- მიკროტალღური ღუმელები
  - მიკროტალღური ღუმელი ღილაკებით „სენსორული მომზადება“ ან „სენსორული გაცხელება“ ავტომატურად გააცხელებს ან ხელახლა გააცხელებს საკვებს საჭირო ტემპერატურაზე.



რეკომენდებულია მოხატული სახელები ან კონტრასტული ფერის დასაკრავი სახელებზე, რელიეფური დასაწებებლები რომლებსაც ასევე გარემოსგან კონტრასტული ფერი აქვს და დაგვეხმარება ხშირად გამოყენებადი ღილაკების ამოცნობაში (როგორცაა ღილაკი „დაწყება“).

- ჭურჭლის სარეცხი მანქანები
  - რეკომენდებულია მოხატული სახელები, საიზოლაციო ლენტები, და რელიეფური დასაწებებლები ყველაზე ხშირად გამოყენებად ღილაკებზე, მაგ: „დაწყება“ .



- ყავის აპარატები
  - გამოიყენეთ ერთფინჯიანი ყავის აპარატები;
- მადულარები
  - გამოიყენეთ ელექტრომადულარები, რომელთა „ჩართვა-გამორთვის“ ლილაკი მანათობელია;
- ტოსტერები
  - გამოიყენეთ რელიეფური დასაწებებლები ჩამოსაწევ ჩამრთველიან ტოსტერზე.



## კარადები

- კომოდები და უჯრები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერები კედლებზე, იატაკებსა და სამუშაო ზედაპირებზე.



ღია კარადების შემთხვევაში, მონიშნეთ შიდა კიდეები კონტრასტული ფერებით (მაგალითად, ლენტით) რათა ადვილი იყოს კიდეების ამოცნობა.

სპეციალური ეტიკეტები კარადებზე/უჯრებზე, რომლებზეც ბრაილის, ან გამუქებული შრიფტით იქნება დატანილი ნივთების ადგიმდებარეობა.

- სახელურები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერები,
  - არ გამოიყენოთ მომრგვალებული ფორმის სახელურები, რომლებსაც გაშლილი ხელით დატრიალება სჭირდება,
  - D ფორმის სახელურები მარტილია ჩასავლება და გასაღებად,
  - კარადის მექანიზმი უნდა იყოს განსხვავებული ფერის.



### სამუშაო ზედაპირები და ნიჟარები

- კედლებისგან და კარადებისგან განსხვავებული ფერები,
- გამოიყენეთ არამბზინავი ზედაპირები,
- არ გამოიყენოთ კომპლექსური მოხატულობის ზედაპირები, რადგან ეს გაართულებს ზედ არსებული ნივთების დანახვას,
- გამოიყენეთ ფერადი ნიჟარის საცობები.



### სამზარეულოს ჭურჭელი

- დანა-ჩანგლების ნაკრები
  - გამოიყენეთ განსხვავებული ფერები და ტექსტურები ნივთების გასარჩევად,
  - დამცავი პირები დანებზე გაზრდის უსაფრთხოებას, როცა ეს დანები უჯრებშია მოთავსებული;
- თეფშები/ჯამები
  - გამოიყენეთ კონტრასტულფერიანი კიდეების მქონე თეფშები და ჯამები;
- ფინჯნები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერის ჭიქები, მაგალითად, თეთრი ჭიქა ყავისთვის და მუქი ჭიქა – რძისთვის,
  - სითხის დონე მნიშვნელოვანია, რადგან გვიჩვენებს, როდის მიაღწია სითხის დონემ ზედა მაქსიმუმს.





ეს ფოტო აღწერს ფერის კონტრასტის მნიშვნელობას სითხის გამოცნობისას. ფერის კონტრასტი შეგვიძლია დაგვხმაროს როგორც ჭიქის მდებარეობის გამოსაცნობად, ასევე, ჭიქაში სითხის ჩასხმისას.

მარცხენა ჭიქა მაგალითია ფერის დაბალი კონტრასტის ჭიქასა და სითხეს შორის, როცა მარჯვენა ჭიქა გვიჩვენებს ძლიერ კონტრასტს სითხესა და ზედაპირს შორის.

- ჭიქები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერები, სასურველია არა ღია შეფერილობის
- საზომი ხელსაწყოები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერები, მაგალითად წითელი საწყაო ჭურჭელი ფქვილისა და ფხვნილებისთვის



- საჭრელი დაფები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერები, მაგ. თეთრი ფერის საჭრელი დაფა კონტრასტული ფერების მქონე ბოსტნეულისთვის და მუქი ფერის დაფა ღია ფერის ბოსტნეულისთვის





- დანები
  - გამოიყენეთ უსაფრთხო კონტრასტული ფერის სახელურები და დამცავები,
  - დამცავი საშუალებების გამოყენება მომხმარებელს დაეხმარება, დანის უსაფრთხოდ უსაფრთხოდ გამოიყენებაში,
  - ისინი ნებისმიერი დანის ზედაპირისთვის შეიძლება გამოვიყენოთ;
- რძის შესანახები
  - გამოიყენეთ მუქი ფერის შესანახი, მაგ. მწვანე თეთრ რძესთან.



## ავეჯი

- მაგიდები
  - გამოიყენეთ არამბზინავი ზედაპირები,
  - ფერის კონტრასტი იატაკის და იმ ნივთებთან, რომელიც მაგიდაზე განლაგდება;
- სკამები
  - გამოიყენეთ არა მბზინავი ზედაპირები,
  - თავიდან აირიდეთ კომპლექსურ აპლიკაციანი ზედაპირები, რაც გაართულებს მასზე განლაგებული ნივთების დანახვას,
  - იატაკთან კონტრასტში მყოფი ფერები;
- უზურგო და უხელო სკამები
  - სკამების ზედაპირები შეღებეთ იატაკისგან კონტრასტულ ფერებში;



- ნაგვის ურნები
  - იატაკებისგან და კარადებისგან კონტრასტული ფერის,
  - ნაგვის ურნა ადვილად უნდა იღებოდეს,
  - თავიდან აირიდეთ ფეხით გასაღები ურნები, რადგან მათი დანახვა რთულია.

## ფანჯრის დეკორი

- გამოიყენეთ არამბზინავი ფარდები, განსაკუთრებით, თუ ფანჯრები ნიჟარების ზევითაა განთავსებული, რადგან შეიძლება ფანჯრიდან შემოსული სინათლე აირეკლოს ლითონმა და გართულოს ჭურჭლის რეცხვა ან ნიჟარაში არსებული ნივთების გარჩევა;
- გამოიყენეთ რეგულირებადი დეკორაციები ფანჯრებზე, რაც საშუალებას მოგცემთ, აკონტროლოთ ფანჯრიდან შემოსული ბუნებრივი სინათლის ოდენობა
- ფანჯრების დეკორაციები უნდა განსხვავდებოდეს კედლისა და იატაკების ფერებისგან.

## სააბაზანოები

### ნიშნები/ოთახების მანიშნებლები



ოთახის მანიშნებელი შეიძლება ადამიანს დაეხმაროს ოთახის გამოცნობაში სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, როგორცაა: ტაქტილური ნიშანი, ვიზუალური სურათი, ბრაილი, რელიეფური ან დიდი შრიფტით შესრულებული წარწერა ოთახის სახელით.

### სააბაზანო ნივთები

- უნიტაზის დასაჯდომები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერები

მარცხენა ფოტო გვიჩვენებს ფერის სუსტ კონტრასტს უნიტაზთან, იატაკსა და უკანა კედელთან მაშინ, როცა მარჯვენა ფოტოზე გამოსახულია ფერის ძლიერი კონტრასტი შავი ფერის უნიტაზის დასაჯდომი და ფერის კონტრასტი იატაკსა და კედელთან.



- აბაზანისა და საშხაპის ხალიჩები
  - გამოიყენეთ კონტრასტული ფერის არა სრიალა ხალიჩები აბაზანასა და საშხაპეში, რათა თავიდან აირიდოთ მოსრიალება/მოცურება. ეს უზრუნველყოფს ფერისა და ტექსტურის განსხვავებულობას ფეხის დადგმისას.


## ზედაპირები და კარადები

- იატაკისა და კედლებისგან განსხვავებული ფერები;
- კარადის ზედაპირისგან განსხვავებული ფერის ნიჟარები.



## გაღება/დახურვის მექანიზმი

- არ გამოიყენოთ მომრგვალებული ფორმის სახელურები, რომელსაც დაწოლა ან ხელისგულით გადატრიალება სჭირდება. D ფორმის სახელურები ადვილად გასაღებია. მექანიზმი უნდა იყოს კონტრასტული ფერის.



## საძინებლები

### ნიშნები/ოთახის მანიშნებლები



ოთახის მანიშნებელი შეიძლება ადამიანს დაეხმაროს ოთახის გამოცნობაში სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, როგორცაა: ტაქტილური ნიშანი, ვიზუალური სურათი, ბრაილი, რელიეფური ან დიდი შრიფტით შესრულებული წარწერა ოთახის სახელით.

- გამოიყენეთ სპეციფიკური ტექსტურისა და ფერის მქონე ოთახის მანიშნებლები.

### საწოლის თეთრეული

- გამოიყენეთ კონტრასტული თეთრეული (განსხვავებული ზეწრები და გადასაფარებლები), რაც სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებს დაეხმარება ერთმანეთისგან გაარჩიოს ორი გადასაფარებელი.



### ავჯი

- გამოიყენეთ საწოლის კარკასი, რომლის ფერიც განსხვავდება იატაკისა და კედლების ფერებისგან;
- კომოდები და ტუმბოები უნდა განსხვავდებოდეს იატაკისა და კედლების ფერისგან;
- ავტომატურ გამლებიანი კარების დამონტაჟება ზრდის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას;


- კარის უკაბელო ზარი განათებით, რომელიც ყრუ ადამიანებს ეხმარება იგრძნონ, რომ მათ ოთახში სტუმარია.



## კარადები

- კარადის კარი უნდა იყოს ფართო, ეტლით მოსარგებლეთათვის ადვილად მისადგომი;
- გამოიყენეთ საიზოლაციო ლენტი თაროების გამოსაყოფად;

თაროების სიმაღლე საჭიროებების მიხედვით უნდა დარეგულირდეს.






## ფანჯრის დეკორი

- გამოიყენეთ არამბზინავი ფარდები;
- გამოიყენეთ რეგულირებადი დეკორაციები, რომელიც გააადვილებს ბუნებრივი სინათლის რაოდენობის კონტროლს;
- ფანჯრის დეკორაციების ფერი უნდა განსხვავდებოდეს იატაკისა და კედლების ფერებისგან.

## კედლის ფერები

- გამოიყენეთ იატაკისა და ქერისგან განსხვავებული ფერები;
- ნებისმიერი კუთხოვანი ან ჩადრმავებული კედელი განსხვავებული ფერით შედგება.



## იატაკი

- როცა ვიყენებთ ხალიჩებსა და ფარდაებს, ბადალბეწვიანი და იატაკზე უსაფრთხოდ დამაგრებული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსრიალების/მოცურების საფრთხეს შექმნის.

## სამრეცხაოები

### ოთახის მანიშნებლები/ნიშნები




ოთახის მანიშნებელი შეიძლება ადამიანს დაეხმაროს ოთახის გამოცნობაში სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, როგორცაა: ტაქტილური ნიშანი, ვიზუალური სურათი, ბრაილი, რელიეფური ან დიდი შრიფტით შესრულებული წარწერა ოთახის სახელით.

## ტექნიკა

- იატაკის, კედლებისა და ზედაპირებისგან განსხვავებული ფერები;
- გამოიყენეთ წინა დატვირთვის ტექნიკა ან კონტრასტული ფერის მოწყობილობები;
- გამოიყენეთ რელიეფური დასაწებებლები მნიშვნელოვანი დილაკებისთვის, როგორცაა, მაგ., „ჩართვა“ და „გამორთვა“.







- იატაკი
  - გამოიყენეთ არამბზინავი ზედაპირები,
  - კედლებისა და კარალებისგან განსხვავებული ფერის იატაკი.



## ბიბლიოგრაფია



**DeafBlind**  
ONTARIO SERVICES

## ბიბლიოგრაფია

---

- Canada Mortgage and Housing Corporation, Accessible Housing by Design, About Your House Series.
- Canada Mortgage and Housing Corporation, Accessible Housing by Design-Kitchens, About Your Kitchen Series.
- Canadian Guidelines Association (CSA), Accessible Design and the Built Environment B651-18
- City of Toronto, Accessibility Design Guidelines, 2004.
- International Standard (ISO) 23599, First edition, 2012 -03 – 01, Assistive products for blind and vision impaired persons – tactile walking surface indicators.
- MacDonald, Lesley, Clearing Our Path Universal Design Guidelines for the Built Environment, CNIB: 2009.
- Ontario Government, Final Proposed Built Environment Standard, 2010. Ontario Government 2010.

## ინტერნეტ რესურსები

- Accessible Kitchen Design In the New York Times [www.thekitchn.com/accessible-kitchen-design-in-t-77041](http://www.thekitchn.com/accessible-kitchen-design-in-t-77041)
- An Eye for Design, Ontario Home Builder Fall 2012 [http://www.turnit.com/index.php?ci\\_id+114069&la\\_id=1](http://www.turnit.com/index.php?ci_id+114069&la_id=1)
- The Centre for Universal Design (May 2010) <http://www.design.ncsu.edu/cud/>
- The Design Linc-Accessible Design & Resources (May 2010) [http://www.designlinc.com/index.php?option=com\\_content&view=section&id=9&Itemid=54](http://www.designlinc.com/index.php?option=com_content&view=section&id=9&Itemid=54)
- Living room remodeling for a vision disability tips today <http://www.qualitysmith.com/request/article/living-room-remodeling-for-a-vision-disability>
- Sense (CHARGE/ Rubella/ Usher Syndrome Resources) <http://www.sense.org.uk>